ფასი: 7 ლარი #2 გაზაფხული 2015

NARGIS

საქართველო

ISSN 1512-2522

FW - 15/16
NEW YORK
LONDON
MILAN
PARIS

Spring
Sense

The eye of STREET FASHION

John Legend

საღლაპ ათქიკაში

ქეთევან გვარამაძე

REINVENT YOURSELF

RENDEZ-VOUS NIGHT & DAY

Discover the Jaeger-LeCoultre jewellery watch line at
ladies.jaeger-lecoultre.com

Chronograph
watches & jewellery

თავისუფლების მოედანი 2,
0105, თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 250 50 00
www.chronograph.ge

JAEGER-LECOULTRE

TAGHeuer
SWISS AVANT-GARDE SINCE 1860
#DontCrackUnderPressure
TAG HEUER FORMULA 1 STEEL & CERAMIC DIAMONDS
Cara Delevingne challenges rules. Being free-minded is her motto. Like TAG Heuer, she defies conventions and never cracks under pressure.
ARTTIME
შენი შვეიცარიული საათი
www.arttime.ge

CHAUMET
PARIS

г. Баку, пр. Нефтяников, 13Б, Тел.: +994124970320

EYE of STREET STYLE

Adam Katz Sinding by Anano Dolaberiodze

44 გვ.

ქეთევან გვარამაძე მსოფლიო მოდის ჯელისებიდან

50 გვ.

Advanced Style BOOM

82 გვ.

NARGIS Georgia

სტეფან ჰოლან



84 გვ.

ლეგენდა სიყვარულზე

118 გვ.

CDs REVIEW 2015

123 გვ.

16 გვ.

WORLD TRENDS

13 მოდური რეალიქტორი

110 გვ.

სამხატვრო აკადემია International Fashion SHOWCASE

92 გვ.



წერილი თუ სიხარული?



166 გვ.



მხედრებისა და კინოს მხატვარი

26 გვ.

იქ, სადაც იწყება სუნელი

154 გვ.

SOCAR-ის არქიტექტურა

160 გვ.

exhibition

147 გვ.

გამოფენები

ALTERNATIVE

tattoo

ნოგორც მეხსიერება

132 გვ.

წიგნები

books

182 გვ.



სადღაც აფრიკაში

172 გვ.

ჰოროსკოპი

♈♉♊♋♌♍♎♏♐♑♒♓

190 გვ.

სილვია ბერგომი

PROFILE

140 გვ.



FONDÉ EN 1743
MOËT & CHANDON*
CHAMPAGNE

SUCCESS IS A MATTER OF STYLE**

ყდაზე ანა შელია
ფოტო: დენისონ ბერტრამ
Gucci look n. 25. Silk shirt, pants and foulard

NARGIS Georgia

მთავარი რედაქტორი თაკო ჩხეიძე	Editor-in-Chief TAKO CHKHEIDZE
არტ დირექტორი ლიკა კვარაცხელია	Art Director LIKA KVARATSKHELIA
აღმასრულებელი დირექტორი მაკა ყუბუსიძე	Executive Director MAKA KUBUSIDZE
აღმასრულებელი რედაქტორი ბიძინა მაყაშვილი	Executive Editor BIDZINA MAKASHVILI
მოდის რედაქტორი ანანო დოლაბერიძე	Fashion Editor ANANO DOLABERIDZE
ფოტო რედაქტორი გურამ წიბახაშვილი	Photo Editor GURAM TSIBAKHASHVILI
დიზაინი	Design & Computer Layout

FFG FIRST FLOOR GROUP

გამომცემელი / Publisher
FIRST FLOOR GROUP (FFG)
მის: ა.ხორავას ქ. #7, თბილისი, 0179, საქართველო
ტელ: (+995 32) 2 38 19 08

კომერციული დირექტორი ნაზი გოშაძე	Commercial Director: NAZI GOSHADZE
გაყიდვები და მარკეტინგი ქეთევან დონდუა თინათინ ჯანუაშვილი ეკატერინე სკოროხოდოვა თეა ჭელიძე	Sales & Marketing KETEVAN DONDUA TINATIN JANUASHVILI EKATERINE SKOROKHODOVA TEA CHELIDZE
სტილი, კორექტურა მაია ღამბაშიძე	Copy Editing MAIA GHAMBASHIDZE
რუსული ენის თარგმანი ნატო გვენცაძე	Translation from Russian NATO GVENTSADZE
ინგლისური ენის თარგმანი ნინო შუბითიძე	Translation from English NINO SHUBITIDZE
ბეჭდვა შპს „კონტროლ პე"	Printing Ltd "CTRL P"

ფოტო:
გურამ წიბახაშვილი, დავით ერისთავი, თინათინ კიღურაძე, დენისონ ბერტრამ, სილვია ბერგომი

ნომერზე მუშაობდნენ: ია ვეკუა, ნანა კობაიძე, მარინა გოგსაძე, თეონა ჯაფარიძე, ხათუნა მზარელუა, ნინო დარასელი, გიორგი შაღაშვილი

Photo:
GURAM TSIBAKHASHVILI, DAVID ERISTAVI, TINATIN KIGURADZE, DENNISON BERTRAM, SILVIA BERGOMI

Writers:
IA VEKUA, NANA KOBAIDZE, MARINA GOGSADZE, TEONA JAPARIDZE, KHATUNA MZARELUA, NINO DARASELI, GIORGI SHAGASHVILI

BILNET MATBAACILIK
Bilnet Matbaacılık / Biltur Basım Yayın ve Hizmet A.Ş.
Dudullu Org. San. Bölgesi 1.Cad. No:16 Ümraniye-İST
Tel: 0216 444 44 03 / Fax: 0216 365 99 07-08
www.bilnet.net.tr

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს "NARGIS"-ის საკუთრებას.
ჟურნალში წარმოდგენილი ნებისმიერი მასალის გამოყენება რედაქციის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.

გამოცემის სტატიებში გამოქვეყნებული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ჟურნალი „NARGIS"-ი არ იღებს პასუხისმგებლობას სარეკლამო ტექსტების შინაარსზე.

ტანსაცმელი: ბოლა დამიანი / DALOOD GROUP

ამ წერილს პარიზში ვწერ.

Paris Fashion Week-ის ჩვენებებს შორის შესვენებებს სწორედ NARGIS-ის მკითხველთან გასაუბრებისთვის ვიყენებ. ეს ქართული NARGIS-ის პირველი საერთაშორისო გასვლაა – საგაზაფხულო კვირეულების სერიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებაზე ოფიციალურად ვართ აკრედიტებული, რაც ნიშნავს, რომ NARGIS Georgia მსოფლიო მოდის რუკაზე უკვე მონიშნეს.

ვწერ, თუმცა ხშირად ვაკეთებ პაუზას, რადგან პარალელურად რედაქციაში მიმდინარე პროცესსაც ვადევნებ თვალს. NARGIS-ის მეორე, საგაზაფხულო ნომერი თითქმის დასრულებულია, მხოლოდ ჩვენს პარიზულ რეპორტაჟს ელიან, რომელსაც მკითხველი ჟურნალის პირველივე გვერდებზე წაიკითხავს.

აქვე გაეცნობით NARGIS-ის მეორე ნომრის გარეკანის ფოტოს ისტორიასაც, შემდგომ კი ამერიკის მოდის ინდუსტრიის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სტილისტ ქეთევან გვარამაძესთან მოგიწევთ შეხვედრა. მისი ისტორია ზღაპრიდან აღებულ ამონარიდს უფრო ჰგავს, თუმცა წაკითხვის შემდეგ მიხვდებით, რომ ზოგჯერ ზღაპრული სიუჟეტიც შეიძლება რეალობად იქცეს.

ნომერშია აგრეთვე მსოფლიო მოდის ჟურნალების რედაქტორების პროფაილები, მცირე ბიოგრაფული ცნობები, წარმატებისკენ მიმავალი გზის აღწერა და უმაღლესი ნიშნულის შენარჩუნების რეცეპტები. სტილის საიდუმლოს გასაღები სწორედ ამ ქალბატონებს უპყრიათ ხელთ, ამრიგად ეს სტატია მათ მიმართ ჩვენი პატივისცემის გამოხატულებაა.

ცხადია, NARGIS-ის გვერდების უდიდესი ნაწილი ქართულ თემატიკას ეძღვნება. სწორედ ამ ნაწილს წარმოადგენს მხატვარ ვახო ბუღაძის პორტრეტი. დიზაინერი გიორგი შაღაშვილი აფრიკული დღიურების კრებულს გვთავაზობს. ის უკვე სამი წელიწადია, რაც კენიაში ცხოვრობს, NARGIS-ის მკითხველს კი საკუთარ შთაბეჭდილებებს, გამოცდილებასა და ამ ქვეყნით აღფრთოვანებას უზიარებს.

ნუ გაგიკვირდებათ, თუ NARGIS-ის მეორე ნომრის ფურცვლისას ხელში სხვა ფაქტურის ქაღალდი მოგხვდებათ – ეს ჩვენი ალტერნატიული ჩანართია, რომელიც ამიერიდან ტრადიციული გახდება. ამჯერად ტატუს კულტურას ვეხმიანებით და ვპასუხობთ კითხვას – ტატუ ხელოვნებაა თუ თავქარიანთა დროებითი გატაცება.

გარკვეულწილად ალტერნატივად შეიძლება ჩაითვალოს ნინო დარასელის პროექტიც, რომელიც საშუალებას გაძლევთ ერთმანეთს შეადაროთ XIX-XX საუკუნის წერილები და თანამედროვე სმარტფონებზე აკრეფილი გზავნილები.

ზემოთ NARGIS-ის მეორე ნომრის „აფიშის“ მხოლოდ ნაწილი გაგაცანით, აქვე კი საიდუმლოდ გაგიმხელთ, რომ მასზე მუშაობა გაცილებით საპასუხისმგებლო აღმოჩნდა, ვიდრე პირველი ნომრის მომზადება. ამ უკანასკნელის მკითხველში წარმატებამ NARGIS Georgia-ს გუნდს უკეთესი გაგრძელების ამბიცია გაგვიჩინა – საუკეთესოს გაკეთება არც ისე იოლია, თუმცა შეუძლებელი არაფერია!

თაკო ჩხეიძე

Cropped Tops

Bottega Veneta
S/S 2015

Helmut Lang

Top
J.W. Anderson

Miu Miu

Alexander Wang

Balenciaga

Hervé Leger

DKNY
S/S 2015

Dsquared2
S/S 2015

David Koma
S/S 2015



Atelier Kikala
S/S 2015

Alexander Wang
S/S 2015



Dries Van Noten
S/S 2015

Brave
MODELS GEORGIA

GEOMODELS
a g e n c y

Brave
MODELMANAGEMENT

0171, Tbilisi, Georgia, 2 Pekini str. / +995 32 2 364 026 / +995 595 280 295
www.geomedels.ge

მაკო ბაკურაძე, ნინა ქოჩიაშვილი, ნინო ბაკურაძე

რას ნიშნავს SANIMA ?

SANIMA-ს დამფუძნებლები დიდი ხნის მეგობრები ვართ და იმდენად გვინდოდა, რაიმე საერთო საქმე გვეწარმოებინა, რომ სახელი იმაზე გაცილებით ადრე მოვიფიქრეთ, ვიდრე კონკრეტულ ბიზნესს წამოვიწყებდით. მისი შერჩევა მარტივად მოხდა. კომპანიაში სამნი ვართ: ნინი, ნინა და მაკო. შესაბამისად, SANIMA ჩვენი სახელების საწყისი ასოებია.

რა სახის პროდუქციას აწარმოებს კომპანია SANIMA?

თავდაპირველად მუშაობა დავიწყეთ პირსახოცის ხალათებზე (100% კოტონი) ბრენდირებით. დღეს უკვე პროდუქციის რამდენიმე ხაზი გვაქვს და მათ ბრენდირებას ვაკეთებთ. ხაზების დასახელებები თემატურადაა შერჩეული:

„Dream Robe“ - „საოცნებო ხალათები“ მომხმარებელს საშუალებას აძლევს ხალათზე ამოქარგოს მისთვის სასურველი ნებისმიერი წარწერა და ლოგო. ხშირად, ადამიანები მათთვის მნიშვნელოვანი მომენტის ამსახველ სიმბოლოს, სიტყვას, ლოგოს ან ინიციალს აქარგავენ, რაც განსხვავებული და სამახსოვრო საჩუქარი ხდება მათი საყვარელი ადამინებისათვის, ოჯახის წევრებისთვის, მეგობრებისთვის...

„In Voga“ - (იტალიური სიტყვაა და მოდურს ნიშნავს) ხაზი მოიცავს ფერად, აბრეშუმნარევი ატლასის დახვეწილ, გრძელ და მოკლე მოდელის ხალათებს.

„Sanima Bride“ - პროდუქტის სპეციფიკიდან და მოთხოვნიდან გამომდინარე, სპეციალურად შეიქმნა ხაზი ახალდაქორწინებულთათვის. გვახარებს, როდესაც თაფლობის თვეში გადაღებულ ბევრ ფოტოსურათზე, წყვილები ჩვენს ხალათებში არიან გამოწყობილნი.

„Sanima Cookery“ - წინსაფრები და მაგიდაზე დასაფენები ოჯახის წევრების სახელებით მართლაც რომ პრაქტიკული და ძალიან თბილი საჩუქარია ყველა დიასახლისისა და არა მარტო მათთვის.

„Sanima Baby“ - ოჯახის ყველაზე პატარა და საყვარელი წევრებისათვის არის განკუთვნილი. სწორედ მათთვის შეიქმნა 100% ნატურალური ქსოვილისაგან დამზადებული „ბოდის“ ხაზი.

საიდან გაჩნდა სწორედ ამ პროდუქციის შემოტანის იდეა ჩვენს ბაზარზე?

იდეა გაჩნდა 2014 წლის გაზაფხულზე, როდესაც ერთ საღამოს სამზარეულოში ჩაიზე შევიკრიბეთ. გვინდოდა შეგვექმნა ბრენდი, რომელიც იქნებოდა განსხვავებული, ყველასათვის ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და რაც მთავარია, მომხმარებლის ინდივიდუალურობას გაუსვამდა ხაზს. ფიქრის პროცესში გაიჟღერა ბევრმა იდეამ, თუმცა საბოლოოდ ისეთ პროდუქტზე შევთანხმდით, რომელსაც ჩვენც დიდი სიამოვნებით მოვიხმარდით და რომელიც იმ მომენტისათვის საქართველოს ბაზარზე არ არსებობდა.

გყავთ თუ არა მუდმივი მომხმარებელი?

იმის გათვალისწინებით, რომ ჯერ ერთი წელიც არ არის, რაც ბაზარზე ვართ, „Sanima Group“-ს ძალიან ბევრი მუდმივი მომხმარებელი ჰყავს და მათი რიცხვი სულ უფრო იზრდება. რა თქმა უნდა, ეს ძალიან გვახარებს.

ელოდით თუ არა ასეთ წარმატებას?

პირველი პროდუქციის გაყიდვას ძალიან დიდი გამოხმაურება და მოთხოვნა მოჰყვა. შეგვეშინდა კიდეც, რადგან გულახდილად გითხრათ, ამისათვის რეალურად მზად არ ვიყავით. მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ჩვენგანს პროფესია და სამსახური აქვს, გავაერთიანეთ ჩვენი ცოდნა და ძალისხმევა არ დავიშურეთ ამ შედეგის მისაღწევად. ასეთი წარმატება იმის შედეგიც გახლავთ, რომ ჩვენთვის თითოეული მომხმარებლის აზრი მნიშვნელოვანია და ყოველ შეკვეთაზე დიდი მონდომებით ვმუშაობთ. აღსანიშნავია და გვახარებს ის ფაქტი, რომ ჩვენი კომპანიის ლოგო (სამეფო გვირგვინი), რომელიც დღეს უკვე Sanima-ს ხალათებთან ასოცირდება, ყველა ჩვენი მომხმარებლის ხალათის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

რა სიახლეს უნდა ველოდოთ SANIMA-სგან ზაფხულის სეზონისათვის?

ამხელა წარმატება სტიმულად იქცა ჩვენთვის, რომ უფრო მეტი ვიმუშაოთ. საზაფხულოდ ჩვენს მომხმარებელს შევთავაზებთ ახალ ხაზს - „Sanima Ocean“-ს, რომელიც ვფიქრობთ, ისეთივე საყვარელი და სასურველი პროდუქტი გახდება ყველასათვის, როგორიც „Sanima Group“-ის უკვე კარგად ნაცნობი ხაზებია.

როგორ შეიძლება თქვენი პროდუქციის შეძენა?

ჯერ-ჯერობით ჩვენთან პროდუქციის შეძენა ონლაინ რეჟიმშია შესაძლებელი, მომხმარებელი გვიკავშირდება Facebook-ზე, Whats Up-ით, Viber-ით, ელექტრონული ფოსტით. თუმცა მზარდი მოთხოვნიდან გამომდინარე, შესაძლოა მომავალში Show Room-იც გავაკეთოთ, რათა მომხმარებელს უფრო გავუადვილოთ მათთვის სასურველი პროდუქციის შეძენა.

ფოტოები: ერეკლე როსტომაშვილი, ლეკო ჭყონია
მაკიაჟი: ქეთი გოგიშვილი

Editor's Casual

Chloé

Larkspur & Hawk

Miu Miu

Stella McCartney

Peter Pilotto

Victoria Beckham

Nicholas Kirkwood

Choice Evening

Chanel

J. Crew

Dries Van Noten

Miu Miu

Givenchy

Miu Miu



Olympia Le-Tan

Pastel Tones

პასტელური ტონები 2015 წლის გაზაფხული/ზაფხულის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ტენდენციაა. დიზაინერებმა ძირითადად ერთი მთლიანი "ლუქები" წარმოადგინეს ამ ტონალობებში შექმნილი.

Tibi

Givenchy

Marni

Dion Lee

Hugo Boss
S/S 2015

Carolina Herrera
S/S 2015

Anouki
S/S 2015

Fendi
S/S 2015

Céline
S/S 2015

David Koma
S/S 2015

Bottega Veneta

3.1 Phillip Lim

Marni

Bijoux Heart

Belt
Givenchy

Michael Lo Sordo

Bottega Veneta

Stella McCartney

MM6

Miu Miu

Eudon Choi
S/S 2015

Giamba
S/S 2015

Giambattista Valli
S/S 2015

Chloé
S/S 2015

Avtandil
S/S 2015

Total look: DIANA KVARIANI / Photo by ADAM KATZ

პარიზის
მოდის კვირეული

პარიზის მოდის კვირეული (PFW) იმ მოდური მარათონის დასასრულია, რომელიც ტრადიციისამებრ ნიუ იორკში იწყება... 1973 წლიდან პარიზში, ყოველწლიურად გაზაფხულსა და შემოდგომაზე წამყვანი მოდის სახლები წინასწარ გვკარნახობენ მოდის ტენდენციებს. ჩვენებები იმართება პრესისთვის, ცნობილი ადამიანებისთვის და რა თქმა უნდა, ბაიერებისთვის (მყიდველებისთვის). ეს ჩვეულებრვი სამუშაო პროცესია, რომელიც ამავდროულად. ძალიან პომპეზურიც არის.

ჟურნალ "ნარგისს" საშუალება მიეცა გაევლო აკრედიტაცია და ჩვენ მივიღეთ მოსაწვევები რამდენიმე ჩვენებაზე და პრეზენტაციაზე.

პრესის წარმომადგენლებთან საუბრისას ავღნიშნავდით, რომ საქართველოში არაერთი წარმატებული დიზაინერია და ამას ჩვენი ჩაცმულობით ვუსვამდით ხაზს, რადგანც ჩვენი გარდერობი მხოლოდ ქართველი დიზაინერების სამოსით იყო წარმოდგენილი. უკვე მესამე სეზონია ბრენდ Vetements-ის დიზაინერი დემნა გვასალია მართავს ჩვენებებს პარიზის მოდის კვირეულზე და რა თქმა უნდა, მისი შოუ "ნარგისის" ფავორიტი დეფილეა. მოვინახულეთ ყველა ის შოურუმი, სადაც ქართველი დიზაინერები იყვნენ წარმოდგენილნი. ეს დიდი წარმატებაა ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, რადგანაც ჩვენ დიზაინერებზე დაიწერა არაერთ ცნობილ გამოცემაში.

ყველაზე მნიშვნელოვანი შოუ პარიზში რაღა თქმა უნდა, "შანელის" ჩვენებაა. მთელი ღამის განმავლობაში დიდი სამზადისია, არ სძინავს არც ერთ სამოდელო სააგენტოს და მოდელების არმიას, რადგანაც ყველა საბოლოო დადასტურების მოლოდინშია და დილის 10 საათზე სრულიად მოდის სამყარო ელოდება ჩვენების დაწყებას. არც წელს ყოფილა გამონაკლისი.

"ნარგისმა" მოდის სფეროს არაერთი წარმომადგენლთან უკვე შეათანხმა ექსკლუზიური ინტერვიუ, რომლებსაც შემდეგ ნომრებში შემოგთავაზებთ. მანამდე კი გაეცანით ფურცელზე ნაჩქარევად გადატანილ ჩვენ შთაბეჭდილებებს.

პარიზიდან ყოველთვის განსაკუთრებული ემოციით ვბრუნდებით ხოლმე. ეს ვოიაჟიც განსაკუთრებული აღმოჩნდა, მითუმეტეს, რომ “ნარგისის” მეორე ნომრის დედლაინს თავისი კორექტივები შეჰქონდა ჩვენს ემოციებში.

მანქანამ მიგვიყვანა ჩვენს მისამართზე და პარიზის მოდის კვირეულის ყველაზე ცხელ წერტილში აღმოვჩნდით:..”დიორის” ჩვენების შემდეგ გამოსული სტუმრებისა და ფოტოგრაფების დიდ არმიას შევეფეთეთ და მაშინვე მივხვდით, თუ რამდენად კარგი იდეაა პარიზი...

პირველივე შეხვედრაზე გვხვდება მოსაწვევები ჩვენებებზე და პრეზენტაციებზე. ჩქარ-ჩქარა ვხსნით განსხვავებულ კონვერტებს – ზოგს საჩუქარი მოჰყვება, ზოგი კი საჩუქარვით ლამაზია და ვინიშნავთ თარიღებს იმ ბლოკნოტში, რომელიც Modem Online-მა მოგვაწოდა დიდ კალენდართან ერთად, სადაც ყველა შოუს, პრეზენტაციის, ივენთის წვრილმანი და ყველაფერი, რაც PFW-ს ეხება, დეტალურად არის გაწერილი.

ძალიან დატვირთული კვირა აღმოჩნდა. სამივენი დილიდანვე დავრბივართ შოუებზე, შეხვედრებზე, გავიცანით მოდის სფეროში საინტერესო და მნიშვნელოვანი პერსონები.

თაპო: *“გამოვყოფ ანა დელო რუსოს, რამოლმაც აღფრთოვანება ვერ დამალა ჩემი “ატელიე კიკალას” სამოსით. გვეკითხებიან, საიდან ხართო? ვიწყებთ ახსნას – საქართველოდან... სიუზი მენკესი მეკითხება, როგორი დიზაინერები გყავთ საქართველოშიო? ვიწყებ მოყოლას, ჩამოთვლას. წინა დღეს Vetements-ის ჩვენებაზე ყოფილა, მე სიამაყით ვპასუხობ, რომ მისი დიზაინერი, დემნა გვასალია, ქართველია."*

ჩვენებები დილის 10-დან იწყება. სანამ მთავარ ადგილს მიაღწევ, სადაც შოუ იმართება, გარეთ ნამდვილი შოუ გვხვდება... მობილიზებული street style-ის ფოტოგრაფები, კამერების ჩხაკა-ჩხუკი, გემოვნებიანად ჩაცმული პუბლიკა, პოზირება…

შოუების ლოკაციები ერთმანეთისაგან განსხვავებულია, გაშლილია მთელ ქალაქში – Grande Palais, Park du Tuleris, ოპერა, სხვადსხვა სასტუმროები... ბაიერები პრესა – დარბიან. ყველა თავისი საქმით არის დაკავებული…

შოუს დაწყებამდე ფოტოგრაფები პირველ რიგში მჯდომ სტუმრებს მოუწოდებენ, ჩანთები და ფეხები უკან ჩაწიონ, შუქი ინთება და ულამაზეს

Total look: DIANA KVARIANI / Photo by ADAM KATZ

კოსტუმებში, ულამაზესი მოდელები იწყებენ გამოსვლას, მათ შორისაა ჩვენი ულამაზესი ქართველი მოდელი თაკო ნაცვლიშვილი, ჩვენ სიამაყით ვივსებით...

მაპა: *"აქ ყველა თავისი საქმის სუპერ-პროფესიონალია, დამხმარე პერსონალსაც კი ბოლომდე აქვს გათავისებული, რომ ეს მისი ქალაქის ღონისძიებაა, საფრანგეთის სახეა."*

ის რიტმი, რითაც პარიზი ცხოვრობდა, ალბათ არსად პლანეტის სხვა წერტილში არ სუფევდა. ულამაზესი დეფილეები, გამოფენები, პრეზენტაციები, საღამოს წვეულებები, ამდენი მოდაზე შეყვარებული ადამიანი, თავბრუდამხვევი რიტმი, მაგრამ ამავდროულად არა ქაოტური, არამედ ყველაზე მოწესრიგებული.

ლიკა: *"მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩემი მეხუთე ვიზიტია ამ ქალაქში, მივხვდი, რომ მე პირველად ვარ ისეთ პარიზში, როგორიც არასოდეს მინახავს.... ქალაქში დუღს მოდა და ისეთ თავბრუდამხვევ სურნელს ატრიალებს, რომ შენც ძალაუნებურად ამ ქარბოლბალაში ტრიალებ. ეს ტემპი, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილი ამდენი გემოვნებიანი და ლამაზი ადამიანი ამ ქალაქს კიდევ უფრო სხვა პეწს სძენს... თუ კი ვინმე მკითხავს, როდის ვეწვიო პარიზსო, აუცილებლად ვეტყვი, რომ მოდის კვირეულის პერიოდში."*

ეს ყველაფერი კი ჩვენთან გაგრძელდება, მოდის კვირეულის ფარგლებში, რადგანაც იქ გაცნობილი street style ფოტოგრაფებიც და პრესის წარმომადგენლებიც 16-19 აპრილს საქართველოში გვეწვევიან თბილისის მოდის კვირეულზე...

Paris, je t'aime

Pure White

თეთრი ფერი ყოველთვის Must-Have არის გაზაფხული/ზაფხულის კოლექციებში. ეცადეთ არა მხოლოდ სამოსი, არამედ აქსესუარებიც გამოიყენოთ ამ ფერის.

Thierry Lasry

Balmain

Sugnlasses
The Row

Proenza Schouler

Carven

Acne Studios

Pierre Balmain

Miu Miu

Moschino

Balmain
S/S 2015

Christian Siriano
S/S 2015

Balmain

David Koma
S/S 2015

Chalayan
S/S 2015

Jason Wu
S/S 2015

Glanvito Rossi

Nicholas Kirkwood

Adidas Originals

The Row
S/S 2015

Chloé
S/S 2015

Keti Chkhikvadze
S/S 2015

Avtandili S/S 2015

Diana Kvariani S/S 2015

BACK to 70s

70-იანი წლები დაბრუნდა!!!
გაშვებული შარვლები, ფრიალა შიფონის პრინტიანი კაბები, მასიური სამკაულები - ეს ყველაფერი 2015 გაზაფხული / ზაფხულის სეზონის ჰიტია!

Miu Miu

Saint Laurent

Sonia Rykiel
S/S 2015

Emilio Pucci
S/S 2015

Gucci
S/S 2015

Valentino S/S 2015

Etro

Etro

Isabel Marant

Chloé

Roberto Cavalli
S/S 2015

Tory Burch

Hervé Van der Straeten

Miu Miu

Checkered Patterns

კუბოკრული პრინტი უკვე რამდენიმე სეზონია საკმაოდ აქტუალურია. წელს დიზაინერები უფრო ჭადრაკულ პრინტზე აკეთებენ აქცენტს.

Backstage at Michael Kors S/S 2015

BIOXSINE

ბიოქსინი
შამპუნი, რომელიც თმის ცვენას აჩერებს

ეს რეალობაა და საქართველოში ამის შესახებ უკვე 7 თვეა იციან. ხოლო ვინც არ იცის სასიხარულო აღმოჩენას გააკეთებს, ნერვიულობისა და ზედმეტი ძალისხმევის დახარჯვის გარეშე ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პრობლემა, თმის ცვენა დაძლეულია. თმის ცვენის სამკურნალო საშუალება გამაოგნებელი შედეგებით, მცენარეული შამპუნი,-ბიოქსინია.

„ეს არის რევოლუციური პროდუქტი“, - აღნიშნავენ მომხმარებლები და იმ ეფექტსა და დადებით თვისებებზე საუბრობენ, რომლის დახმარებითაც ბევრმა მათგანმა განკურნება შეძლო.
ხოლო თუ როგორ უნდა განკურნოთ დაზიანებული თმა და შეინარჩუნოთ თმის სიჯანსაღე ამის შესახებ ბიოქსინის ხაზის მარკეტინგის მენეჯერი დიანა თვალთვაძე გესაუბრებათ.

დიანა თვალთვაძე, ბიოქსინის ხაზის მარკეტინგის მენეჯერი:
ყველაზე მთავარი ის არის, რომ ჩვენი პროდუქტი მცენარეულია. ბიოქსინი, კომპანია ბიოტას წარმოების ბრენდია. პროდუქცია მრავალფეროვანია - შამპუნები, შრატები და სპეციალური სპრეი. ყოველი მათგანი ბიოკომპლექს B11-ს შეიცავს. ეს არის უნიკალური ფორმულა, რომელიც ლაბორატორია ბიოტაში შეიქმნა და რომელიც A და B ჯგუფის ვიტამინებს შეიცავს. სწორედ ამ ჯგუფის ვიტამინები აჯანსაღებს და კვებავს თმის ფოლიკულს. შეიცავს მინერალებს და ცნობილ ომეგა 6 და ომეგა 9. მასში ასევე არის ცნობილი ნივთიერება აპიგენინი, სწორედ ამ სასარგებლო ნივთიერებების საშუალებებით ახერხებს ბიოქსინის პროდუქცია თმის ცვენის შეჩერებას.

თმის ცვენის საწინააღმდეგოდ რამდენიმე ხაზი გვაქვს:
ბიოქსინ ფემინა - სპეციალურად ქალბატონებისთვის. რომელთაც ანუხებთ თმის ცვენა, ან უბრალოდ სურთ რომ შეინარჩუნონ თმის სიჯანსაღე. ბიოქსინ ფემინას სპეციალური შამპუნი 4 ტიპის თმისთვის გამოდის. ეს არის ნორმალური და მშრალი თმისთვის, ცხიმიანი თმისთვის, ორსულობის შემდგომ და ასევე ორი ერთში. რომელიც განკუთვნილია იმ ქალბატონებისთვის რომელთათვისაც უცხო არ არის თმის ხშირი შეღებვა და ქიმიური დახვევები.
ბიოქსინ ფემინას სერია ქალბატონებს თამამად შეუძლიათ გამოიყენონ, როგორც ორსულობის დროს ასევე ლაქტაციის პერიოდშიც. რადგან არის სრულიად მცენარეული ფორმულა და უსაფრთხო. ასევე შეიძლება შრატის გამოყენებაც, ისიც მცენარეულია. არის როგორც ქალბატონების, ასევე მამაკაცების სერია.

შამპუნი ბიოქსინ ფემინა პოსტპრეგნანსი (ორსულობის შემდგომი)
- საქართველოში არცერთ სხვა ბრენდს არ აქვს მსგავსი პროდუქტი, რომელიც სპეციალურად ამ სეგმენტისთვისაა შექმნილი.

ბიოქსინ ფორტე - ეს არის პროფესიონალური ხაზი, რომელშიც შედის სპრეი და შამპუნი. იგი გამოიყენება თმის ძლიერი ცვენის დროს. დერმატოლოგთან კონსულტაციისა და ამა თუ იმ დიაგნოზის დადგენის შემდეგ ძირითადად ანდროგენული ალოპეციის სამკურნალოდ შეიქმნა. მისი მოხმარება ასევე რეკომენდებულია სხვა ტიპის, მნიშვნელოვნად გამოხატული თმის ცვენის დროსაც.
მომხმარებელმა შამპუნი უნდა გამოიყენოს იმ სიხშირით რა სიხშირითაც იყენებს, 2 ნუთის განმავლობაში აუცილებლად უნდა დაიტოვოს თავზე და მერე ჩამოიბანოს, სპრეი კი ყოველ დღე და მინიმუმ 8 საათის განმავლობაში უნდა გაიჩერონ. სასურველია თუ შემდგომ დაბანვამდე დაიტოვებენ სპრეის.

ბიოქსინი სერუმი - ეს არის ბიოქსინი შრატის სახით, რომელიც მკურნალობის ერთი კურსისთვის საჭირო - 24 კაფსულას შეიცავს. არსებობს რამოდენიმე კურსი, თუ ქალბატონებს სურთ, რომ უბრალოდ ნიღბის სახით გამოიყენონ შეუძლიათ კვირაში ერთხელ გამოიყენონ ერთი ამპულა, თუ სერიოზული პრობლემაა თმის სცვენა, ლოპეციისკენ მიდრეკილება, მაშინ დასჭირდებათ სრული კურსის ჩატარება. პირველი კურსი იწყება სრულად ამ 24 კაფსულის გამოყენებით, დღეგამოშვებით , შეიზელენ და დაიტოვებენ შემდეგ დაბანვამდე, შემდეგ გადადიან ჩანაცვლებით კურსზე, როდესაც მხოლოდ 2 ამპულას გამოიყენებენ და ბოლოს დამატებითი კურსი კვირაში ერთი ამპულის გამოყენებით სრულდება.

-დაახლოებით რა პერიოდია იმისთვის საჭირო რომ მივიღოთ სასურველი შედეგი და ჯანსაღი თმა?
-2 თვის შემდეგ მომხმარებელი დაინახავს შედეგს. ბიოქსინის პროდუქციამ კლინიკური კვლევები ევროპის ერთ-ერთ წამყვან ლაბორატორიაში - დერმატესტში (გერმანია) გაიარა. კლინიკურმა ტესტებმა აჩვენა, რომ ბიოქსინის პროდუქციას არანაირი გვერდითი მოვლენები არ ახასიათებს, 100%-ით სანდოა და დერმატოლოგიური თვალსაზრისით აბსოლუტურად უსაფრთხოა.
2 თვიანი კლინიკური კვლევების შედეგად, გამოკვლეულთა 90%-ს თმის ცვენა შეუჩერდა. თავიდან შამპუნის გამოყენების შემდეგ შეიძლება დაიწყოს ინტენსიური თმის ცვენა. ამის არ უნდა შეეშინდეთ, რადგან ფოლიკულის განვითარების სამი ფაზა არსებობს - ანაგენი, კატოგენი და ტელოგენი. როდესაც თმები არის ტელოგენ ფაზაში ფოლიკული არ ვითარდება და თმები აუცილებლად უნდა დასცვივდეს, რომ გადავიდეს აქტიურ ფაზაში, ანუ ანაგენში. ამიტომ თმის ცვენა კარგის შედეგია.

Facebook: Bioxsine Georgia | web: www.bioxsine.ge
იკითხეთ აფთიაქებში

BIOXSINE
ფარმადეპო PHARMADEPOT
კუპონის წარდგენის შემთხვევაში მიიღეთ
-20% ფასდაკლება ფარმადეპოს აფთიაქებში

Fringes

ფოჩი უკვე რამდენიმე სეზონია არა მხოლოდ აქსესუარების, არამედ ტანსაცმლის მნიშვნელოვან დეტალს წარმოადგენს. გამოყენებულია როგორც სადა, ისე ფერად, პრინტიან ქსოვილებზე.

Valentino

Marni

J.Crew

Malene Birger

Heels Valentino

Tory Burch

Proenza Schouler

Heels Chloé

Jimmy Choo

Roberto Cavalli S/S 2015

Materiel by George Keburia S/S 2015

Céline S/S 2015

Emilio Pucci S/S 2015

Sonia Rykiel S/S 2015

Giambattista Valli S/S 2015

Proenza Schouler S/S 2015

Wide Leg Pants

მოკლე განიერი შარვლები ყველაზე აქტუალური ტენდენციაა ამ სეზონზე. მოდაშია როგორც ფერადი, პრინტიანი, ისე სადა შარვლები ერთ ტონალობაში.

Anouki S/S 2015

Red Valentino

House of Holland

Delpozo

Theory

Calvin Klein Collection S/S 2015

Céline S/S 2015

Delpozo S/S 2015

Stella McCartney

Tibi S/S 2015

Military Greens

ხაკი - ფერი რომელიც საკმაოდ ბევრმა დიზაინერმა წარმოადგინა 2015 წლის გაზაფხული / ზაფხულის კოლექციებში. გამოყენებული აქვთ როგორც კლასიკურ, ისე ყოველდღიურ სტილში.

გაზაფხულის სუნთქვა
ცხიზლებს ჰაერში

შეხვდით მას
სიახლით!

GOODWILL

Spring is in the air

DENIM FOR DENIM

დენიმი - აუცილებლად უნდა ქონდეს ყველა ქალბატონს ამ სეზონზე გარდერობში. არ აქვს მნიშვნელობა ეს იქნება შარვალი, ქურთუკი თუ კაბა, დენიმი სეზონის Must-Have არის.

ფორუმი BY ახალი ნათება

განათება ავეჯი აქსესუარები

საგაზაფხულო შეთავაზება

სპეციალური ფასები ევროპული წარმოების რბილ ავეჯზე

FORUM BY NEW LIGHT

LIGHTING FURNITURE ACCESSORIES

reddot design award

KOINOR

MADE IN GERMANY

/ForumNL | აღმაშენებლის ხეივანი 12კმ | www.newlight.ge | 2 20 24 24

Men's Style Trends for SPRING/SUMMER 2015

მოდის მიმართულებები 2015 წლის გაზაფხული-ზაფხულის სეზონისათვის / გრეგ კოლერი

By Greg Kohler



Fendi S/S15 S15

Thom Browne SS15 S15

AMI S/S 2015

Burberry Prorsum S/S 2015

Alexander Wang S/S2015

გაქცევა კომფორტის ზონიდან: გაბედე, ჩაიცვი!

მოდა ხალისია. თუმცა, თავად მეც ამ ზამთრის ტენდენციის თანახმად, შავი ფერის გავლენის ქვეშ ვიყავი, სიხარულით შევცვლი თალხ ფერებს იმით, რაც გამორჩეული იქნება და დაამარცხებს კლასიკურ სტილს.

იქნება ეს ლამაზი მზის სათვალე (ძვირადღირებულ დიზაინერთა მოდელებთან შედარებით „სპითფაიერი“ შესანიშნავი არჩევანია), გამომწვევი ფირუზისფერი ხავერდის ჯაკომორელის შარვალი თუ ლუბუტინის ფეხსაცმელი, დარწმუნდით, რომ თქვენი ჩაცმულობა მოიცავს რაიმე სტილის გამორჩეულ ელემენტს, რომელიც ყურადღებას დიდი ხმაურის გარეშეც მიიქცევს.

პრაქტიკული და ძალიან მოდურია მამაკაცის „ქლათჩი“. მრავალი ბრენდი გვთავაზობს ამჟამად ამ ნივთის მრავალსახეობას, დამზადებულს უმაღლესი ხარისხის ტყავისაგან, ფერადს, მონოგრამებით, ორიგინალური ზომისა და ფორმის. კაცმა შეიძლება ძალიან ისიამოვნოს მისი არჩევისას. მამაკაცის ხელჩანთა მაგარი ბიჭებისთვისაა.

გამოიყენეთ ფერები

ზამთარი უკან მოვიტოვეთ. დროა გავახალისოთ ტროტუარები კაშკაშა ფერებით.

თქვენი სურვილის მიხედვით, ეს შეიძლება იყოს თქვენი ფეხსაცმელი, თქვენი მოჩითული პერანგი, ზურმუხტისფერი სამოსი ან სამეფო ლურჯი ფერის „დიორის“ მამაკაცის შარვალ-კოსტუმი. ეს უკანასკნელი ჩემი სასურველი ნივთების სიაშია.

ჩაცმულობის ფერებით გახალისების უამრავი გზა არსებობს. მაგალითად, ფერადი დეტალი შეიძლება იყოს ნარინჯისფერი

ტყავის ქამარი, ფერადი წინდების მოულოდნელი შეხამება, ან პასტელური ფერის ზაფხულის შარფი. ნებისმიერი მათგანით მიიქცევთ ყურადღებას.

თამამად ჩაატარეთ ექსპერიმენტები და გამოიყენეთ ბუნებრივი ტონები და რაც მთავარია, ყოველთვის გაითვალისწინეთ თუ რომელი ფერი უკეთ შეესაბამება თქვენს კანის ფერსა და თმის ტონს.

ცხოვრება ზოლებში

როგორც ჩანს, ზოლები ყოველთვის მოდაშია.

ზოლიანი ტანსაცმელი, რომელსაც-70-იანი წლების გავლენა ეტყობა, ამ სეზონზე ჭარბობს, როგორც ქალების, ასევე მამაკაცთა კოლექციებში, როგორც ეს თვალნათლივ გამოჩნდა ჯ.ვ. ანდერსონის, ჯონათან საუნდერსის და ტოპმანის ჩვენებებში.

ზოლებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია 2015 წლის გაზაფხული/ზაფხულის „გუჩის“ გარდერობშიც, იქნება ეს კლასიკური საღამოს საკლუბო პიჯაკი, თუ შარვლის გვერდებში დატანებული დეტალი.

თუ ვინმე პარიზში გამგზავრებას გეგმავთ, ესტუმრეთ „ზოლების მეფეს“: ჟან-პოლ გოტიეს ბუტიკს, რადგან ეს იქნება თქვენთვის ბოლო შანსი, შეიძინოთ პორტრეტული მარინიერი – მამაკაცთა ეს კოლექცია უკანასკნელია.

და გახსოვდეთ – საზღვაო და მეკობრული კლიშეს გამოკლებით, ზოლები ძალიან მოდურია.

„ლე თრენჩი“

იმ ფაქტმა, რომ პარიზელი ვარ, განაპირობა ჩემი სიყვარული „თრენჩების“ მიმართ. ჩემი „თრენჩების“ კოლექცია ძირითადად ჟან-პოლ გოტიეს მოდელებისგან შედგება, რომელმაც ხელმეორედ გამოიგონა ეს მნიშვნელოვანი რამ, დღესდღეობით ბევრი დიზაინერი გვთავაზობს დიდებულ და მოულოდნელ დეტალებს ამ ხანდახან ძალიან მოსაწყენ ლაბადაზე.

ანა დელო რუსო ყველა ქალბატონს ურჩევს „კაბასავით ატარონ თრენჩი“. ეს განაცხადი, რა თქმა უნდა, არ შეეფერება მამაკაცებს, მაგრამ ნუ დაუკარგავთ ფასს კარგად შეკერილ ლაბადას. გაათავისუფლეთ ამ გაზაფხულისთვის თქვენში ჩამალული ჰამფრი ბოგარტი!

მაშინ, როდესაც „ბლექბერი“ კარგ და საინტერესო არჩევანს გთავაზობთ, „ლა პერლამ“ წარმოადგინა ისეთი მარტლაც დახვეწილი აბრეშუმის სარჩულიანი ნიმუშები, რომლებმაც შესაძლოა ძალიან მოგხიბლოთ.

სპორტული სტილის ელეგანტურობა

ამ მიმართულების მიმართ არც ისე დიდი ხანია, რაც გული გამითბა. 2014 წელს გამოჩენილი ეს ტრენდი, რომელიც ათლეტურსა და მოდურს აერთიანებდა, ყოველთვის წარმატებას ვერ აღწევდა.

თუმცა ამ სეზონზე, ისეთმა დიზაინერებმა, როგორებიც არიან კელვინ კლეინი, დოლჩე და გაბანა, ზენია, ტომ ბრაუნი და მონკლერ გამ რუჟი, ჩვენთვის საქმე გააიოლეს, რათა თავიდან ავიცილოთ მოდური შეცდომები და მძიმე შესახედაობა.

პლასტიკატის სამოსმა, დიდი ზომის სპორტულმა სამ-მეოთხედი ზომის სახელოიანმა ზედებმა, ანდაც დახვეწილმა სპორტულმა ტანსაცმელმა ფართოდ გააღო კარი თქვენთვის, რათა შეიყვაროთ ეს მიმართულება.

მე საკუთარი თავი გავაოცე, როცა მამაკაცთა მოდის ბოლო კვირეულზე პარიზში ჩემი პირველი ნაიკის ფეხსაცმელი ბალაესიაგას შარვალზე ჩავიცვი. ჩვენ ყველას გვინდა კომფორტულად ვგრძნობდეთ თავს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მთელი დღის მანძილზე აქტიურად ყოფნა გვიწევს. მაშ რატომ არ უნდა ვეძებოთ უფრო მოდური გზები ამის მისაღწევად?!

და ბოლო დეტალი... იგი მაინც უფრო ელეგანტურია, ვიდრე სპორტული.

Dior Homme S/S 2015


Dolce& Gabbana S/S 2015

Calvin Klein S/S 2015

Etro S/S 2015

EYE of STREET STYLE

Adam Katz Sinding

by Anano Dolaberiodze

1) როგორ დაიწყო თქვენი მოღვაწეობა ფოტოგრაფიაში?

დაახლოებით 2004 წელს ვცხოვრობდი სიეტლში, ვაშინგტონში, როდესაც ჩემმა მაშინდელმა შეყვარებულმა მთხოვა რამდენიმე სურათი გადამეღო მისთვის, რადგან რაღაც პორტრეტისთვის სჭირდებოდა. მან მომაწოდა ფოტოაპარატი და ამიხსნა როგორ უნდა გამომეყენებინა ის. ეს საკმაოდ სახალისო აღმოჩნდა და სურათებიც ნორმალური გამოვიდა, ასე რომ, გადავწყვიტე მეყიდა ფოტო აპარატი.

2) რატომ აირჩიეთ ქუჩის სტილი?

კარგი შეკითხვაა. მაშინ ჯერ მხოლოდ უსულო და უმოძრაო საგნებს ვიღებდი, ლანდშაფტებს, შენობებს... ვფიქრობ, უცნობებთან გამოლაპარაკება მჭირდებოდა და ამისათვის საბაბს ვეძებდი. მე საკმაოდ მორიდებული ადამიანი ვარ და ფოტოაპარატი ამ თვისების დასაძლევად მჭირდებოდა.

3) როგორ მიხვედით „21-ე“ მდე?

2005 წელს პარიზში ვცხოვრობდი და ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პარიზულმა სტილმა. როდესაც შინ დავბრუნდი, ხალხის გადაღება დავიწყე, და გავაცნობიერე, რომ ჩემი გემოვნება ფრანგი დიზაინერებისკენ უფრო იხრებოდა, ვიდრე სხვა რამისკენ. პარიზში 20 უბანი იყო... ასე, რომ... ვიფიქრე რომ ეს კარგი აზრი იქნებოდა. ახლანდელი გადასახედიდან ეს ცუდი არჩევანი იყო, რადგან ამის წარმოთქმა და გაგება მხოლოდ ფრანგულად მოლაპარაკე ადამიანებს შეუძლიათ, მაგრამ ეს უკვე გაკეთებულია.

4) რატომ არის თქვენი საიტის განმარტება „ეს არ არის ქუჩის სტილის ბლოგი“?

მე უბრალოდ დამღალა გადაჭარბებულმა „ქუჩის სტილმა“ თავისი კომერციული ასპექტებით. მე მეტის ჩვენება შემიძლია. ემოციის, ჟესტის, ხასიათის და ა.შ. ეს არ არის უბრალოდ ერთი წყვილი „მაგარი ფეხსაცმელის“ გადაღება და ისეთი ფოტოს შექმნა, რომელიც ამბობს, „ნახე, რა კარგად გამოიყურება ეს ფეხსაცმლის წყვილი“. ეს არ არის საჩემო საქმე. ეს მე არ მაინტერესებს.

5) რა არის თქვენთვის ყველზე საინტერესო მოდის სამყაროში?

მრავალფეროვანი, მისი მუდმივად ცვალებადი ხასიათი. მოდა დღეს მოჭარბებულია, მაგრამ დღევანდელ საზოგადოებას ეს სჭირდება. ის ფაქტიურად არასოდეს ბერდება.

6) როგორ გგონიათ, რით განსხვავდებით ქუჩის სტილის სხვა დიდი ფოტოგრაფებისაგან?

არც კი ვიცი, განვსხვავდები თუ არა. მე მიყვარს ადამიანის სახის მოჭრა სურათებში... ვფიქრობ სახე ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე თვითონ ფოტო. სურათი ისედაც მოსაწონი უნდა იყოს იმის მიუხედავად, თუ ვინ არის მასზე აღბეჭდილი. არ არის მართალი?

7) როგორ დაახასიათებდით თქვენს ესთეტიკას?

როგორც მინიმალურს, მარტივს და თავდაჯერებულს.

8) რას არ გადაიღებდით არასდროს?

პოზიორ ადამიანებს.

9) როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა თქვენი წარმატება?

რა თქმა უნდა, ჩემმა წვერმა. რაც მართალია, გამაღიზიანებელია, მაგრამ საწუწუნო მართლა არაფერი მაქვს. რა თქმა უნდა, საქმის მიმართ ჩემმა დამოკიდებულებამ, რაც მაიძულებს სამუშაო ჯანმრთელობაზე, ჭამაზე და ძილზე წინ დავაყენო.

10) შეგიძლიათ გაიხსენოთ ყველაზე დასამახსოვრებელი გადაღება თქვენს კარიერაში?

ჰმ, ვფიქრობ, ულიანა სერგეენკოს გადაღება ქრისტიან დიორამდე. ეს იყო პირველი შემთხვევა როცა მე, ან ჩვენ რომელიმემ, გადავუღეთ ობიექტს, მის უკან ფოტოგრაფების ჯგუფით. ახლა ამას ყველა ვაკეთებთ, მაგრამ მაშინ ეს გიჟური იდეა იყო. ეს ძალიან კარგად მახსენდება.

11) ვინ არის „ქუჩის სტილის“ იდეალი თქვენთვის?

ჰმ, ქრისტინ სენტენერა, ანიტა მისლინი, სარა ჰარისი, ჯულია საგი, იზაბელ კონტური. ეს გოგოები მაგრები არიან.

12) როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანს იქნება „ქუჩის სტილი“ ისევ პოპულარული და მნიშვნელოვანია თუ არა ეს?

ძნელია ამის თქმა. ფაქტია რომ სტილმა ზენიტს მიაღწია. მაგრამ ამით შეიძლება ფულის გაკეთება და ხალხი გააგრძელებს ამ სტილის ათვისებას, სანამ ინტერესს არ დაკარგავს მის მიმართ. საბედნიეროდ მე არასოდეს მიკეთებია ეს ფულისთვის. მე ამას ვაკეთებ იმიტომ, რომ მიყვარს ამის კეთება. მე შემიძლია ნაკლები შოუ გადავიღო და იმდენივე ფული ვიშოვნო... მაგრამ მე მიყვარს გადაღება. ასე რომ, მე გავაგრძელებ ბევრ მუშაობას და გავაკეთებ ამას მას მერეც, რაც ეს სტილი მოდიდან გადავა.

13) მოდა ხელოვნებაა თუ ბიზნესი? და რატომ?

ორივე. დღესდღეობით ეს ორი რამ ვერ არსებობს ერთმანეთის გარეშე. ფულის გარეშე ხელოვნება ვერ იარსებებს. მე კი ვიღებ ჩემი სიამოვნებისთვის, მაგრამ იმ ხალხის გარეშე, ვინც ამას ყიდულობს, ეს იქნებოდა ფუჭად დახარჯული ენერგია და სახსრები.

14) ვინ არის თქვენი საყვარელი დიზაინერი?

ფებ ფილო, სტელა მაკარტნი, სედრიკ ჯაკუმუსი, ბორის ბიდიან საბერი.

15) ვინ არის დიზაინერი, ვისთან მუშაობაზეც გიოცნებიათ?

ტომ ბრაუნი, დრის ვან ნოტენი, რიკ ოუვენსი, ანნ დემიულიმისტერი.

16) რომელია თქვენი საყვარელი მოდის კვირეული და სეზონი?

მამაკაცთა მოდის კვირეული ივნისში, პარიზში.

17) სად ვნახავთ ადამ კათზ სინდინგს 10 წლის შემდეგ?

ალბათ, ისევ გარე ჩვენებების გადაღებისას, თუ ჯანმრთელობამ არ დამაღალატა.

18) რის გაკეთებას აპირებთ უახლოეს მომავალში?

ისევ და ისევ გადაღებას და მოგზაურობას.

ქეთევან გვარამაძე - მსოფლიო მოდის ჯელისებიდან

ტექსტი: ია ვეკუა / ფოტო: MICHAEL BEAUPLET

ზუსტად ისე, როგორც ზღაპარში, ქეთევან გვარამაძის ცხოვრებაც ერთ დღეში შეიცვალა, თუმცა რეალური ცვლილება მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ საკუთარი ოსტატობის დასახვეწად გაწეული დაუღალავი შრომის შედეგად მოვიდა. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ქეთევან გვარამაძე მსოფლიო მოდის კულუარების ყველაზე წარმატებული ქართველი წარმომადგენელია – მის პროფესიას მარტივად სტილისტი ჰქვია, თუმცა ეს სიტყვა პრაქტიკულად ყველაფერს აერთიანებს, რაც კოლექციის პოდიუმზე ღირსეულად წარმოსაჩენადაა საჭირო. მისი სამუშაო მაშინ იწყება, როდესაც მოდელების შესარჩევად ემზადებიან და მთავრდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩვენების მუსიკის უკანასკნელი აკორდი გაისმის.

ქეთევან გვარამაძემ საქართველო უამრავი ემიგრანტის მსგავსად 20 წლის წინ დატოვა, თუმცა მათი უმეტესობისგან განსხვავებით კონკრეტული მიზანიც ჰქონდა და ამ მიზნის განსახორიელებლად საჭირო თვისებებიც: სტილის შეგრძნება, თანამედროვე აზროვნება და ინოვაციური იდეები.

დღეს ქეთევან გვარამაძე NARGIS-ის ექსკლუზიური სტუმარია – მსოფლიო მოდის ყველაზე საი-

დუმლო გარდერობში სწორედ მასთან ერთად შევიხედავთ.

– თითქმის ოცი წლის წინ თქვენს ცხოვრებაში ყველაფერი შეიცვალა: დატოვეთ საქართველო და უცხოეთში გაემგზავრეთ. საინტერესოა, რამ მიგიყვანათ ამ გადაწყვეტილებამდე? როგორი იყო თქვენი ცხოვრება ემიგრაციამდე?

– თარჯიმნის პროფესიას ვეუფლებოდი, თუმცა გარკვეულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა და სოციალურმა მდგომარეობამ მაიძულა საქართველო დამეტოვებინა... დედამ ნიუ-იორკში წასვლა შემომთავაზა, რადგან იქ მისი ერთ-ერთი ბიძაშვილი ცხოვრობდა და ფიქრობდა, რომ მარტო არ ვიქნებოდი. გადაწყვეტილება მალე მივიღე და ამერიკაში გავემგზავრე.

– როგორი იყო ემიგრაციის პირველი პერიოდი, უცხო გარემოსთან და ადამიანებთან შეგუებისა და თავის დამკვიდრების პროცესი?

– ემიგრაციით ჩემს ცხოვრებაში დიდი ცვლილება მოხდა. რა თქმა უნდა, მენატრებოდნენ მეგობრები და ოჯახის წევრები, მაგრამ როგორც კი ნიუ-იორკში ჩავედი, მივხვდი, რომ აქ ვიცხოვრებდი. მომეწონა აქაური ხალხი, მათი ენერგეტიკა და მენტალიტეტი. თავი მაშინვე ისე ვიგრძენი, როგორც საკუთარ სახლში.

– ალბათ გქონდათ განსაკუთრებით მძიმე პერიოდიც. გიფიქრიათ ყველაფრის მიტოვებასა და უკან დაბრუნებაზე?

– არასდროს! რაც მეტი დრო გადიოდა, მით უფრო ბედნიერი ვიყავი და ვგრძნობდი, რომ აქ დამკვიდრება სწორი გადაწყვეტილება იყო.

– როგორი იყო გარდატეხის პროცესი? ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც თქვენი შესაძლებლობები შენიშნეს, შეგაფასეს და ახალი ცხოვრების დაწყების საშუალება მოგცეს?

– სოჰოში მდებარე მოდურ იტალიურ რესტორან „ჯორჯონეში“ მიმტანად ვმუშაობდი. ეს რესტორანი მოდის სამყაროს ვარსკვლავების სტუმრობითაა ცნობილი. სწორედ აქ შევხვდი შივონ ბონუვიეს, ქალბატონს, რომელმაც ხელი შეუწყო ჩემს კარიერას მოდის ინდუსტრიაში. რესტორანში ბევრჯერ მყავდა ნანახი და ერთ დღეს საც საუბარში ახსენა, რომ „ალურის“ ფეშენ დირექტორი იყო. წამომცდა, ასისტენტად ამიყვანეთ-მეთქი. ერთ თვეში მართლაც დამირეკა და მთხოვა, მეორე დღეს გადაღებებზე მისი ასისტენტი ვყოფილიყავი. მეც, რა თქმა უნდა, მაშინვე დავთანხმდი...

– როგორი იყო პირველი წლები და პირველი წარმატება მსოფლიო მოდის სამყაროში?

– ასეთ ჟურნალში მუშაობა საოცრად ჟღერს, მაგრამ სინამდვილეში ძალიან რთული აღმოჩნდა: გრძელი სამუშაო საათები, არანაირი დასვენება, ფიზიკური შრომა და ძალიან მომთხოვნი ხელმძღვანელობა. მაქსიმუმს ვაკეთებდი, რომ ლეგენდარულ პიროვნებებთან მუშაობის შესაძლებლობა მქონოდა. ვიცოდი, იღბალმა გამიღიმა, რადგან ასეთი შესაძლებლობა მომეცა, ამიტომ ყურადღებით ვისმენდი და ხარბად ვისრუტავდი ყველა სიტყვას. როდესაც „ვოგის“ სპეციალური გამოშვებისთვის ქეით მოსის გადასაღებად მარიო ტესტინოსთან ერთად ლონდონში მიფრინავ, სტივენ მეისელთან ერთად ქენდის სუენპოულს იტალიური „ვოგის“ გარეკანისთვის იღებ ან პატრიკ დემარშელიესთან ერთად ქრისთი თარლინგტონთან მუშაობ, ამ დროს ბევრს სწავლობ. გამიმართლა, რადგან საუკეთესოთაგან სწავლის შესაძლებლობა მომეცა. 6 წლიანი მძიმე შრომის შემდეგ ამერიკული „ვოგის“ შტატგარეშე „ფეშენ“ რედაქტორად დამიქირავეს – ეს უკვე დიდი წარმატება იყო.

– როგორია თქვენი სამუშაოს სპეციფიკა? რა შედის თქვენს მოვალეობაში? რა როლს თამაშობს სტილისტი მთლიანი კოლექციის შეკვრაში?

– ჩემი სამუშაო მრავალმხრივია და სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა და სხვა როლის შეთავსება მიწევს. ჩემი, როგორც ჟურნალის „ფეშენ“ რედაქტორის ვალდებულებაა, შევქმნა და წარმოვადგინო გადაღების კონცეფცია და სტილი. ეს გულისხმობს ფოტოგრაფებისა და მოდელების დაქირავებას, თმისა და მაკიაჟის შერჩევას და ა.შ. პროდუსერებთან ერთად ვარჩევ გადაღების ადგილს, ვგეგმავ დღეს, მთავარ კონცეფციას და მო-

დელთა სტილს. ყოველ სეზონზე რამდენიმე დამოუკიდებელ დიზაინერთან ვმუშაობ და კოლექციებსა და ჩვენებებთან დაკავშირებით კონსულტაციას ვუწევ. სწორედ მე ვაყალიბებ ძირითად კონცეფციას და სეზონის მიმართულებას, ვქმნი კოლექციის ხასიათს და მკაფიოდ განვსაზღვრავ სტილს. ასევე ვგეგმავ ჩვენებას – ყველაფერს, დაწყებული აქსესუარებიდან, დამთავრებული ფეხსაცმელით, ვაწყობ მოდელთა კასტინგს, ვარჩევ მუსიკას, ვამოწმებ და ვადასტურებ ჩვენების ადგილს, მოდელების ვარცხნილობასა და მაკიაჟს. კოლექციის შექმნიდან მის პოდიუმზე გატანამდე ფაქტობრივად დიზაინერებთან ერთად ვმუშაობ. გარდა ამისა, მოდელებს ვურჩევ როგორც ყოველდღიურ, ასევე წითელი ხალიჩის სტილს. ეს სამუშაო უფრო განსხვავებულია, რადგან უშუალოდ გოგონას და მის პიროვნებას ეხება. სწორედ ჩემი საქმეა, შევურჩიო სტილი და ნაკლები ძალისხმევით მაქსიმალური შედეგი მივაღებინო. როდესაც მაიქლ კორსისა და „ტიფანის“ კომერციულ პროექტებზე ვმუშაობდი, შიდა გუნდთან ერთად ვარჩევდი გადაღების სტილს. ასეთი პროექტების დროს ყურადღებას კლიენტის მოთხოვნილებებზე ვამახვილებ და სტილს მათი მოთხოვნების შესაბამისად ვარჩევ.

– მსოფლიოს თანამედროვე დიზაინერები და მოდელები – მოგვიყევით მათ შესახებ. ვინ არიან თქვენი ფავორიტები, ვისთან მუშაობისას იღებთ განსაკუთრებულ სიამოვნებას?

– მიყვარს ედიტა ვილკევისიუტეს, დოუცენ კრუს, კარმენ პედარუსა და კაროლინა კურკოვასთან მუშაობა. წლების მანძილზე ძალიან დავახლოვდით და მათ მეგობრებად მივიჩნევ. როდესაც დიზაინერის ახალ კოლექციას ვხედავ, უკვე ზუსტად ვიცი, ვის რა უნდა ეცვას. ვაღმერთებ მაიქლ ქორსს – ის შესანიშნავი, ძალიან მომხიბლავი დიზაინერია და იცის მხარდაჭერა. მასთან ბუკლეტებსა და რეკლამებზე ვმუშაობ. ასევე კონსულტაციას ვუწევ მამაკაცთა აქსესუარების ბრენდს. ვთანამშრომლობ დიზაინერ ჯონათან მეიზლერთან. ბოლო დროს სწორედ მისი სამკაულებისა და ტყავის ჩანთების კოლექციაზე ვმუშაობდი. ასევე კონსულტაციას ვუწევ CFDA-ს რამდენიმე დიზაინერს, ვეხმარები მიშა ნონოს, ახალგაზრდა დიზაინერს, რომელსაც ბევრი ცნობილი სამოდელო სახლი აკვირდება.

– ინსპირაციას საიდან იღებთ? რომელი ეპოქა ან სტილი გაძლევთ შთაგონებას?

– ჩემთვის 70 და 90-იანი წლების სტილი ყველაზე ახლობელია, თუმცა გააჩნია, რა პროექტზე ვმუშაობ. შთაგონება შეიძლება ნებისმიერი მხრიდან მოვიდეს. მე შეპყრობილი ვარ ხელოვნებით და თვეში სამჯერ მაინც დავდივარ ჩელსის გალერეებსა და მუზეუმებში. საოცარია ნიუ-იორკის ქუჩებში სიარული – თვალს თუ გაახელ, ბევრ რამეს დაინახავ. რა თქმა უნდა, მათ შორისაა კინემატოგრაფიც, რომელიც დიდ შთაგონებას მაძლევს.

– გვირჩიეთ – როგორ ვიპოვნოთ საკუთარი სტილი?

– სტილი ძალიან სუბიექტური მოვლენაა, ამიტომ თუ საკუთარი თავის სწორი აღქმა გაქვს, აუცილებლად მიაგნებ რამეს.

– როგორია 2015 წლის შემოდგომა-ზამთრის ტენდენციები? რაზე გაამახვილებენ ყურადღებას დიზაინერები?

– ჩვენ სწრაფად ცვალებად სამყაროში ვცხოვრობთ, სადაც ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. მოდაც თვალის დახამხამებაში იცვლება და ვითარდება, ამიტომ კონკრეტული სტილი აღარ არსებობს. ვფიქრობ, დიზაინერები უფრო მეტად ფოკუსირებულნი უნდა იყვნენ. თანამედროვე მოდაში ჩემთვის სიახლე ფიბი ფილოს, ნიკოლას გესკვაერს, მუჩია პრადასა და ჰედი სლიმეინს მოაქვთ. ვფიქრობ, მოდა უნდა იყოს ახალგაზრდული, თანამედროვე, სპორტული. მნიშვნელოვანია ისეთი დეტალების გამოყენებაც, რომლებიც კონკრეტულ დროს ასახავს.

- რამდენად კარგად იცნობთ ქართულ მოდას? შეაფასეთ ქართველი დიზაინერების შესაძლებლობები.

- ქართველი დიზაინერების უმეტესობა ევროპელი და ამერიკელი დიზაინერების გავლენის ქვეშაა. ჩემი რჩევაა, საკუთარი თავი იპოვნონ და საკუთარი შეგრძნებები გამოსახონ. მომწონს თამუნა ინგოროყვას დიზაინი... მისი ნამუშევრების ხარისხი, დეტალები და კერვის სტილი მართლაც განსაკუთრებულია, ხოლო მისი ორმხრივი ქაშმირის ნაჭრები მდიდრული და დახვეწილია.

- მიყვარს ედიტა ვილკევისიუტეს, დოუცენ კრუს, კარმენ პედარუსა და კაროლინა კურკოვასთან მუშაობა. წლების მანძილზე ძალიან დავახლოვდით და მათ მეგობრებად მივიჩნევ.

© PHOTO: MICHAEL BEAUPLET / © STYLE: KETEVAN GVARAMADZE

N-Duo A/W 2015

Lalo Cardigans A/W 2015

MORE DASH

More Dash უკვე წარმატებით აგრძელებს პარიზის მოდის კვირეულის ფარგლებში შოურუმის წარმოდგენას, სადაც უკრაინელ და ყაზახ დიზაინერებთან ერთად ქართველი დიზაინერები - Anouki, Lalo Cardigans და N-Duo არიან წარმოდგენილნი.

ANOUKI A/W 2015

დარია შაპოვალოვა, ლიკა კვარაცხელია, თაკო ჩხეიძე

SHOWROOMS

თამუნა ინგოროყვა

TRANOI

Tranoi ერთ-ერთი საუკეთესო შოურუმია პარიზში, სადაც უკვე მეათე სეზონია "luxury" განყოფილებაში წარმოდგენილია ქართველი დიზაინერების კოლექციები: ავთანდილი, თამუნა ინგოროყვა და ქეთი ჩხიკვაძე.

ავთანდილ ცქვიტინიძე

ქეთი ჩხიკვაძე

TBILISI
FASHION
WEEK®

16-19 APRIL
A/W 2015/16

www.tbilisifashionweek.com

NEW YORK
FALL 2015 REVIEW

Alexander Wang

Alexander Wang-ის 2015 წლის შემოდგომა/ზამთარის კოლექცია ძირითადად შავ ფერში იყო წარმოდგენილი. "მომხმარებელს სურს შავი ფერი და რატომ არ უნდა დავაკმაყოფილოთ მათი მოთხოვნები?!" - განაცხადა დიზაინერმა.

Alexander Wang Fall 2015

Alexander Wang Fall 2015 Backstage


Mary-Kate and Ashley Olsen

The Row ამერიკული ბრენდი რომელსაც ტყუპები Mary-Kate და Ashley Olsen-ი ქმნიან, შეიძლება შევაფასოთ, როგორც "Pure" მინიმალიზმი.

The Row Fall 2015

The Row Fall 2015

Victoria Beckham

Victoria Beckham Fall 2015

Jack McCollough and Lazaro Hernandez

Proenza Schouler ყოველთვის გამოირჩევა განსხვავებული კონცეფციითა და ფერების, ფაქტურების საინტერესო შეხამებით.

Proenza Schouler Fall 2015 Backstage

Proenza Schouler Fall 2015

Victoria Beckham Fall 2015

Victoria Beckham ამ სეზონზე საკმაოდ ძლიერი კოლექციით წარდგა. გამოკვეთილი იყო ქალური სილუეტები.

Mary Katrantzou Fall 2015 Backstage

Mary Katrantzou - პრინტების დედოფალი. ასე მოიხსენიებენ მას, როგორც დიზაინერს. მისი კოლექცია ყოველთვის გამოირჩევა ფერებისა და ფაქტურების საინტერესო შეხამებით.

Mary Katrantzou Fall 2015

Mary Katrantzou

David Koma

David Koma-ს კოლექციები ყოველთვის გამოირჩევა განსაკუთრებული სტილითა და გემოვნებით ლონდონის მოდის კვირეულზე. მისი მკაცრი და სიმეტრიული ფორმები ერთგვარ იმიჯს უნარჩუნებს ბრენდს და საინტერესოს ხდის.

David Koma Fall 2015

David Koma Fall 2015


Jonathan Saunders

Jonathan Saunders ასევე გამოირჩევა საოცარი პრინტებითა და ქსოვილების საინტერესო შეხამებით. მისი სამოსი ექსპერიმენტების მოყვარული, რისკიანი ქალბატონებისთვის არის შექმნილი.

Jonathan Saunders Fall 2015

Jonathan Saunders Fall 2015

Christopher Kane Fall 2015

Christopher Kane Fall 2015

Christopher Kane Fall 2015 Backstage

Christopher Kane-ის კოლექციები ყოველთვის კრეატიული, კომერციული და ტენდენციურია. თითქოს მკაცრი კოლექცია, ამავდროულად, ძალიან ქალური და დახვეწილია.

Christopher Kane

LONDON
FALL 2015 REVIEW

MILAN
FALL 2015 REVIEW

Miuccia Prada


Prada Fall 2015 Backstage

Prada Fall 2015

Miuccia Prada-ს კოლექციები ყოველთვის ერთ-ერთი საუკეთესოა მილანის მოდის კვირეულზე. 2015 წლის შემოდგომა/ზამთარი პრადასთან ერთად ძალიან ფერადი და მხიარულია.

Max Mara Fall 2015

Rodolfo Paglialunga


Jil Sander Fall 2015


Jil Sander Fall 2015

Max Mara Fall 2015

Max Mara Fall 2015

Max Mara-ს 2015 წლის შემოდგომა/ზამთრის კოლექციის ინსპირაცია 50იანი წლების კინო ლეგენდის მერლინ მონროა. კოლექცია მასსავით ქალური, ზომიერად სექსუალური და დახვეწილია.

Jil Sander ყოველთვის გამოირჩევა მინიმალიზმის არაჩვეულებრივი შეგრძნებით და დეტალების კარგად შეხამებით.

Consuelo Castiglioni

Marni Fall 2015

Marni - კვლავაც მოწინავე პოზიციაზეა მილანის მოდის კვირეულზე, როგორც გემოვნებიანი დ საინტერესო ბრენდი. მოდის სახლის კრეატიული დირექტორი Consuelo Castiglioni ყოველთვის ცდილობს ფერადი და საინტერესო სამოსი შექმნას.

Marni Fall 2015 Backstage

Karl lagerfeld

Chanel Fall 2015 Backstage

Chanel Fall 2015


Chanel Fall 2015

Chanel - ის კოლექცია ყოველთვის გამორჩეული და საინტერესოა თავისი ლოკაციით, კონცეფციით. 2015 წლის შემდოგომა/ზამთარი ერთგვარი მოგზაურობა იყო ფრანგულ "Brasserie"-ში.

Dries Van Noten Fall 2015

Dries Van Noten Fall 2015

Dries Van Noten


Stella McCartney

Stella McCartney Fall 2015

Stella McCartney Fall 2015

Dries Van Noten ყოველთვის განსაკუთრებულად აქცევს ყურადღებას დეტალებს, რაც მის კოლექციას ერთიან საინტერსო იერს აძლევს.

Alber Elbaz

Lanvin Fall 2015 Backstage

Lanvin Fall 2015

Alber Elbaz უკვე წლებია წარმატებით უძღვება Lanvin-ის მოდის სახლს. ამ სეზონზე დიზაინერმა მუქ ტონალობებს მიანიჭა უპირატესობა და არც აქსესუარები დაიშურა ქალბატონებისთვის.

Stella McCartney - დიზაინერი, რომლის კოლექციები ყოველთვის ზომიერად სექსუალური, ქალური და კრეატიულია. 2015 წლის შემოდგომა/ზამთრის კოლექცია კი ამის დასტურია.

PARIS
FALL 2015 REVIEW

Vêtements
by Demna Gvasalia

ბრენდი Vêtements შეისწავლის, არჩევს და თავიდან განსაზღვრავს მოდის არსს ისეთი სამოსის შექმნით, რომელიც უნდა ატარონ. ბრენდი თავს არიდებს წამყვან ტენდენციებსა და მიმართულებებს და ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მიანიჭოს მომხმარებელს თავისუფლება, თავად ჩამოაყალიბოს საკუთარი ვიზუალური ხედვა. ბრენდის ნაწარმი არ მოგვითხრობს თავის ისტორიას, ის უბრალოდ სთავაზობს მომხმარებელს ახალ გარდერობს, რომელშიც ძველისა და ახალის არევით შესაძლებელია პერსონალური სტილის არჩევა და არა, უბრალოდ, „მოდური უნიფორმის“ მორგება. ელეგანტურად შექმნილი სამოსი განაპირობებს ქცევის ძლიერ და მსუბუქ მანერას.

Vêtements შთაგონებას მამაკაცის გარდერობიდან იღებს, სადაც შეკერვის ხარისხი ყველაზე საყურადღებო ფაქტორია. ბრენდის მუშაობას საფუძვლად უდევს კვლევა, რომლის მიზანია, ერთმანეთს დაუკავშიროს სამოსი და მისი მომხმარებლის სხეული და დამოკიდებულება. ქუჩის სტილი ხშირად არის გამოყენებული კოლექციებში, რაც შემდგომ ვლინდება გადაჭარბებული პროპორციებით, კონტრასტული სილუეტებით, აუთენტური მასალითა და მოთამაშე სტილით. საბოლოო ჯამში, მიზანი სამოსის შექმნაა და ისეთი სამოსის, რომელსაც დააფასებენ უნიკალური კრეატივისა და ტექნიკური ხარისხის გამო.

Vêtement დაარსებულია ბელგიაში ანტვერპენის სამხატვრო სამეფო აკადემიის კურსდამთავრებულის, დემნა გვასალიას მიერ. შვიდწლიანი მოღვაწეობის პერიოდში Maison Martin Margiela-სა და Louis Vuitton-თან, გვასალია ამუშავებდა თავის ჩანაფიქრს, ნოვატორ მეგობრებთან და ყოფილ კოლეგებთან ერთად დაეარსებინა გუნდი, რომელიც ფოკუსირებული იქნებოდა ისეთი ტანსაცმლის შექმნაზე, რომელსაც თავადაც სიამოვნებით ჩაიცვამდნენ. მან დიდი სიფრთხილით შეკრა შესაფერისი გუნდი და 27 "ლუქისგან" კოლექცია 2014 წლის მარტში წარადგინა. კოლექცია გაიყიდა 27 აქციონერზე მსოფლიოს მასშტაბით. მისი მეორე კოლექცია პარიზის მოდის კვირეულზე იყო ნაჩვენები და მან დიდი გამოხმაურება ჰპოვა ვებსაიტებზე – Style.com, DazedDigital, NowFashion და აგრეთვე მსოფლიოს 46 აქციონერისაგან.

Spring Sense

Photo: Dennison Bertram / STUDIO REPOSSI
Model: Ana Shelia / BRAVE MODEL MANAGEMENT
Stylist: Elena Bellini / STUDIO REPOSSI
Hair: Giovanni Erroi / GREENAPPLE
Makeup: Erica Vellini / GREENAPPLE
Production: www.studiorepossi.com

MAX MARA (look n. 9) long silk dress.
Cotton and leather hight boots

TER ET BANTINE silk jacket
ETRO hight waist suede pants

ETRO (look 29) long silk drew
with embroidery

GUCCI (look n.25) silk shirt and pants, foulard and belt

ALBERTA FERRETTI chiffon
bustier dress with sequins
and plastic flowers

SPORTMAX (look n. 21)
long cotton dress

BLUMARINE (look 11)
silk mini dress with embroidery
of sequins

BLUMARINE chiffon
t-shirt with flower embroidery.

Advanced Style BOOM

Ari Seth Cohen გახლავთ პირველი ბლოგერი, რომელიც დაინტერესდა ასაკოვანი ადამიანების სტილით. ამ ადამიანების ჩაცმულობა, სტილი, ინდივიდუალიზმი,თავდაპირველად, ბლოგის ავტორისთვის აღმოჩნდა საინტერესო, დღესდღეისობით კი მსოფლიოში წამყვანი მოდის სახლები იღებენ თავიანთი ბრენდის სახეებად ასეთ ადამიანებს. გთავაზობთ არისთან ინტერვიუს.

1) როდის შექმენით თქვენი ბლოგი, ედვანსდ სთაილი(ასაკოვანთა სტილი)?

მე ის 2008 წელს შევქმენი, როდესაც კალიფორნიიდან ნიუ იორკში გადავედი.

2) რატომ ასაკობანთა სტილი?

ყოველთვის ვგრძნობდი სიახლოვეს ხნიერ ადამიანებთან. ჩემი ბებიები ჩემი საუკეთესო მეგობრები იყვნენ. ისინი ყველაზე საინტერესო და დახვეწილი სტილის ადამიანები იყვნენ მათ შორის, ვინ ოდესმე მინახავს. მე შევამჩნიე, რომ ასაკოვანი ადამიანები მოკლებულნი იყვნენ პოზიტიურ წარდგენას და გადავწყვიტე შემეთავაზებინა ჩემი ხედვა, თუ როგორია დაბერება სამყაროსთან ერთად.

3) დღეს მოდის სამყაროში ნამდვილი ბუმია ხნიერ ადამიანებთან დაკავშირებით. დოლჩე და გაბანამ, სელინმა, ქეით სპეიდმა, სენ ლორანმა და ბევრმა სხვამ დაიწყო თავიან კამპანიებში ასაკოვანთა გადაღება. რატომ გგონიათ? რატომ დაიწყეს მათ ეს? ეს ახალი მიმართულებაა, თუ რაიმე განსაკუთრებულის გამოხატვის საშუალება?

ვფიქრობ, ბოლო წლებში გაჩნდა ზრდადი მოძრაობა, კამპანიაში ხნიერ ქალბატონთა ჩართვის მიზნით. რამდენიმე წლის წინ მე გადავიღე კამპანია კარენ უოლქერისთვის, სადაც ვარსკვლავები ასაკოვანი ქალბატონები იყვნენ. ასევე დავეხმარე ლანვინის კამპანიას, სადაც ავარჩიეთ 65 წლის ციპორა სალამონი და 82 წლის ჟაკ ტაჯა მერდოკი. ხნიერი ქალბატონები ყოველთვის საინტერესონი იყვნენ, უბრალოდ მოდის სამყაროში მათ მრავალი წლის მანძილზე ვერ ამჩნევდნენ. მე ეს არასდროს მესმოდა, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მათ მრავალფეროვნება შემოაქვთ ბაზარზე. ხნიერ ქალბატონში დიდი ძალა იგრძნობა. ის თითქოს ამბავს მოგითხრობს და როდესაც ახალგაზრდა ქალი შეხედავს მის გამოსახულებას, იტყვის, „ერთი სული მაქვს როდის დავბერდებიო“. გარდა ამისა, ეს კამპანია ბევრ ხნიერ ქალბატონში გამოიწვევს ინტერესს და მისცემს მათ მუხტს.

ვინ იგრძნობს ასეთ რამეს ფოტოშოპით დამუშავებული თინეიჯერის ფოტოსურათის ნახვისას?



4) ვინ არის თქვენთვის სტილის მთავარი სახე?

ჩემი ბებიები, ჰელენი და ბლუმა. უენი დი ფილიპო, დერილ ოსბორნი, კერი გრანტი და ლიბერასი.

5) რა არის ის, რაც ხნიერ ხალხს ასეთ უნიკალურს ხდის?

მათი ამბები, ისტორიები და ხასიათი. ისინი სხვებისთვის არ იპრანჭებიან. მათ დროთა მანძილზე თავიანთი საკუთარი სტილი გამოიმუშავეს და იცვამენ იმას, რაც მათ აბედნიერებთ.

ტექსტი: ირა დე კიუფი / ფოტო: JACQUES BENEICH

სტეფან ჰოლან

მაღალი მოდა ტყუილის გარეშე

სტეფან როლანი - მოდის ინდუსტრიაში იშვიათი ფენომენია. უკვე რამდენიმე წელია, რაც პარიზის ცნობილი მოდის სახლებში მუშაობის შემდეგ ფრთები უკვე თავადაც გაშალა... 21 წლის ასაკში ბალენსიაგას მამაკაცის ხაზის შემოქმედებითი დირექტორი იყო, 25 წლისა - ჯანის ფესტივალის პარტნიორი, ჟან-ლუი შერერთან მოდის ინდუსტრიის ხაზის დირექტორი... იგი სულ ახალგაზრდა გახდა ცნობილი და ამასთან მან შეძლო შეენარჩუნებინა მგძნობელობა და სიმართლის თქმის ერთგულება. იგი საუბრობს იმის შესახებ, რაზეც სხვები საუბარს ვერ ბედავენ: უბრალოდ და გულწრფელად, მიკიბ-მოკიბვის გარეშე. რადგან, როგორც სტეფანს მიაჩნია, „მაღალი მოდა ტყუილს ვერ იტანს".

მას გეორგ V-ის ავენიუზე მდებარე თავის ატელიეში ვხვდები, რომელსაც ბალენსიაგას ყოფილი სახლის ოთახები უკავია. მხატვარს გავს, შესაძლოა თავისი გრძელი თმის გამო. ეიფელის კოშკის ზღაპრული ხედი სულაც არ ჩრდილავს იმ ინტერიერის შავ-თეთრ დიზაინს, რომელიც თანამედროვეობის და კლასიკის შეხამებას წარმოადგენს. ისევე, როგორც სტეფან როლანის ჩაცმულობა: შავი პიჯაკი, შავი ჯინსი, შავი მაისური და თეთრი სპორტული ფეხსაცმელი... მისი კაბინეტი, სადაც ვსაუბრობთ, წარმოადგენს მრავალმხრივად ნიჭიერი ბუნების ცოცხალ განსახიერებას: ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ჩანთების, ინტერიერების, სუნამოს ფლაკონების ესკიზების – უამრავი ჩანაფიქრის და რეალიზაციის სტადიაში მყოფი პროექტის ადგილსამყოფელს.

რა გიზიდავდათ ყველაზე მეტად ბავშვობაში?
დედაჩემი „პიქტოში", პარიზის ყველაზე დიდ ფოტოსტუდიაში მუშაობდა. იქ ტარდებოდა ყველა ფოტოსეანსი მოდური ჟურნალებისა და კინოსთვის. ამიტომაც ჩემი პირველი ბავშვური შთაბეჭდილებები დაკავშირებულია ფოტოგრაფიასთან, ისეთ პერსონაჟებთან, როგორიცაა დავიდ ჰამილტონი და ჟან-ლუ სიეფი. მომწონდა ყველაფერი, რაც სცენურ ხელოვნებას ეხებოდა, მსურდა, რომ მომღერალი ან მსახიობი გავმხდარიყავი.
ვფიქრობ, ცხოვრებაში შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე როლის თამაში. გულის სიღრმეში კი თავიდანვე ვიცოდი, რომ დიზაინერი ვიქნებოდი.

რა მოგონებები დაგრჩათ თქვენს პირველ ნაბიჯებზე მოდელირებაში?
ეს სუფთა ჰაერის შესუნთქვას ჰგავდა. როგორც იქნა, თავი საკუთარ სტიქიაში ვიგრძენი. სწავლის დროს

შევხვდი ადამიანებს, რომლებთანაც ერთ ენაზე ვსაუბრობდი. და კიდევ მერგო ბედნიერება მყოლოდა მასწავლებლები, რომლებიც დიორთან, ბალმანთან, ბალენსიაგასთან – დიდ პიროვნებებთან მუშაობდნენ! სწორედ ამან მომცა საშუალება პირდაპირ შევხებოდი მათ ისტორიას.

თქვენ დაიწყეთ მუშაობა ბალენსიაგასთან და 21 წლის ასაკში უკვე გახდით მისი მამაკაცის ხაზის დირექტორი. რთული ხომ არ იყო ასეთ ახალგაზრდულ ასაკში ასეთი პასუხისმგებლობის აღება?
როდესაც ვიწყებდი მუშაობას ბალენსიაგასთან, ვიცოდი, რომ შეცდომის დაშვების უფლება არ მქონდა. საჭირო იყო დაკვირვება, გაგება და შემოქმედებითობა... მხატვრული ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავება 21 წლის ასაკში – ნამდვილი სიგიჟეა.

რითი განსხვავდებოდა იმ ეპოქის მოდა დღევანდელი მოდისაგან?
ზოგადად, რაიმე განსაკუთრებული განსხვავება არ არის, გარდა ტექნოლოგიური პროგრესისა. ყველაფერი ხომ ციკლურია, წარსული წლების ტენდენციები კვლავ ბრუნდება, ირევა ერთმანეთში, ხდება მათი ხელახალი ინტერპრეტაცია... ზოგი პერიოდი უფრო ღარიბია დიზაინის კუთხით, ზოგი უფრო მდიდარი. დღეს კიდევაც თუ აქვს ადგილი რაიმე მოდურ მიმართულებას, თვით მოდა, როგორც ასეთი, როგორც ერთი მთლიანი, აღარ არსებობს.

> დღეს კიდევაც თუ აქვს ადგილი რაიმე მოდურ მიმართულებას, თვით მოდა, როგორც ასეთი, როგორც ერთი მთლიანი, აღარ არსებობს

როგორ უნდა იპოვო შენი ადგილი ელიტური მოდის სამყაროში?
პირველ რიგში, კარგად უნდა იცნობდე საკუთარ თავს. პატივს ცემდე შენს თავს. რადგან ის, რასაც თქვენ გამოხატავთ თქვენი მოდელების საშუალებით, თქვენი ანარეკლი იქნება. თუ გულწრფელი ხართ თქვენს შემოქმედებაში, რასაც შექმნით – იმთავითვე იგრძნობენ თქვენი მაყურებლები.

რომელმა ცნობილმა მოდელიორებმა იქონიეს თქვენზე უდიდესი გავლენა?
ო, ასეთი ბევრია! ჩემზე თავზარდამცემი შთაბეჭდილება პირველმა ქრისტობალ ბალენსიაგამ მოახდინა... შემდგომ – პიერ კარდენმა, კერძოდ, მისმა სამოცდაათიანი წლების კოლექციამ... შანელმა, რომელმაც გაათავისუფლა ქალის სხეული, შეურია რა ერთმანეთს მამაკაცის და ქალის სტილი... და რა თქმა უნდა, ივ სენ-ლორანმა.

აი უკვე რამდენიმე წელია, რაც თქვენ საკუთარი მოდის სახლი დააფუძნეთ. რამდენად ადვილია იყო თავისუფალი ფრინველივით?
საკუთარი მარკის შექმნა – ეს პირველ რიგში დიდი პასუხისმგებლობაა. ამასთან, როდესაც „ლუქსი“ ავირჩიე, ვიცოდი, რომ რისკზე მივდიოდი. მე დავიწყე მოდის ინდუსტრიით იმისათვის, რომ შემდეგ მზა სამოსზე გადავსულიყავი. ჯერ უნდა გამოიმუშავო და დაამკვიდრო შენი სტილი და შემდეგ დაიწყო მისი გამოყენება მზა ტანსაცმლის კერვისას. დღევანდელ პირობებში საკუთარი ბრენდის შექმნა ფინანსური ხელშეწყობის გარეშე უბრალოდ არარეალურია. ადრე სულ სხვაგვარად იყო საქმე. ზოგიერთი განთქმული სახლი დღეს რომ დაბადებულიყო, საკითხავი იქნებოდა, როგორი ბედი ეწეოდა მას. მინდა, რომ ჩემი ბრენდი წარმატებით განვითარდეს, ამისათვის კი აუცილებელია პროფესიონალური და სანდო გარემო. იდეალურია, თუ შეინარჩუნებ შენს დამოუკიდებლობა სხვისი ფინანსებისგან, როგორც ეს კარდენმა გააკეთა. ამისათვის კი საჭიროა ბრძოლა, კომერციული მხარის მნიშვნელობის სრულად გაცნობიერებასთან ერთად.

როგორ განსაზღვრავდით თქვენი სახლის სტილს?
ჩემი სტილი ეფუძნება ხაზების სიწმინდეს და სიმარტივეს, ბუნებრიობას და ეფექტიანობას. ეს ერთგვარი კლასიციზმია, რომელიც დაკავშირებულია თანამედროვე ტექნოლოგიებთან. ჩემი გმირია განათლებული ინტელიგენტი ქალი, რომელიც ფილოსოფიურად უყურებს ცხოვრებას. მას უყვარს ხელოვნება და იცის, რა არის მთავარი და რა – უბრალო დეტალი. მე ვცდილობ კი არ დავახრჩო პიროვნება კაბაში, არამედ პირიქით ხაზი გავუსვა მის ღირსებებს. მინდა, რომ ყველამ, ვინც დაინახავს ქალს ჩემს კაბაში თქვას: „რა მშვენიერი ქალია!“ და არა – „რა მშვენიერი კაბაა!“

რა დაედო საფუძვლად თქვენს სტილს?
ხელოვნება, არქიტექტურა. მე ვარ იაპონური – უბრალო, გრაფიკული, მინიმალისტური სახლების დიდი მოყვარული. სწორედ ასეთი მინდა იყოს ჩემი კაბები. იმ მხატვართა სტილი, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ჩემი შეხედულება – ბრანკუზის, ზაჰა ჰადიდის, ანიშა კაპურის, სულაჟის – არის მკაფიო, ლაკონური და სწორხაზოვანი.
რონი არადი არის ჩემი საყვარელი დიზაინერი, იგი ახლოა ჩემთვის მის მიერ შექმნილ საგანთა უნაკლო პროპორციებით. მიყვარს ფორმათა სიუხვე და მგრძნობელობა.

ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ ამბობდით, რომ დიდად მნიშვნელოვანია „ცოცხალი კაბის შექმნა“. როგორ ახერხებთ ამას?
ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ვისაც იგი აცვია. თუ ქალი არის თავდაჯერებული, თუ კარგად იცნობს საკუთარ თავს, თავის სხეულს, შეუძლია მისი სხვებისთვის წარდგენა, შეუძლია მოხიბვლა თავისი იუმორით, შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ თქვენი კაბა მასზე „გაცოცხლდება“.

თქვენ ხშირად საუბრობთ კლიენტთან დიალოგის მნიშვნელობაზე...
ჩემთვის ეს მთავარია. კაბა იქმნება ორი ადამიანის მიერ. როდესაც დავიწყე მუშაობა ჟან-ლუი შერერთან (ათი წლის მანძილზე მისი მოდის ხაზს ვხელმძღვანელობდი), ცოტა არ იყოს გამიკვირდა, რომ დიზაინერები აღარ მოდიოდნენ სალონში კლიენტებთან შესახვედრად. როგორ შეიძლება ჩააცვათ ქალს, რომელზეც თქვენ სრულიად არაფერი არ იცით – საიდან არის იგი, რით ცხოვრობს? აქ ყველაფერს აქვს მნიშვნელობა: მის კულტურას, მენტალიტეტს, აღზრდას, მის ხასიათს და ნაკლოვანებებს, პრობლემებს... ჩემი ამოცანაა ქალის გაგება. ხოლო, თუ მისი გაგება გსურთ, იგი უნდა გიყვარდეთ.

> თუ არა ხართ გულწრფელი თქვენს შემოქმედებაში, იმაში, რასაც თქვენ ქმნით, ეს იმთავითვე იგრძნობა

და როგორ ურთიერთობთ ცნობილ კლიენტებთან?
ყოველ ცნობილ პიროვნებასთან ყველაფერი სხვადასხვანაირად ხდება. ლედი გაგასთან მუშაობა საინტერესო და სახალისო იყო. ეს იყო ჩემთვის მოულოდნელი პარტნიორობა, რადგან ჩვენ ხომ ისეთი განსხვავებული სტილი გვაქვს! ცნობილ პიროვნებასაც აქვს თავისი ეჭვები და ნაკლოვანებები... იგი გენდობა შენ და მისი კარიერა გარკვეულწილად შენზეა დამოკიდებული. თუ იგი უგემოვნოდაა ჩაცმული, თუ მისი კაბა რაც საჭიროა იმ ფერის არაა და მასზე ცუდად ზის – მისი იმიჯი შეიძლება ამით შეილახოს. ვარსკვლავები ერთდროულად ძლიერნიც არიან და სუსტებიც. ამიტომ საჭიროა მათი დაცვა, მომგებიანად წარდგენა.

მაშასადამე, თქვენ თავს გრძნობთ დამცველად?
გარკვეულწილად, ასეა. ალბათ ჩემში ლათინური ფესვები მოქმედებენ, თუმცა არა მაჩოიზმის განხრით, არამედ რაღაც მამობითობის. მე არ მყავს ცოლ-შვილი და ეს ალბათ, მაკლია. ყოველი კლიენტი-ქალი მანდობს მე თავის გრძნობებს და განცდებს და ჩემი მისია მდგომარეობს იმაში, რომ ყოველივე ეს მის კაბაში გამოვხატო.

თქვენ რომ გისმინოთ, ლამაზ ქალს არ ჭირდება რთული კაბა. და რა არის თქვენთვის სილამაზე?
სილამაზე საკმაოდ სუბიექტური ცნებაა. ის, რაც თქვენ ლამაზად მიგაჩნიათ, სხვებმა შესაძლოა სიმახინჯედ მიიჩნიონ და პირიქით. მე მომწონს სილამაზე ნაკლოვანებით, რაღაც შინაგანი დრამით – რაღაც ისეთით, რაც თქვენზე ზემოქმედებს, იწვევს ემოციებს.

ხომ არ შეგცვალათ ნაადრევმა წარმატებამ?
ამას ვერ ვიტყვოდი. ვემადლიერები ჩემს ხმელთაშუაზღვისპირულ ფესვებს, ჩემს ნათესავებს, განსაკუთრებით დედის მხრიდან... მათი წყალობით ნამდვილი ფასეულობები შევიცანი. აღზრდა მეხმარება ვუყურო საგნებს ფილოსოფიურად. წარმატებამ შეიძლება დაგაბრმავოს, გამოგიყვანოს რეალობის ჩარჩოებიდან, ეს კი სახიფათოა. როგორც კი ამპარტავნება გიპყრობთ, ეს დასასრულის მანიშნებელია.

თქვენი ბრენდის 95% საფრანგეთის ფარგლებს მიღმა იყიდება. როგორ ხსნით ამას?
მარტივად: ვყიდი იქ, სადაც არის ფული! ანუ იმ ქვეყნებში, სადაც ქალს უყვარს, როდესაც იგი მაცდუნებლად გამოიყურება და იგი მზად არის ჩადოს ინვესტიციები ცდუნების ხელოვნებაში.
ახლო აღმოსავლეთში არსებობს საზოგადოებაში გასვლის კულტი, სადაც თქვენ უნდა სწორად ჩაიცვათ და წარმოადგინოთ თქვენი თავი. თითქმის ისევე, როგორც აღმოსავლეთ ევროპაში. ერთადერთი განსხვავება, ალბათ, დროსთან დამოკიდებულებაა. მაგალითად, რუს ქალებს ახასიათებთ ტენდენცია იმწამსვე ჰქონდეთ ყველაფერი, მაშინ როდესაც მოდელიორის კაბა იკერება ერთი, ან სულაც, ორი თვის მანძილზე. საჩქარო ყიდვის ლოგიკა აქ უადგილოა. აღმოსავლელი ქალი კი არ ჩქარობს. თუ საჭიროა მიზომვაზე რამდენჯერმე მოსვლა, ეს მისთვის პრობლემას არ წარმოადგენს.

არაერთხელ აღიარეთ თქვენი სიახლოვე ლათინურ კულტურასთან... საფრანგეთზე რაღას იტყვით?
ჩემს ძარღვებში ჩქეფს ლათინური სისხლი. მე ვარ ფრანგი, იტალიური, ესპანური და კიდევ ვინ იცის, რომელი ფესვებით. ჩვენ ხომ სუყველა ასე თუ ისე მეტისები ვართ. აბსოლუტურად სუფთა სისხლი არ არსებობს. ჩემი მშობლების წყალობით მე ბავშვობიდან ბევრს ვმოგზაურობდი და ვცხოვრობდი საზღვარგარეთ. მე თავს კოსმოპოლიტად ვგრძნობ, მიყვარს შთაგონების სხვა და სხვა კულტურებში ძებნა – ეს გამდიდრებს. თუმცა, სადაც არ უნდა წავიდე, ყოველთვის სიამოვნებით ვბრუნდები საფრანგეთში.

ბაქოში თუ ყოფილხართ?
რამდენიმე წლის წინათ ჟიურის თავმჯდომარედ მიმიწვიეს ბაქოში გამართულ სილამაზის კონკურსში. ძალიან მომხიბლა ქვეყნის და მისი დედაქალაქის გაცნობის იდეამ. ბაქო მაინტერესებდა გაცილებით მეტად, ვიდრე სილამაზის კონკურსი! მოვინახულე ძველი ქალაქი (ყოველთვის მიზიდავდა ძველი კვარტლები, რადგან სწორედ მათში იმალება ერის ფესვები), ძალიან მომეწონა პატარა რესტორნები თაღებს ქვეშ... ბაქო არ გავს არც მოსკოვს და არც კიევს, სადაც ვყოფილვარ... ბაქო აბსოლუტურად სხვაა...

როგორღაც თქვით, რომ ჭეშმარიტ ფუფუნებას თქვენთვის თავისუფალი დრო წარმოადგენს. რამდენი გაქვთ და რაზე ხარჯავთ მას?

დიახ, ძალიან მნიშვნელოვანია გაჩერდე და ამოისუნთქო. უნდა შეგეძლოს ამის გაკეთება. თუ შეიძლება ასე ითქვას, მე ვარ „შეუმდგარი მუქთახორა“. ძალიან მინდება ხოლმე წამოწოლა, რაიმეს ჭვრეტა, ფიქრი, მაგრამ ასეთი რამე არ გამომდის... სულ სირბილში ვარ! როგორც მრავალხელიანი შივა, ყველაფერს ერთდროულად ვაკეთებ. ეს დედაჩემისგან გამომყვა. აი, ამას შეხედეთ (მიმანიშნებს მისი კაბინეტის კედლებზე ჩამოკიდებულ უთვალავ ესკიზებზე). ეს ჩემი პროექტებია. ახალი კოლექცია... სუნამოს პროექტი... მზა ტანსაცმლის მიმართულება... ფეხსაცმლის, ჩანთების მიმართულება... არქიტექტორთან ჩემი „ბუტიკის“ დიზაინზე მუშაობა, რომელიც მალე აბუ-დაბიში გაიხსნება...

> ჩემი როლი მდგომარეობს ქალის გაგებაში, ხოლო მას რომ გაუგო, იგი უნდა გიყვარდეს



სუნამოს საკუთარი ბრენდის შექმნა მოდის აყოლაა?
იცით, ვგიჟდები არომატებზე. სუნამოს შეუძლია ბევრი რამე თქვას ადამიანზე. არასწორედ შერჩეულს კი შეუძლია სრულიად დაამახინჯოს სახე. ქალი, რომელიც მამაკაცის სუნამოს იყენებს, ძალზე საინტერესო და სექსუალურია. ისევე სექსუალური, როგორც ქალი სმოკინგში. ჩემი სუნამო ჯერ შეზღუდული სერიით გამოვა (50 ფლაკონი) და გაიყიდება მხოლოდ ექსკლუზიურ ბუტიკებში. ეს იქნება იშვიათი და ძალიან „ძვირფასი“ სუნი.

ეს სიურპრიზი დავუტოვოთ ქალებს. თქვენზე რას იტყვით?
მე მიყვარს აღმოსავლური სუნები და ვხმარობ სუნამოს არაბული აქცენტით, რომელიც დამზადებულია აგარის ხის ქერქის საფუძველზე... საერთოდ, ხშირად ვიცვლი სუნამოებს, მიყვარს ჩემთვის ახალი არომატების აღმოჩენა, მათი შერევა ერთმანეთში და რაღაც ისეთის მიღება, რაც არავინ არ იცის.

ჩაცმაში რას ანიჭებთ უპირატესობას?
ამ მხრივ გარკვეულ სიძნელეებს ვაწყდები. ვფიქრობ, რომ ვარსებობ, რათა სხვებს ჩავაცვა და არა საკუთარ თავს! ვაღიარებ, რომ ხანდახან არ მყოფნის საკუთარ გარეგნობაში თავდაჯერებულობა და შეცდომა რომ არ დავუშვა, უბრალოდ მხოლოდ შავს ვიცვამ. თუმცა ძალიან მიყვარს თეთრი სპორტული ფეხსაცმელი, თეთრი მაისურები შავი პულოვერით, ჯინსები, შავი პიჯაკი... ხანდახან მინდა ექსტრავაგანტულად ჩაცმა, მაგრამ რაღაც მაკავებს.

ბედნიერების თქვენი ფორმულა?
ბედმა გამიღიმა – ვაკეთებ ცხოვრებაში იმას, რაც მიყვარს, რაც მიტაცებს. ყველას როდი შეუძლია ამით იტრაბახოს. ბედნიერებაა საყოველთაოდ მიღებული ჩარჩოების გადალახვის უნარი, ცხოვრების საკუთარი მოდელის შექმნა და არასდროს არაფრის სინანული..

სამხატვრო აკადემია International Fashion SHOWCASE-ზე

ბუფეტების
სალვინე სახლი
ნაფარეულში
ქვევრის ეზე

ცოცხალი კომპლექსი ნაფარეულში
ცეკვაჭის ღვინო "ქვევრის ეზე"
ქვევრისა და ქვევრის ღვინის მუზეუმი
რესტორანი თბილისში "ქვევრის ეზე"
ღვინის მაღაზია ვაკეში–ჭრიჭინაძვილი №6

ტელ: (+995) 32 242 40 42 | ელ.ფოსტა: INFO@CELLAR.GE | WWW.CELLAR.GE

თებერვალში გამართული London Fashion Week-ი უკვე ჩავლილი და დასრულებული ღონისძიებაა, თუმცა ჩვენთვის მაინც ინარჩუნებს აქტუალობას, რადგან კვირეულის ფარგლებში გამართულ International Fashion Showcase-ზე, რაც კონცეპტუალური მოდის გამოფენას გულისხმობს და ახალი ტალანტების აღმოჩენას ემსახურება, ჩვენი ქვეყანაც იყო წარმოდგენილი. ბრიტანეთის საბჭოს მხარდაჭერით გამოფენაზე თბილისის სამხატვრო აკადემიის დიზაინის ფაკულტეტის სამი კურსდამთავრებულის ნამუშევრები იყო გამოფენილი. სამივე მათგანი გამოფენის კურატორებისა და კრიტიკოსთა ყურადღების ცენტრში მოექცა.

თბილისის სამხატვრო აკადემიის შენობის ისტორიულობისა და უნიკალურობის შესახებ ყველას სმენია. ჩვენ ვამაყობთ ამ შენობით, ხშირად ვახსენებთ მისი ინტერიერის უნიკალურ დიზაინს, სარკეებიან დარბაზებსა და ჭერის მოხატულობას, მაგრამ ზოგჯერ გვავიწყდება, რომ ეს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლი სავალალო მდგომარეობაშია და სასწრაფო მიხედვას საჭიროებს. ლონდონში წარმოდგენილი მთლიანი პროექტი ამ შენობის უნიკალურობას, მისი ევროპული არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ფასადისა და აღმოსავლური ინტერიერის ჰარმონიულ შერწყმას უსვამდა ხაზს და კიდევ ერთხელ ადასტურებდა ჩვენს ისტორიულ-გეოგრაფიულ როლს.

აკადემიის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები მალე დაიწყება, მანამდე კი დიზაინის ფაკულტეტი მის შესახებ ევროპას მოუთხრობს - International Fashion Showcase-ზე წარმოდგენილი ქართული პავილიონი სწორედ აკადემიის შენობას ეძღვნებოდა, პავილიონის კედლების მისი ინტერიერის სლაიდებით იყო განათებული, გამოფენის ერთ-ერთმა მონაწილემ, ლელა ელოშვილმა კი საკუთარი კოლექცია სწორედ აკადემიის დარბაზებით შთაგონებულმა შექმნა და კოსტუმებზე სარკეებიანი დარბაზის ორნამენტები გადაიტანა. იაპონიით, კონკრეტულად კი გეიშებისა და კაბუკის კულტურით იყო ინსპირირებული სალომე თორთლაძის ნამუშევრები; ლაშა დევდარიანმა საკუთარი ფანტაზია ინდური ქსოვილებით გააცოცხლა, ხოლო მისი ერთ-ერთი ნამუშევარი ორგანიზატორებმა ღონისძიების ბანერისა და ბუკლეტების დიზაინისთვის შეარჩიეს.

COLORFLASH

photo: DAVID ERISTAVI
style: ANANO DOLABERIDZE

Sunglasses: Komono *MORE IS LOVE*
Shirt: Mariam Gvasalia
Camera: Lomography *N-DUO-CONCEPT*
Skirt: N-DUO-CONCEPT

Earrings: Dominique Denaive *MORE IS LOVE*
Shirt: Diana Kvariani
Pants: N-Duo-Concept

From left
Shirt: Diana Kvariani
Pants: Ria Keburia
Sandals: Ria Keburia

Sunglasses: Zanzan *MORE IS LOVE*
Dress: Gola Damian *DALOOD GROUP*
Pants: Ria Keburia
Sandals: Ria Keburia

Coat: Ria Keburia
Pants: Ria Keburia
Sandals: Ria Keburia

GOLF CLUB AMBASADORI KACHRETI, GEORGIA

Village Kachreti, Gurjaani Region, Kakheti
Tel.: (+995 32 2) 18 20 59;
Fax: (+995 32 2) 93 17 40;
www.ambasadori.ge

EVITA PERONI®
PARIS · NEW YORK · TOKYO

From left
Shirt: Diana Kvariani
Pants: Ria Keburia

Sunglasses: Zanzan *MORE IS LOVE*
Dress: Gola Damian *DALOOD GROUP*
Pants: Ria Keburia

From Left
Coat: Anouki
Shirt: Diana Kvariani
Skirt: Diana Kvariani

Coat: Diana Kvariani
Necklace: Marina Fossati *JEWELLERY*
Dress: Tata Naka MORE IS LOVE
Clutch: Eshvi *MORE IS LOVE*

From left

Earrings:
Dominique Denaive
MORE IS LOVE

Shirt: Diana Kvariani

Skirt Diana Kvariani

Hat: Eugenia Kim
MORE IS LOVE

Sunglasses: EVITA PERONI

Earrings: Irina Gachechiladze
MORE IS LOVE

Dress: Tata Naka
MORE IS LOVE

Clutch: Eshvi *MORE IS LOVE*

Sunglasses:
Zanzan *MORE IS LOVE*

Coat:
Mariam Gvasalia

Shirt: Anouki

Pants: Anouki

model:
MARIAM MGHEBROVI, NINI KAKABADZE,
DALI CHITALADZE / *Geomodels Agency*

Apparel:
DIANA KVARIANI, ANOUKI, GOLA DAMIAN / *Dalood Group*,
MARIAM GVASALIA, RIA KEBURIA, MORE IS LOVE,
N-DUO-CONCEPT, EVITA PERONI

MUA:
TEKO SHENKEN

Hairstyle:
TEO PKHAKADZE / *La Paris*

From left
Coat: Mariam Gvasalia
Skirt: Gola Damian Dalood Group
Clutch: Eshvi More Is love
Sandals: Ria Keburia

Dress: Edit More Is Love
Sandals: Ria Keburia

Sunglasses: EVITA PERONI
Shirt: Mariam Gvasalia
Short: Lublu Kira Plastinina More Is Love
Sandals: Ria Keburia

Total Charm-ის ტოტალური შარმი

ტექსტი: ნანა კოზაიძე

დღეს ალბინა ქაჯაია წარმატებული დერმატო-კოსმეტოლოგია. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, 9 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რამდენიმე უცხოური კომპანიის საერთაშორისო ტრენერი „ტოტალ შარმში" დერმატო-კოსმეტოლოგიის განყოფილებას ხელმძღვანელობს, პაციენტებს სიბერესთან ბრძოლაში ეხმარება და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ კლინიკის ტოტალური შარმის შექმნაში.

ალბინა ქაჯაია წარმოშობით სოხუმიდანაა, თუმცა ცხოვრების დიდი ნაწილი მოსკოვში გაატარა. სკოლაც იქ დაამთავრა და ინსტიტუტიც. პროფესიულ არჩევანზე გავლენა დედამ მოახდინა, რომელიც ექიმი-მამოლოგი გახლდათ და სურდა, ქალიშვილიც მის კვალს გაჰყოლოდა. იმის მიუხედავად, რომ იურისტობა უფრო ხიბლავდა, მოსკოვის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩააბარა და სპეციალობად მამოლოგია აირჩია. ერთი შეხედვით, ყველაფერი კარგად მიდიოდა, თუმცა ინსტიტუტის დასრულებამდე ორი თვით ადრე გოგონა გათხოვდა და გეგმებიც „აერია". მისი მეუღლე, გიორგი სულამანიძე იმ დროს უკვე შემდგარი პლასტიკური ქირურგი გახლდათ და მამის, მარლენ სულამანიძის მიერ შექმნილი ნოუ-ჰაუს – **Aptos** ძაფებით გაახალგაზრდავების მეთოდის პოპულარიზაციასა და განვითარებაზე მუშაობდა. სიბერესთან ბრძოლის პერსპექტივამ ახალგაზრდა ქალბატონი ისე მოხიბლა, რომ სპეციალობის შეცვლა გადაწყვიტა. ეს ნაბიჯი ყველაზე მეტად დედამ განიცადა. პირველ ორ წელიწადს იმედი ჰქონდა, რომ მისი ქალიშვილი მამოლოგიას დაუბრუნდებოდა ...

სწორი არჩევანი

საკუთარი გადაწყვეტილებით ძალიან კმაყოფილი ვარ. მიყვარს ჩემი პროფესია, ეს კი ნებისმიერ საქმეში ძალზე მნიშვნელოვანია. ბედნიერებაა, როცა შეგიძლია ადამიანს წლები „ჩამოაკლო" და მის შეცვლილ, გაახალგაზრდავებულ სახეს უყურო. ჩემთვის ყველა პაციენტი ძვირფასია. არასოდეს ვანსხვავებ იმის მიხედვით – რომელ სოციალურ წრეს ეკუთვნის, ცნობილი სახეა თუ უბრალო დიასახლისი. წლებია რაიონებიდან ჩამოდიან ქალბატონები, რომელთა დანახვაც ყოველთვის მიხარია – ვიცი, რომ ამხელა გზა ჩემ გამო გამოიარეს. მადლიერი პაციენტი ექიმისთვის ყველაზე დიდი საჩუქარია.

კლინიკური სიმყუდროვე

ჩვენი კლინიკა ერთი დიდი ოჯახია. წარმატების მისაღწევად ძალზე მნიშვნელოვანია, ვისთან ერთად მუშაობ, როგორი ადამიანების გარემოცვაში. ინტერიერსაც კი თავისი დატვირთვა აქვს. როდესაც შენი პროფესია სილამაზესა და ესთეტიკას უკავშირდება, გარემოც შესაბამისი უნდა იყოს. ამიტომაც შევაჩერეთ ყურადღება ისტორიულ შენობაზე. გვინდოდა, ჩვენთან მოსულ პაციენტს თავი კომფორტულად ეგრძნო. საფრანგეთშია ასეთი კლინიკები – ვერც მიხვდები, რომ სამედიცინო დაწესებულებაში ხარ – დახვეწილი დიზაინი, ანტიკვარული ავეჯი, სასიამოვნო მუსიკა, წიგნის თაროები. საოცარი სიმყუდროვეა. შევეცადეთ ჩვენთანაც ასეთი ატმოსფერო შეგვექმნა.

თბილისური შარმი

ხუთი წელია საქართველოში ვცხოვრობ. თბილისი იმდენად შემიყვარდა, რუსეთში დაბრუნებაზე აღარც ვფიქრობ. მოსკოვი ძალიან დიდი ქალაქია. რთულია ფეხი აუწყო იქაური ცხოვრების რიტმს. აგრესიულ გარემოსთან შეგუებაც ჭირს. ასეთ ქალაქებში პიროვნება მასაში იკარგება. ადამიანის ბედი არავის აინტერესებს. თბილისი კი სულ სხვაა. ბედნიერი ვარ, რომ ამ ქალაქმა მიმიღო. როდესაც დიდი ხნით ვტოვებ, ვგრძნობ, როგორ მენატრება. წარმოშობით აფხაზეთიდან ვარ და სულ მიკვირდა, იქაურ გემრიელ ჰაერზე რომ ლაპარაკობდნენ. შეიძლება ჰაერს გემო ჰქონდეს? ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი კონფერენციიდან დაბრუნებულს ქუჩაში გაზაფხულის საოცარი სურნელი რომ მეცა, მივხვდი, რასაც გულისხმობდნენ. აქ მართლაც სხვანაირი მზეა, სხვაგვარი ჰაერი, ადამიანებიც განსხვავებულნი არიან და ეს შენზეც დადებითად მოქმედებს.

ბოტოქსის „საიდუმლო"

თბილისში ყველაზე პოპულარული პროცედურა ბოტოქსია. პაციენტთა უმეტესობა ნაოჭების დასამარცხებლად ბოტულოტოქსინის ინექციას ითხოვს, თუმცა ამ პროცედურას თავისი ჩვენება აქვს. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა, 20 წლის გოგონასაც გავუკეთოთ. გავრცელებული მოსაზრებით, ბოტოქსი სახეს აქვავებს და მიმიკას უკარგავს. ეს გადაჭარბებული დოზირების ბრალია. სწორად გაკეთებული ინექცია სრულიად უსაფრთხოა. ზუსტი დოზა, ხარისხიანი პრეპარატი და კვალიფიციური ექიმი სასურველ შედეგს იძლევა. საკმარისია, აქედან რომელიმე „კომპონენტი" ამოვარდეს, რომ არასასურველი ეფექტი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, სახეზეა. საბედნიეროდ, „ტოტალ შარმის" პაციენტებს ეს საფრთხე არ ემუქრებათ.

ბოტოქსს უკუჩვენება არა აქვს. ერთადერთი შეზღუდვა მაღალი ტემპერატურაა. ამ დროს ნივთიერება ორგანიზმში არ ჩერდება, ამიტომ ივნისის თვიდან მთელი ზაფხულის მანძილზე ინექციებს არ ვაკეთებთ.

ჯადოსნური Aptos ძაფები

Aptos ძაფებით სახის დაჭიმვა საქართველოში, ისევე, როგორც მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, სულ უფრო პოპულარული ხდება. დღესდღეობით ეს მეთოდი პლასტიკური ოპერაციის საუკეთესო ალტერნატივაა – სახის კანის (და არა მხოლოდ) გადაჭიმვა გაჭრის გარეშე, სპეციალური ძაფებით ხორციელდება. პროცედურა, რომლის ჩატარება დერმატო-კოსმეტოლოგსაც შეუძლია, 20-30 წუთს გრძელდება. პაციენტი მეორე დღესვე სოციალურად აქტიურია, განსხვავებით პლასტიკური ოპერაციისგან, რომელიც სამ კვირამდე ინტენსიურ რეაბილიტაციას მოითხოვს. ლიფტინგის ეფექტი პროცედურიდან ორ კვირაში ჩანს, ორი თვის შემდეგ კი ძაფებში შემავალ ნივთიერებათა გააქტიურების ხარჯზე მეზოთერაპიის ეფექტი დგება, რომელიც ორი წლის მანძილზე გრძელდება. იმის მიუხედავად, გაიმეორებთ თუ არა პროცედურას, სახე თავდაპირველზე გაცილებით უკეთ გამოიყურება. სწორედ ამაშია ამ მეთოდის უნიკალობა. მისი ავტორი ჩემი მეუღლის მამა, მარლენ სულამანიძე გახლავთ, რომელმაც გამოგონება 19 წლის წინ დააპატენტა. დღესდღეობით Aptos ძაფებს წარმატებით იყენებენ მსოფლიოს 48 ქვეყანაში და სიხარულით გვხვდებიან ყველგან, სადაც ჩავდივართ.

უცხოელებისთვის ყველაზე რთული „სულამანიძის" გვარის წარმოთქმაა. ენას იმტვრევენ, თუმცა, ამის მიუხედავად, უნდა ნახოთ, როგორი სიამოვნებით ლაპარაკობენ ბატონ მარლენსა და მის ჯადოსნურ ძაფებზე.

ბიორევიტალიზაციის ეფექტი

იმის გამო, რომ სამხრეთული ქვეყანა ვართ, გოგონებს ვურჩევ, თავის მოვლა 25 წლიდან დაიწყონ. მზის სხივები – ბუნებრივიც და ხელოვნურიც, რომელიც საქართველოში ძალიან უყვართ, კანის პირველი მტერია. საბედნიეროდ, დღეს ასაკობრივი და ფოტოდაბერების პირველ ნიშნებთან ბრძოლის უამრავი საშუალება არსებობს, მათ შორის, მეზოთერაპია და ბიორევიტალიზაცია, რაც სხვადასხვა ვიტამინისა და ნივთიერების, მათ შორის, ჰიალურონის მჟავის კანქვეშ შეყვანას გულისხმობს. ბოლო წლებში მის მიმართ დერმატოლოგების ინტერესი ძალიან დიდია, რადგან ჰიალურონი კანის რეგენერაციასა და კოლაგენის გამომუშავებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

ბიორევიტალიზაცია ღრმა დატენიანებასაც უზრუნველყოფს, ამიტომ ამ პროცედურას თავადაც აქტიურად მივმართავ: ხშირი ფრენის გამო სახის კანი ძალიან მიშრება, ჩემთვის კი ფორმაში ყოფნა აუცილებელია – არ შეიძლება დერმატო-კოსმეტოლოგი გერქვას და მოუვლელი კანი გქონდეს. პაციენტი თითოეული პროცედურის ეფექტს ჩემს სახეზე უნდა ხედავდეს. ბიორევიტალიზაციის ორი პროცედურა საკმარისია, რომ მთელი წელი თავი კარგად ვიგრძნო.

საკუთარი გამოცდილებიდან

კრემის გამოყენება ნებისმიერ ასაკშია საჭირო. XXI საუკუნეში ამის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია. ძირითადად პროფესიულ კოსმეტიკას ვირჩევ. ერთადერთი არაპროფესიული საშუალება, რომელიც მომწონს, Estee Lauder-ის დღის კრემია. ზაფხულში უპირატესობას შედარებით მსუბუქ კრემებს ვანიჭებ, ზამთარში – უფრო ცხიმიან ტექსტურას. ძალიან მომწონს შვეიცარიული ბრენდის, Pluryal-ის დღის კრემი, რომელიც საოცრად ეფექტურია. ერთი თვეა ამ ფირმის პროდუქცია ჩვენს კლინიკაში შემოვიტანეთ და მისი შეძენის ბედნიერება უკვე ქართველ მომხმარებელსაც აქვს. ეს არის ლუქს-კლასის კოსმეტიკა, რომლის უპირატესობა პროფესიული ხაზი და მაღალი ხარისხია. განსაკუთრებულად მინდა აღვნიშნო Pluryal-ის BB კრემი, რომელიც ჰაეროვანი ტექსტურით ხასიათდება, კანს ატენიანებს და მსუბუქი ტონალური ეფექტიც აქვს. ზოგადად, არ მივეკუთვნები იმ დერმატოლოგებს, რომლებიც დეკორატიულ კოსმეტიკას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. ზოგჯერ პაციენტს ვურჩევ კიდეც დეკორატიული პუდრის გამოყენებას. მთავარია, ეს ყველაფერი კარგი ხარისხის და ინდივიდუალური იყოს. გაანებივრეთ საკუთარი თავი – თქვენი გარეგნობა ამას იმსახურებს.

Total Charm
პლასტიკური,ესთეტიკური ქირურგიისა და კოსმეტოლოგიის კლინიკა

თბილისი, ვ.ორბელიანის ქ.18
ტელ: +995 322 18 18 14 / +995 322 92 30 71
facebook: Total Charm Tbilisi

ბათუმი, ვ.გორგასლის ქ.15
ტელ: +995 422 29 29 19 / +995 422 22 88 22
facebook: Total Charm Batumi

13 მოდური რედაქტორი

კენულ ნაგიევის ტექსტი / შაფ მამედოვის ილუსტრაციები

მოდას რას გაუგებ. ჯერ კიდევ გუშინ მოდაში ნაცრისფერი იყო, ახლა კი თითქმის უხმარი კაბა კარადაში უქმად კიდია. არცთუ ისე შორეულ წარსულში ჩვენი ქალბატონები კრინოლინს ატარებდნენ, პრაღაში აკრძალული იყო ლაბადის გარეშე გამოჩენა, დღეს კი – „დრეს-კოდი“ უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი. და, რაღა თქმა უნდა, მოდას ორიგინალურად დიზაინერები აქცევენ, ესაა მხოლოდ, რომ ყველა დიზაინერს როდი შეაქვს მასში რაღაც საკუთარი, განსაკუთრებული. ამისათვის მხოლოდ ნიჭი არ კმარა. Fashion-ჟურნალისტების დალოცვაცაა საჭირო, იმათი, ვინც მოდის მსაჯულად გვევლინება, ვისი გემოვნებაც უნაკლოა, ხოლო ინტუიცია – საკერავი ნემსივით ბასრი. ამ ადამიანების უმრავლესობას საზოგადოება იცნობს, ხოლო ზოგიერთი მხოლოდ ვიწრო წრისათვისაა ცნობილი, მაგრამ ყველა მათგანს ერთი რამ საერთო აქვს: მათ საკუთარი თავი fashion-ჟურნალისტიკაში იპოვნეს და მათი ორიოდე სიტყვაც საკმარისია, რომ ნივთს ფასი დაედოს ან გაუფასურდეს.

კარმელ სნოუ (1887-1961)

*1933-1958 – ამერიკული **Harpers Bazaar**-ის მთავარი რედაქტორი*

მთავარი რედაქტორის თანამდებობის დაკავების შემდეგ, სნოუმ მაშინვე დაუქვემდებარა გამომცემლობის ტემპერამენტი საკუთარ თავგადასავლების მოყვარულ ბუნებას. თუკი ადრე ფოტოსესიებს სტუდიაში ატარებდა, ახლა სნოუმ – პირველად პრიალა ჟურნალების ისტორიაში – ფოტოგრაფ მარტინ მუნკაჩის დაავალა, სურათები პლაჟზე გადაეღო. ხოლო რუსმა ემიგრანტმა ალექსეი ბროდოვიჩმა, რომელიც 1934 წელს კურირებდა ნიუ-იორკის კლუბების არტ-დირექტორების გამოფენას, შეიმუშავა ჟურნალის ლოგოტიპი და მაკეტი. იგი ჟურნალის არტ-განყოფილებას შემდგომი 24 წლის მანძილზე ედგა სათავეში. ეს რუსი ემიგრანტი რედაქტორის ერთ-ერთი საუკეთესო შენაძენი გახდა. ასევე უნდა ითქვას, რომ კარმელ სნოუს საოცარი ნიჭი პერსპექტიული თანამშრომლების პოვნა იყო, რომლებსაც იგი გამოცდილი კოლექციონერის ინსტიქტით არჩევდა. მაგალითად, კარმელმა, დაინახა რა ნიუ-იორკის ერთი სასტუმროს სახურავზე Chanel-ის თეთრ კაბასა და ვარდით თმაში მოცეკვავე დიანა ვრილანდი, მაშინვე მიხვდა, რომ თავისი ჟურნალისათვის ახალი თანამშრომელი იპოვნა.

ჰელენ ჰერლი ბრაუნი (1922-2012)

*1965-1997 – ამერიკული **Cosmopolitan**-ის მთავარი რედაქტორი*

სულ ცოტა ხნის წინ გარდაცვლილი ჰელენ ჰერლი ბრაუნი, იყო ის ადამიანი, რომლის წყალობითაც Cosmopolitan უნაკლო რეპუტაციის საკულტო გამოცემად იქცა. სწორედ მისი წყალობით გახდა შესაძლებელი სექსუალური ცხოვრების განხილვა პრიალა ჟურნალის ფურცლებზე. მანამდე ჟურნალი იყო საოჯახო გამოცემა და ძირითადად აქვეყნებდა ნაკლებადცნობილი თანამედროვე მწერლების ნაწარმოებებს. 60-იანი წლების ბესტსელერის „სექსი და გაუთხოვარი ქალიშვილი“ ავტორმა– ჰერლი ბრაუნმა შეცვალა ჟურნალის თემატიკა. ამით ჟურნალის ტირაჟი საგრძნობლად გაზარდა და ზეგავლენა იქონია თანამედროვე დასავლეთის ქალის სახის ჩამოყალიბებაზე. მისი წაქეზებით გარეკანზე აქვეყნებდნენ ვარსკვლავი ლამაზმანების ფოტოებს, რომელთაც ბაძავდნენ მკითხველი ქალები. ჟურნალი დიდი ხნის მანძილზე ლიდერობდა ქალთა ჟურნალების რეიტინგში. 1997 წლისთვის ერთდროულად გამოიცემოდა Cosmopolitan-ის 63 საერთაშორისო ვერსია, და ყველა მათგანს ხელმძღვანელობდა ჰელენ ჰერლი ბრაუნი. ამ ნიჭიერმა ქალმა 90 წლის ასაკში დაგვტოვა.

დაიანა ვრილანდი (1903-1989)

*1936-1962 – **Harpers Bazaar**-ის მესვეტე და მოდის რედაქტორი*

*1963-1971– ამერიკული **Vogue**-ს მთავარი რედაქტორი*

„რატომაც არა...“–ასე ეწოდებოდა სვეტს, რომლითაც დაიწყო ვრილანდის კარიერა Harpers Bazaar-ში. გონებამახვილმა ჟურნალისტმა მსოფლიოს აფორიზმული გამონათქვამი – „ელეგანტურობა– თანდაყოლილი გრძნობაა“ აჩუქა, რომელმაც ფილმში „მომხიბლავი სახე“ გაიჟღერა და სახელი გაუთქვა მას. „დაიანა ვრილანდი–ესაა ადამიანი, რომელმაც მოდის რედაქტორის პროფესია აირჩია“–ამბობდა რიჩარდ ავენდონი. ფართო მასების წარმოდგენაში ის პრიალა ჟურნალის ტიპიური რედაქტორი იყო. ჩაუდგა რა სათავეში ამერიკულ Vogue-ს, ვრილანდმა ჟურნალს სექსუალური ეპოქის თავისუფალი შემოქმედებითი ახალგაზრდობის სულისკვეთება შთაუნერგა. სწორედ მან უწოდა ბიკინის – „უდიდესი გამოგონება ატომური ბომბის შემდეგ“. მისი მაგალითით დაიწყეს შიშველ ფეხზე სანდლების ტარება. ჟაკლინ კენედიც კი პირადად ეთათბირებოდა მას.
ხოლო Vogue, ვრილანდის ხელმძღვანელობით პროვოკაციული მასალების გამოქვეყნება რომ დაიწყო, დღემდეა მსოფლიოში ცნობილი, როგორც მოდის საუკეთესო ჟურნალი. დაიანა ვრილანდი Vogue-ს 1963 წლიდან ხელმძღვანელობდა, საიდანაც 1971 წლის ივნისში დაითხოვეს მიზეზის აუხსნელად. ამის შემდეგ ვრილანდმა ჩამოაყალიბა და სათავეში ჩაუდგა კოსტუმის ინსტიტუტს მეტროპოლიტენის მუზეუმში.

> დაიანა ვრილანდი - ადამიანი, რომელმაც გამოიგონა მოდის რედაქტორის პროფესია

რიჩარდ ავედონი

ცნობილი ამერიკელი ფოტოგრაფი

ანა ვინტური (1949)

1983-1988 – ინგლისური Vogue-ს მთავარი რედაქტორი.

1988 წლიდან დღემდე – ამერიკული Vogue-ს მთავარი რედაქტორი.

Fashion-ინდუსტრიის ყველაზე გავლენიანი ქალბატონი – ანა ვინტური, განთქმულია ჟურნალის ხელმძღვანელობისას თავისი სიმკაცრით. მას „ატომური ზამთარიც“ კი შეარქვეს, გვარის Wintour-ის გადამღერებით და სწორედ მას მიუძღვნა ლორენ ვაისბერგერმა რომანი „ეშმაკი ატარებს პრადას“. თუმცა ცხოვრებაში იგი ამერიკელ დიზაინერებთან – Diane von Furstenberg, Oscar de la Renta, Carolina Herrera-სთან ამჯობინებს ჩაცმას და ერთგულია Manolo Blahnik-ის მაშიებისა. მისი ვარცხნილობა აგერ ნახევარ საუკუნეზე მეტხანს უცვლელია, მრავლისმთქმელად რომ ხაზს უსვამს მისი გემოვნების მუდმივობას. ხოლო მისმა ხელმძღვანელობის მანერამ Vogue-ს გაზრდილი ტირაჟი და გამაოგნებელი პოპულარობა მოუტანა. ვინტურის პერიოდში ჟურნალის გარეკანზე პირველად გაჩნდა მოდელების ფოტოები მთელი სიმაღლით, გარდა ამისა, რედაქტორის მახვილი თვალი უშეცდომოდ ცნობდა სამოდელო ბიზნესის მომავალ ვარსკვლავს. ბევრი ცნობილი სახე თავის კარიერას სწორედ ვინტურის პროფესიონალურ ალღოს უნდა უმადლოდეს. 2008 წელს ანა ვინტურს ბრიტანეთის იმპერიის ორდენი გადასცეს მოდის ჟურნალისტიკის სფეროში მიღწევებისათვის.

> მე არასოდეს ვატარებ ჯინსებს, დაე ისინი ჩემმა ასისტენტებმა ატარონ
> კარინ როიტფელდი.
>
> *ანა ვინტური*

> მე არასოდეს ვატარებ ჯინსებს, დაე ისინი ჩემმა ასისტენტებმა ატარონ.
>
> *კარინ როიტფელდი*

კარინ როიტფელდი (1954)

2001-2011 ფრანგული Vogue-ის მთავარი რედაქტორი.
2012 წლიდან დღემდე – CR Fashion Book-ის მთავარი რედაქტორი

ანა ვინტურის ერთადერთი მოქიშპე. როიტფელდმა მოდელის კარიერით დაიწყო, მუშაობდა სტილისტად Elle-ში და ფოტოგრაფ მარიო ტესტინოსთან ერთად აწარმოებდა გადაღებებს ამერიკული და ფრანგული Vogue-თვის. 1998 წელს ტესტინო და იგი იღებდნენ ქეიტ მოსსა და ამბერ ვალეტს Vogue-ს რუსული ვერსიისათვის. მთავარი რედაქტორის თანამდებობაზე როიტფელდი Vogue-ს საკუთარი დაუოკებელი ბუნების შესაბამისად ქმნიდა: პიკანტური თემები, პროვოკაციული ფოტოსესიები, სექსუალობა ყველანაირი ფორმით. როიტფელდი ცხადად თანაუგრძნობს ახალგაზრდა დიზაინერებს, როგორიცაა ნიკოლა გესკიერა, ედი სლიმანი და ფიბი ფილო, თვითონ კი უპირატესობას ანიჭებს თხელი გამჭვირვალე ქსოვილისა და ტყავის სამოსს, ბოტილიონებსა და ვიწრო ქვედატან-ფანქარს. მოუტანა რა Vogue-ს მნიშვნელოვანი წარმატება და გაუზარდა მოგება რეკლამისაგან, კარინ როიტფელდმა საკუთარი პროექტი წამოიწყო – CR Fashion Book და გამოაქვეყნა წიგნი Irreverent. მეამბოხე სულისა და შემოქმედების კარინ როიტფელდი საკუთარ სტილს ქმნის და მუდამ ახლის ძიებაშია.

ფრანკა სოცანი (1950)

1988 წლიდან დღემდე – იტალიური Vogue-ის მთავარი რედაქტორი

1994 წლიდან დღემდე – Conde Nast Italia-ს მეთაური

იტალიური მოდის ერთ-ერთი წამყვანი ექსპერტი, რამდენიმე პრემიის ლაურეატი, მათ შორის La Lupa-სი, იტალიური მოდის დაწინაურებისათვის, Montblanc de la Culture – სხვადასხვა ფორმით ხელოვნების მფარველობისათვის, L'Amborgino d'Oro – მილანის განვითარებაში წვლილის შეტანისათვის. ფრანკა სოცანი Vogue-ს მთელ ნომრებს უხვად უძღვნის... არა ლერწამივით ტანწერწეტა მოდელებს, არამედ სავსე ქალებს. არა ჭორფლიან ნაზ ქერებს, არამედ სქელკუკულებიან მუქკანიანებს. მას შეუძლია საუბარი ნებისმიერ თემაზე, იქნება ეს ცელულიტი, ქეიტ მოსი თუ საქველმოქმედო პროექტი, ის ავტორია რამდენიმე წიგნისა, რომელიც ასე თუ ისე ეძღვნება ხელოვნებას: 30 დი Vogue Italia, Visitors, A Noir, Valentino's Red Book, Artista al lavoro, Style in Progress da I Capricci della Moda. მან ხელი შეუწყო არაკომერციული ფონდის Child Priority-ს შექმნას. პერიოდულად მას შეამჩნევთ მორიგი გამოფენის კურატორის როლში. ცნობილი მოდის დიქტატორი ფრანკა სოცანი მტკიცე ხელით წერს მოდის ისტორიას.

> იმაზე არ ვდარდობ, რომ ვიღაცას შეიძლება არ მოეწონოს ჩემი ჟურნალი. არ მოეწონება ეს ნომერი, მოეწონება მეორე. ეს არაა პრობლემა.
>
> *ფრანკა სოცანი*

> ემანუელს გააჩნია ყველა პროფესიული და პირადი თვისება, რაც აუცილებელია ფრანგული Vogue-ის მხარდასაჭერად, როგორც ნიმუში მოდური ჟურნალებისათვის
>
> *ჯსავიე რომატეტი*
>
> CONDE NAST FRANCE-ის
> **პრეზიდენტი**

ემანუელ ალტი (1967)

2011 წლიდან დღემდე – ფრანგული Vogue-ს მთავარი რედაქტორი

90-იან წლებში მადმუაზელ ალტი მუშაობდა კარინ როიტფელდთან, ეკავა ჟურნალ Mixte-ს მთავარი რედაქტორის თანამდებობა, ხოლო 2000 წლიდან იყო Vogue-ს მოდის დირექტორი პარიზში, სადაც აქტიურად ავითარებდა პრიალა გამოცემას, ანიჭებდა რა მას როკ-ენ-როლის სტილის ელემენტებს. კარინ როიტფელდის შესახებ ამბობს, რომ ისინი ბრწყინვალედ ავსებდნენ ერთმანეთს: როიტფელდი ისწრაფვოდა მოდელის გაშიშვლებისაკენ, ხოლო ალტი ფიქრობდა, რით შეემოსა ის. არავის ეჭვიც კი არ ეპარებოდა, რომ როიტფელდის რედაქტორობიდან წასვლის შემდეგ მადმუაზელ ალტი მის ადგილს დაიკავებდა. ხელმძღვანელის შეცვლასთან ერთად ფრანგული Vogue-ის კონცეფციაც შეიცვალა. გამოცემას აღარ იზიდავდა სკანდალური ფოტოსიუჟეტები, ხოლო ემანუელ ალტი საკუთარი მაგალითით ახდენს იმის დემონსტრაციას, როგორ შეიძლება შეუხამო ერთმანეთს სრულიად უბრალო ნივთები და უნაკლო გემოვნება და ატარო ისინი ნამდვილი ფრანგული შარმით.

“აქსესუარები მოდის სამყაროში ვიტამინის მსგავსია, ამიტომ ნუ დაინანებთ ფულს მის შესაძენად!

ანა დელო რუსო

ანა დელო რუსო (1962)

2006 წლიდან დღემდე – იაპონური Vogue-ს კრეატიული დირექტორი

თავისი საქმის უბადლო მცოდნე, დელო რუსო უშეცდომოდ ამოიცნობს ხოლმე მოდურ ტენდენციებს იმაზე გაცილებით ადრე, ვიდრე ისინი თავს წარმოაჩენენ. მისი პუბლიკაციები მოდის ინდუსტრიაში კოლეგების გონებას იპყრობენ, ხოლო დანარჩენ სამყაროს ისღა დარჩენია, უყუროს, თუ როგორი სათუთი გრძნობით ეპყრობა ის საკუთარ გარდერობს. ამბობენ, რომ დელო რუსო ერთ ნივთს ორჯერ არასდროს იცვამს, ხოლო სახლში ტანსაცმელს თითქმის მუზეუმის პირობებში ინახავს – 15 გრადუს სითბოზე. და, რაღა თქმა უნდა, მისი ფეხსაცმლის კოლექცია, რომელიც არაერთ ათას წყვილს ითვლის, მუდმივად ყურადღების ობიექტია. „მოდური მანიაკი“, ასე იღბლიანად რომ მონათლა ჰელმუტ ნიუტონმა, უფრო მეტი წარმატებით სარგებლობს, ვიდრე მისი ჟურნალი.

გრეის კოდინგტონი (1941)

1988 წლიდან დღემდე – ამერიკული Vogue-ის ემოქმედებითი დირექტორი

მისმა ბედმა გაიმეორა საუკეთესო კლასიკური რომანების სიუჟეტები. პატარა გრეისი ხარბად კითხულობდა Vogue-ს, გაიზარდა, გაიარა სამოდელო კონკურსი და გაემგზავრა დიდ ქალაქ ლონდონში, რათა საკუთარი ოცნება რეალობად ექცია. 26 წლამდე ფოტოგრაფების უცვლელი ფავორიტი გახლდათ. შემდეგ კოდინგტონი ავტოკატასტროფაში მოჰყვა და რამდენიმე პლასტიკური ოპერაციის შემდეგ კარიერა ნულიდან დაიწყო, ამჯერად Vogue-ის უმცროს რედაქტორად. მისი სიჯიუტე შესაშური იყო: 19 წელი ფოტორედაქტორის თანამდებობაზე, წლები ნიუ-იორკში, სადაც ის კონსულტაციას უწევდა Calvin Klein-ის სახლს... და, ბოლოს, 1988 წელს – დიდი ხნის ნანატრი მიპატიჟება Vogue-ში შემოქმედებითი დირექტორის თანამდებობაზე. ანა ვინტური სრულად ენდობა მის გემოვნებას. ალბათ, გრეისი ერთ-ერთია იმ ადამიანთა მცირერიცხოვანი რაოდენობიდან, რომელთაც „ატომური ზამთარი“ ყურს უგდებს. მათი ურთიერთობა ასახულია დოკუმენტურ ფილმში „სექტემბრის ნომერი“. გასაოცრად მიზანსწრაფული გრეის კოდინგტონი ოთხმოცს გადაცილდა. სამუშაოდან თავისუფალ დროს ის მემუარებს წერს.

“ოდესმე გინახავთ, რომ ინტერვიუ ჩვენების კულისებიდან მიმეცა? ასეთი რამ არადროს გამიკეთებია და არც არასდროს ვაპირებ ამის გაკეთებას.

გრეის კოდინგტონი

ანდრე ლეონი ტელი (1949)

1983 წლიდან დღემდე – ამერიკული Vogue-ის რედაქტორი და მესვეტე

თუკი Vogue ვინმეს სიტყვის თავისუფლებას ანიჭებს, ეს სწორედ ანდრე ლეონ ტელია. თვის სვეტში Life with Andre მას შეუძლია წეროს, რაზეც სურს. როგორ დაიმსახურა ასეთი ნდობა? ბავშვობიდანვე მისი კერპი იყო დიანა ვრილანდი და სიყმაწვილეში ის მისი თანაშემწე იყო მუზეუმ Metropolitan-ის კოსტუმის ინსტიტუტში. ამავდროულად მეგობრები გაიჩინა როდ-აილენდის დიზაინის სკოლიდან. შემდეგ მუშაობდა გაზეთში Women’s Wear Daily”, იყო დამოუკიდებელი ჟურნალისტი და მხოლოდ 1983 წელს დაიკავა დირექტორის თანამდებობა ამერიკული Vogue-ს ახალი ამბების განყოფილებაში. მაგრამ ამით გრძელი სია როდი მთავრდება... უწყვეტ შრომას ნელა, მაგრამ მტკიცედ მიჰყავდა ანდრე სულ მაღლა და მაღლა კარიერულ კიბეზე. მას შემდეგ, რაც 2008 წელს მან მიშელ ობამა ნაკლებადცნობილ ჯეისონ ვუს გააცნო და პირველი ლედი საზოგადოებაში Jason Wu-ს კაბით გამოჩნდა, ანდრე ლეონ ტელიმ სახელი გაითქვა, როგორც საოცრად გავლენიანმა ადამიანმა. ახლა იგი Vogue-ის შტატგარეშე რედაქტორია, ტაირა ბენქსის პოპულარული რეალითი-შოუს – „ტოპ-მოდელი ამერიკულად“ ერთ-ერთი მსაჯული და უბრალოდ, ცოცხალი ლეგენდაა.

“ანდრე მოდური არ არის. ანდრე ეს თვით მოდაა.

მანოლო გლანიკი

ესპანელი ფეხსაცმლის დიზაინერი, რომელიც ჩვენში უფრო მეტადაა ცნობილი სერიალით „სექსი დიდ ქალაქში“.

სიუზი მენკესი (1943)

1988 წლიდან დღემდე The International Herald Tribune-ს მოდის კრიტიკოსი და მიმომხილველი

“დღეს ბევრი რამ მოდაში ისე გამოიყურება, თითქოს კომპიუტერითაა შექმნილი: კუბოკრული ფერადი ორნამენტებიდან მასიური ზამთრის პალტოების თარგებამდე.

სიუზი მენკესი

როგორც მრავალმხრივი ინტერესის მქონე ადამიანი, მენკესი პარიზში ტანსაცმლის დიზაინერობას სწავლობდა, ხოლო კემბრიჯში – ისტორიასა და ინგლისურ ლიტერატურას. მაღალი მოდით დაინტერესება გამოიწვია ოდესღაც ნანახმა Nina Ricci-ს ჩვენებამ, სადაც საიდუმლოდ მოხვდა. მოდური რეპორტიორის რანგში მენკესმა მოიხვეჭა ისეთი სახელი, რომ თუკი ვინმე გაბედავს და არ დაეთანხმება, მთელი მოდის ინდუსტრია ერთხმად ზურგს აქცევს თავხედს. სიუზი მენკესი ცნობილია თვისი პირდაპირობით, იქნება ეს სახელოვანი დიზაინერის კრიტიკა თუ უცნობი ტალანტის ქება. ის აუცილებელი და სასურველი სტუმარია მოდის ყოველ კვირეულზე. ბრიტანული იმპერიის ორდენის ოფიცერი, საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი. სიუზი მენკესი გახლავთ ასევე სტატიების ავტორი ეკონომიკის შესახებ, სამეფო კარის სტილის მკვლევარი და მწერალი. მისი გავლენა მოდის ინდუსტრიაზე თითქმის უსაზღვრო.

„ვიწყებ მუშაობას წიგნზე Vogue-ში ჩემი მოდური თავგადასავლებისა და კარიერის შესახებ.

ჰემიშ ბოულზი

ანა პიაჯი (1931-2012)

უბრალოდ ლეგენდა

ერთადერთი, ვისაც მოდა ყველაფრის ნებას რთავ-და. ის ერთგული იყო პრინციპისა – It's All in the Mix! ბრწყინვალე, მოკაშკაშე, მოდის კვირეულზე მხოლოდ თავისი გამოჩენით ყირამალაზე აყენებდა მოდის კრი-ტიკოსებს. ანა პიაჯი განუმეორებელია. მეორე მისი მსგავსი არც ყოფილა და არც იქნება. მანოლო ბლა-ნიკი, რედაქტორის ახლო მეგობარი, ამბობდა, რომ ის „მოდურია რეალობის ზღვარზე". ფერებისა და ენერ-გიის მთელი ეს აფეთქება კი უდიდესი სკურპულოზუ-ლი შრომის შედეგი გახლდათ. გარდაცვალებამდე, პი-აჯი ყოველდღე იწერდა, თუ სად რას იცვამდა, რათა არ განმეორებულიყო. გარდა ამისა, ის Vogue Italia-ში ექსპერიმენტებისათვის აქვეყნებდა ისეთ უბადლო მასალას, რომ მათ ფონზე ყველაზე ეპატაჟური ფო-ტოსიუჟეტი უფერული და არაფრისმთქმელი ჩანდა. თავის რუბრიკაში Doppie Paggina პიაჯი ფლობდა შემოქმედებაში უსაზღვრო თავისუფლებას. მის ნა-წერებს ხარბად კითხულობდნენ. მოდის ინდუსტრია მისი სტიქია იყო და პიაჯი არასდროს ცდებოდა მისი განვითარების ტენდენციების თობაზე. ფერიას მსგავ-სი ანა პიაჯი ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ხელიხელ-ჩაკიდებული მიჰყვებოდა ჭირვეულ ცელქ მოდას. ის 2012 წელს 81 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ჰემიშ ბოულზი (1963)

1992 წლიდან დღემდე – ამერიკული Vogue-ის ევროპელი რედაქტორი

ის არ არის აღბეჭდილი სარეკლამო პლაკატებზე, მისი ნივთები აუქციონზე არ იყიდება, მაგრამ ეს ადა-მიანი ხელოვნებისათვის გაცილებით მეტს აკეთებს, ვიდრე ბევრი სხვა.

ჰემიშ ბლოუზი პასუხისმგებელია Vogue-ის ყველა ევროპულ გამოცემაზე, აფართოებს გამომცემლობა Conde Nast-ის ჟურნალების მკითხველების აუდიტო-რიას, აკონტროლებს Vogue Living-ს. თავისი კარიერის გარიჟრაჟზე ბოულზი რედაქტორია, მოდის დირექტო-რი და სულ მალე – ევროპელი რედაქტორი, Vogue-ის საიტზე საავტორო რუბრიკის The Hamishsphere-ს წამყვანი. 21-ე საუკუნის დასაწყისში იგი ნიუ-იორ-კის მეტროპოლიტენის მუზეუმის შემოქმედებითი კონსულტანტია და მსხვილი გამოფენის Jacqueline Kennedy: The White House Years – from the John F. Ken-nedy Library Museum კურატორი. მისი ძალისხმევით Vogue-ში რეგულარულად ტარდება ცხოვრების სტი-ლის მიმოხილვა. ის არის ავტორი წიგნებისა ჟალკინ კენედიზე, ივ სენ-ლორანსა და ქრისტობალ ბალენ-სიაგაზე. თავის საყვარელ, ინტერიერის დიზაინის, თემას ბოულზმა მიუძღვნა Vogue Living-ის საავტორო გამოცემა: Houses, Gardens, People. 80-იანებიდან მას იწვევდნენ ხელოვნებასა და დიზაინზე ლექციების წასაკითხად. ყველაზე პრესტიჟულ მუზეუმებსა და დიზაინის ინსტიტუტებში ჰემიშ ბოულზი სასურველი სტუმარია. მისი ბოლო მსხვილი პროექტია გამოფენა, რომელიც მიეძღვნა ქრისტობალ ბალენსიაგას დედო-ფალ სოფიას ესპანურ ინსტიტუტში. ჰემიშ ბოულზი ყველგან და ყველაფერს და ასწრებს.

მოდის მოღვაწენი დისციპლინირებულნი უნდა იყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ინდუსტრია არ იმუშავებს.

ანა პიაჯი

კიდევ ერთი საოცრება ნატალი ანტი ეიჯ კლინიკისგან

DGLOW-ანუ აკნესგან გასუფთავებული კანი სახეზეა

როგორ ვებრძოლოთ ახალგაზრდა თაობის ერთ-ერთ ყველაზე უხერხულ, უსიამოვნო პრობლემას უახლესი მეთოდებით, რა საშუალებით ვიმკურნალოთ გარანტირებული მაღალი ეფექტის მისაღებად და როგორ დავამარცხოთ საბოლოოდ ვერაგი აკნე სრულიად უმტკივნეულოდ!

დღეს თინეიჯრების 80% აკნეს ებრძვის. კანის ეს უსიამოვნო დაავადება ძირითადად საყმაწვილო ასაკს ახასიათებს და გამონაყარით, ფერიმჭამელებითა და კანის სიწითლით ვლინდება, ხშირად მხოლოდ კოსმეტიკურ საშუალებებს და ანტიბიოტიკებს არ შეუძლიათ ამ პრობლემასთან გამკლავება. „ნატალი ანტი ეიჯ კლინიკა" გვაძლევს უნიკალურ საშუაებას სამუდამოდ მოვიშოროთ აკნე და გავტავისუფლდეთ აკნეს შემდგომი ნაწიბურებისგან!

მაღალტექნოლოგიურ 21-ე საუკუნეში აკნე აღარ წარმოადგენს პრობლემას, რადგან უკვე ხელმისაწვდომია ამ დაავადების ხარისხიანი , აპარატული მკურნალობა. საუკეთესო მიღწევები აქვს ამ მხრივ იტალიაურ კომპანია DEKA-ს, რომელსაც „ოქროს სტანდარტის" აპარატად არის აღიარებული თანამედროვე ესთეტიკური მედიცინის სფეროში. „ნატალი ანტი ეიჯ კლინიკა" DEKA-ს სრულიად ახალი დერმატოლოგიური აპარატის D-GLOW საშუალებით გვთავაზობს აკნესგან საბოლოოდ გათავისუფლებას.

კლინიკისათვის აკნეს მკურნაობა ერთ-ერთპრიორიტეტს წარმოადგენს. დღეისათვის,D-GLOW-ს არაჩვეულებრივ აპარატზე დაყრდნობით,„ანტი ეიჯ კლინიკა" გარანტირებულად წარმატებულ სამკურნალო კურსებს სთავაზობს თავის ერთგულ მომხმარებლებს. ამ მაღალხარისხიანი, ინოვაციური აპარატის რადიოსიხშირის ტალღა და ულტრაბგერითი სხივი ღრმად აღწევენ კანის შიდა შრეებში და შესაბამისად, ხდება მწვავე ანთებითი კერების ჩაცხრობა, დაზიანებული ქსოვილის აღდგენა და აკნესგან სრულად განკურნება. აპარატი ასევე უზრუნველყოფს კოლაგენისა და ელასტინის გააქტიურებას, რის შედეგადაც კანის ელასტიკურობის აღდგენა ხდება. ამგვარად, D-GLOW პროცედურები წარმოადგენს არა მხოლოდ აკნეს მკურნალობის, არამედ კანის გაახალგაზრდავების, სიბერის პრევენციისა და ნაოჭების შემცირების არაჩვეულებრივ საშუალებას.

D-GLOW-ს კიდევ ერთი სასწაულებრივი შესაძლებლობით - -ლაზერული სხივით, პათოლოგიური პროცესის გამომწვევი მიკრობების მკურნალობა ხდება. შედეგად, ქრება ანთებითიმოვლენები, კანის შეშუპება და სიწითლე. იმისათვის, რომ კანმა ბუნებრივი ელფერი და სტრუქტურა დაიბრუნოს, საკმარისია მხოლოდ 2-3 სეანსის ჩატარება. პროცედურები აბსოლუტურად უსაფრთხოა და თავისუფლად უტარდებათ როგორც ბავშვებს, ასევე მოზარდებსა და ორსულებს. „ნატალის ანტი ეიჯ კლინიკაში", გარდა აკნესთან ბრძოლისა, ასევე უკვე შესაძლებელია აკნეს შემდგომი ნაწიბურების სრულად მოშორება, რაც საკმაოდ უსიამოვნო და უხერხულ პრობლემას წარმოადგენს. როგორც ცნობილია, აკნესგან განკურნების შემდეგ, ნაწიბურები 8-10 წლის განმავლობაშიც კი შეიძლება დარჩეს კანზე. „ანტი ეიჯ კლინიკაში" ამ პრობლემას ასევე DEKA-ს CO2 ქირურგიული სხივით ებრძვიან. პროცედურები უმტკივნეულოა, შესაბამისად, არ საჭიროებს ვენურ ნარკოზს - იგი სულ 5 წუთი გრძელდება და რთული შემთხვევის პირობებშიც კი, მხოლოდ 2-3 პროცედურაა საკმარისი პრობლემის აღმოსაფხვრელად.

გარდა ზემოხსენებული უმნიშვნელოვანესი,თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური პროცედურებისა, „ნატალის ანტი ეიჯ კლინიკაში" აკნეს თერაპიული მეთოდითაც შველიან. მკურნალობის ამ მიმართულებაში ლიდერია ესპანური GERMAIN DE CAPUCCINI-ს უნიკალური პროდუქცია, რომლის თერაპიული ხაზი ექსკლუზიურად მხოლოდ „ნატალის ანტი ეიჯ კლინიკაშია" წარმოდგენილი.

მის: კოსტავას 76 | ტელ: 2 10 00 07 / 2 10 00 05 | www.nataliclinic.ge | fb: https://www.facebook.com/NataliAntiageclinic

ლეგენდა სიყვარულზე

ნამდვილი სახელი – ჯონ როჯერ სტივენსი

ჯონ ლეჯენდი

ვოკალის პირველ გაკვეთილებს ადრეულ ბავშვობაში ბებია უტარებდა, რომელიც მასთან ერთად გალობას სწავლობდა. იმ დროს ვერავინ ხვდებოდა, რომ ოჰაიოს შტატის მძინარე ამერიკული ქალაქი სპრინგფილდი, სამყაროს ცხრაგზის „გრემის“ და ახლა უკვე „ოსკარის” მფლობელს მოუვლენდა... დიდი გაფაციცებით ველოდი ასეთი ცნობილი ვარსკვლავის გაცნობას. ჯონ ლეჯენდი კი უბრალო და მეგობრული ადამიანი აღმოჩნდა, რომელიც არ არის შეპყრობილი ვარსკვლავური დაავადებით. მომღერალმა სიამოვნებით გაგვიზიარა თავისი ცხოვრების, წარმატებული კარიერის ისტორია, საკუთარი შეხედულება სიყვარულსა და ქველმოქმედების ფილოსოფიაზე.

იგიარ ნაზაროვის ინტერვიუ, ფოტო პრეს-მასალები

ჯონ ლეჯენდის
გამოსვლა საიტის
Buro 247-ის
აზერბაიჯანული
ვერსიის ოფიციალურ
პრეზენტაციაზე,
13 მარტი, 2014 წელი,
ბაქო, აზერბაიჯანი

ოთხი წლიდან უკრავთ პიანინოზე და მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვიტეთ, უნივერსიტეტში ინგლისური ენა და აფრო-ამერიკული ლიტერატურა გესწავლათ, მთელ დროს მუსიკას უთმობდით. საბოლოოდ კი ამან განაპირობა თქვენი, როგორც პროფესიონალი მუსიკოსის კარიერა. რით იყო შთაგონებული ეს გადაწყვეტილება და რაში მდგომარეობს თქვენი წარმატების საიდუმლო?

მიუხედავად იმისა, რომ მუსიკოსების ოჯახში არ გავზრდილვარ – დედა მკერავია, ხოლო მამა სამრეწველო საწარმოს მუშა – მუსიკის სიყვარული ბავშვობიდანვე იყო ჩემში. ლიტერატურაც ყოველთვის მაინტერესებდა, მაგრამ მაინც მუსიკით ვცხოვრობდი. 1999 წლიდან 2004 წლამდე არაერთხელ ვცადე კონტრაქტი გამეფორმებინა მრავალრიცხოვან ხმის ჩამწერ სტუდიებთან, მათ შორის ჩოლუმბია ღეცორდსთანაც კი, მაგრამ ყველგან ერთ პასუხს ვიღებდი: „მზად არ ვართ, თქვენთან ხელშეკრულების გასაფორმებლად“ ან „თქვენ მზად არ ხართ ჩვენთან სამუშაოდ“. მაშინ სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ მათ ჯერ კიდევ 1999 წელს შეეძლოთ ჩემთან კონტრაქტის გაფორმება. მაგრამ გავიდა დრო, და გავაცნობიერე, რომ ისინი მართლები იყვნენ: მე მართლა არ ვიყავი ამისთვის მზად. საბოლოოდ ეს 2004 წელს მოხდა, რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობის შედეგად. მაშინ უკვე ვმუშაობდი კანიე უესტთან, რომელიც პროფესიონალური კარიერის დაწყებაში, მუსიკის დახვეწასა და საკუთარი თავის სრულყოფაში დამეხმარა. 2004 წელს ჩოლუმბია ღეცორდსთან კონტრაქტის გაფორმებისა და პირველი ალბომის – Get Lifted ჩაწერის შემდეგ, რომელმაც 2006 წელს „გრემის“ ოთხი ჯილდო მომიტანა, წარმატება პრაქტიკულად თავისით მოვიდა.

ხომ ვერ დაასახელებდით ერთი პიროვნებას, ვისაც თქვენ წარმატებას უნდა უმადლოდეთ?

მრავალი ადამიანის მადლობელი ვარ, რომლებთანაც მრავალი წლის მანძილზე ვმუშაობდი.

> „მთავარია სწორად შეარჩიო ადამიანები შენს გარშემო; ისინი, ვისთანაც მუშაობ. ბოლოს და ბოლოს, სწორედ ისინი განსაზღვრავენ შენს წარმატებას“

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ჩემს კარიერაში მაინც კანიე უესტმა შეასრულა.

თქვენ ხართ ცხრა „გრემის“, BET-ის ჯილდოს, სამი შოულ თრაინ Music Award-ისა და ათეული სხვა ჯილდოსა და ნომინაციის მფლობელი. თქვენი ალბომები წარმატებით იყიდება მთელს მსოფლიოში. თქვენს სახელს ცნობენ და თქვენს მუსიკას უსმენენ პლანეტის თითქმის ყველა კუთხეში, გასულ წელს დაქორწინდით... თქვენ გაქვთ ყველაფერი, რაზეც შეიძლება ოცნებობდეს ადამიანი. როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი მომავალი?

მუსიკის შექმნის, ხელოვნების სიყვარული – პირველ რიგში, რაღაც განსაკუთრებულის შექმნაა, სურვილია დატოვო შენი კვალი კულტურაში. და ის ფაქტი, რომ თითქმის მწვერვალს მივაღწიე, კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ აღარ დამრჩა მოტივაცია და შთაგონება რაღაც შევქმნა მომავალშიც. ვინაიდან ბუნებით შემოქმედებითი ადამიანი ვარ, მუდამ ახლისკენ მივისწრაფვი, რაც გახდება ჩემი შინაგანი სამყაროს ამსახველი. რაც იქნება იმაზე უკეთესი, ვიდრე იყო მანამდე, რაც გამხდის უფრო სრულყოფილს და რაც გარკვეულწილად იქნება გამოწვევა თვითონ ჩემთვისაც და ჩემი აუდიტორიისთვისაც. მე არ ვაპირებ დავკმაყოფილდე მიღწეულით!

თქვენ ხართ მუსიკოსი, კომპოზიტორი, სიმღერების ავტორი. რა არის თქვენთვის შთაგონების მთავარი წყარო?

რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, ჩემთვის შთაგონების წყარო თვითონ მუსიკაა. ბავშვობიდან მუსიკის ფანი ვიყავი და გავიზარდე ოჯახში, სადაც უზომოდ უყვართ იგი. ის მუდმივად ჩემი ცხოვრების უმეტესი ნაწილია და ჩემში მუდამ ცოცხლობს საკუთარი მუსიკის შექმნის ძლიერი ვნება.

რომ გქონდეთ შესაძლებლობა რაიმე შეცვალოთ თქვენს ცხოვრებაში, რას შეცვლიდით?

არ ვიცი. ჩემი ცხოვრება პრაქტიკულად უნაკლოა. მე ბედნიერი ვარ, პირად ცხოვრებაშიც და კარიერაშიც. არ არსებობს არაფერი, რის შეცვლასაც ვისურვებდი.

საუკეთესო რჩევა, რაც კი ოდესმე თქვენთვის მოუციათ?

ძნელია რომელიმე კონკრეტული რჩევის დასახელება. მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ცხოვრების მანძილზე ბევრი რამ ვისწავლე და მრავალნაირი ადამიანი შემხვედრია. ალბათ მთავარია, სწორად შეარჩიო შენს გარშემო მყოფი ადამიანები, ისინი, ვისთანაც მუშაობ. ბოლოს და ბოლოს, სწორედ ისინი განსაზღვრავენ შენს წარმატებას. მაგრამ ეს არავის რჩევა არ არის, ეს უბრალოდ ჩემი შეხედულებაა, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

საუკეთესო დუეტი თქვენს კარიერაში? შემსრულებელი, ვისთანაც კიდევ ისურვებდით მუშაობას?

ბევრი მშვენიერი დუეტი ყოფილა, მაგრამ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დუეტი იყო სტივ უანდერთან. ეს დაუვიწყარი იყო!

გასულ წელს თქვენ დაქორწინდით თქვენს საყვარელ ქალზე – კრის ტეიგელზე. რა არის ქორწინების დადებითი და უარყოფითი მხარეები, როდესაც გარს გახვევიათ ასობით თაყვანისმცემელი, მათ შო-

'04
გამოუშვა თავისი პირველი ალბომი Get Lifted.

'05
Grammy ნომონაციებში: „საუკეთესო ალბომი R&B სტილში" – Get Lifted; „საუკეთესო მომღერალი R&B სტილში" სიმღერისთვის Ordinary People; „საუკეთესო ახალი მომღერალი".

'06
გამოუშვა თავისი მეორე ალბომი Once Again.
Grammy ნომინაციებში: საუკეთესი დუეტი ან ჯგუფი სტილში" სიმღერისთვის Family Affair ჯოს სთოუნთან და ვან ჰანტთან ერთად; „საუკეთესო მომღერალი R&B სტილში" სიმღერისთვის Heaven.

'08
გამოუშვა თავისი მესამე ალბომი Evolver
Grammy ნომინაციაში „საუკეთესო დუეტი ან ჯგუფი სტილში R&B" სიმღერისთვის Stay
With Me (By The Sea) ჯგუფ Al Green-თან ერთად.

'10
ჯგუფ The Roots-თან ერთად გამოუშვა ალბომი Wake Up! და მიიღო Grammy ნომინაციებში: „საუკეთესო ვოკალური გამოსვლა R&B სტილში" სიმღერისთვის Hang on in There და „საუკეთესო ალბომი R&B სტილში" Wake Up!.
Grammy ნომინაციაში „საუკეთესო სიმღერა R&B სტილში" Shine

ჟურნალ Vanity Fair-ის საღამოზე „ოსკარის" ცერემონიის შემდეგ.
2014 წელი.

„ ჩემთვის სიყვარული ნიშნავს თავისუფლებას, ღიად გამოხატო შენი გრძნობები. "

რის მთელი მსოფლიოს ქალები?

როდესაც ქორწინდები, აკეთებ არჩევანს.

არჩევანი – იყო მიუწვდომელი გარე ცდუნებებისათვის, სასიყვარულო ინტრიგებისათვის.

მე მივიღე ეს გადაწყვეტილება სიხარულით და სიყვარულით, რადგანაც მზად ვარ ამისთვის!

თქვენი ყველაზე საყვარელი კომპოზიცია? სიმღერა, რომელიც ყველაზე მეტად ასახავს თქვენს შინაგან სამყაროს?

სავარაუდოდ, ესენია All of Me და Ordinary People. ჩემი აზრით, ის სიმღერებია უკეთესი, რომლებიც შეაფასა ჩემმა აუდიტორიამ, მსმენელმა. ესენია ჩემი ყველაზე პოპულარული სიმღერები, და სავარაუდოდ, უკეთესი. სწორედ ეს ორი სიმღერა ყველაზე კარგად წარმომადგენს.

თქვენ გწამთ სიყვარულის? და რა არის თქვენთვის სიყვარული?

მწამს. ჩემთვის სიყვარული ნიშნავს ჩემი გრძნობების გამოხატვის თავისუფლებას, შესაძლებლობას იყო ერთდროულად დაუცველი და დაცული, შეგეძლოს მიიღო და გასცე, გქონდეს მსხვერპლშესაწირად გაცემის სურვილი, დაინახო სინათლე შენს საყვარელ ქალში, დააფასო იგი. მე მგონია, რომ ყოველივე ეს სიყვარულია.

თქვენ უზარმაზარ საქველმოქმედო საქმიანობას ეწევით. მოგვიყევით ცოტა რამ ამის შესახებ.

მთელი ჩემი ცხოვრება მე ვცდილობდი დავხმარებოდი ადამიანებს, მაგრამ რამდენიმე წლის წინ კოლუმბიის უნივერსიტეტთან არსებული დედამიწის ინსტიტუტის დირექტორის, ჯეფრი საქსის წიგნმა „სიღარიბის დასასრული" მაიძულა გადამეხედა ადამიანის ცხოვრების ფასეულობაზე და მესამე მსოფლიოს ქვეყნებში სიღარიბის საკითხებზე ჩემი შეხედულებებისთვის. იმისთვის, რომ მეტი შემეტყო იმ პრობლემებზე, რომლებსაც აფრიკულ ქვეყნებში აწყდებიან, გავემგზავრე განაში. დავიწყე კამპანია დასახელებით Show Me Campaign და შევუერთდი ჯეფრის მისიას Millennium Promise Alliance. მას შემდეგ ვიღებ მონაწილეობას უამრავ საქველმოქმედო პროექტში და კამპანიაში. თითოეული სიცოცხლე ფასდაუდებელია და ჩვენი ძალისხმევით შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ სიღარიბე.

რისი თქმა გსურთ მთელი პლანეტის ადამიანებისთვის?

გაავრცელეთ სიყვარული!

ბობ დილანი, SHADOWS IN THE NIGHT

73 წლის ბობ დილანმა სტუდიაში მუშაობა რამდენიმე თვის წინ დაასრულა, ხოლო თებერვლის დასაწყისში კი Shadows in the Night მსენელმა მიიღო. საინტერესო ის გახლავთ, რომ ალბომში მხოლოდ ცნობილი, უკვე კლასიკად ქცეული კომპოზიციები შევიდა, რომლებიც თავად დილანმა თავისი გემოვნებით შეარჩია. ამრიგად, Shadows in the Night ბობ დილანის ყველაზე პირადი, მაგრამ არაორიგინალური ალბომია.

მარკ ნოფლერი, TRACKER

თითქმის ბობ დილანის კბილა მარკ ნოფლერი უკვე მერამდენე წელია სცენაზე ეულად, ლეგენდარული Dire Straits-ის წევრების გარეშე გამოდის, თუმცა მის მუსიკალურ კარიერაზე ამას არ უმოქმედია. ალბომი გამოვა არა მხოლოდ CD-ზე, არამედ ვინილის დისკზეც, რაც ისევ და ისევ იმის შესახებ გვახსენებს, რომ მისტერ ნოფლერი თანამედროვე მუსიკის ოქროს ხანის წარმომადგენელია.

რიკი მარტინი, A QUIEN QUIERA ESUCHAR

ოდესღაც ძალიან პოპულარულმა, ახლა კი კარიერის შენარჩუნებაზე მზრუნველმა რიკი მარტინმა მეათე ალბომი გამოუშვა. მისი ბოლო ჩანაწერი მსმენელმა 2011 წელს მიიღო, შესაბამისად, მომღერალს საკმაოდ დიდი შესვენება გამოუვიდა, რაც მის ახალ ჩანაწერსაც დაეტყო. ალბომის ესპანურენოვანი სახელწოდებიდან ადვილად მისახვედრია, რომ რიკი მარტინი უმეტესად სწორედ მშობლიურ ენაზე შესრულებულ კომპოზიციებს გვთავაზობს.

ბიორკი, VULNICURA

20 მარტს ბიორკის Vulnicura გამოდის, თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ ელ-ვერსიაა. ალბომის დისკი კი – რამდენიმე დღეში გახდება ხელმისაწვდომი. ბიორკი მარტშივე იწყებს ახალი ალბომის მხარდასაჭერ ტურნეს, რომელიც ზაფხულის ბოლომდე გაგრძელდება. Vulnicura სულ ცხრა ორიგინალურ კომპოზიციას აერთიანებს.

მადონა, REBEL HEART

მარადიული პოპ-დივა ფორმაშია და არც მეამბოხის იმიჯს ღალატობს. Rebel Heart მისი მეცამეტე ნამუშევარია, რომელიც მარტის დასაწყისში გამოვიდა, თუმცა რამდენიმე კომპოზიცია ჯერ კიდევ დეკემბერში iTunes-ზე გამოჩნდა. ამრიგად, მსმენელი Rebel Heart-ს ნაწილობრივ უკვე იცნობს, ახლა კი მთლიანი ნამუშევრის შეფასების საშუალებაც აქვს.

50 CENT, STREET KING IMMORTAL

ამერიკელი რეპერი კვლავ ქუჩასა და იქაურ მონარქებს უმღერის, თუმცა ამჯერად კლასიკური ჰიპ-ჰოპის გარდა საცეკვავო და როკ რიტმებსაც იყენებს, რაც ჩანაწერს უფრო მრავალფეროვანს ხდის. მუსიკის კრიტიკოსები იმასაც წერენ, რომ ეს ჩანაწერი მას სულ სხვა კუთხით გაგვაცნობს. ცხადია Street King Immortal ელ-ვერსიის სახითაც გამოვა, ამრიგად თქვენს ipod-ში ის უფრო მარტივად აღმოჩნდება, თუმცა ჯერჯერობით ალბომის გამოშვების ზუსტი თარიღი ცნობილი არაა.

წიგნები

ტექსტი: ნანა კობაიძე

მარჯან სატრაპი, “პერსეპოლისი”

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა,
მთარგმნელი
მიხეილ ციხელაშვილი

“პერსეპოლისი” ირანელი ავტორის, მარჯან სატრაპის პირველი გრაფიკული რომანია, რომელშიც იგი თავისი ბავშვობის ამბებს გვიამბობს. გასული საუკუნის 70-იანი წლების ირანის ტრაგიკული ისტორია – შაჰის ჩამოგდება, ისლამური რევოლუცია, ომი ერაყთან და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები 10 წლის მარჯის თვალითაა დანახული. გარემოებათა გამო ავსტრიაში სასწავლებლად წასული გოგონა გარკვეული პერიოდის შემდეგ უკან, ირანში ბრუნდება, თუმცა კიდევ უფრო გამკაცრებული რეჟიმის ფონზე სამშობლოში ყოფნა განსაკუთრებით უჭირს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე ვერც დასავლური ცხოვრებისა და აზროვნების წესი გაითავისა, მარჯი ისევ იქ, თავისუფალ სივრცეში ამჯობინებს დაბრუნებას.

მარჯან სატრაპიმ ირანი 1983 წელს დატოვა და დღემდე საფრანგეთში ცხოვრობს. 2000 წელს იქვე გამოიცა მისი პირველი გრაფიკული რომანი, სადაც ცდილობს იუმორით მოგვითხროს იმ რთულ და არცთუ სახალისო ამბებზე, რომლებიც მის სამშობლოში ხდებოდა. “პერსეპოლისი” გამოსვლისთანავე გახდა პოპულარული და არაერთი ჯილდო დაიმსახურა.

წიგნი 30 ენაზეა თარგმნილი, რომელთა რიგებს ცოტა ხნის წინ ქართულიც შეემატა. უნდა აღინიშნოს, რომ “პერსეპოლისი” ქართულ ენაზე გამოცემული პირველი გრაფიკული რომანია, რომელიც, იმედია, ამ ჟანრისა და ზოგადად თანამედროვე აღმოსავლური სამყაროთი დაინტერესებულ მკითხველს შეუმჩნეველი არ დარჩება.

პოლ ოსტერი, “ილუზიების წიგნი”

გამომცემლობა “დიოგენე”,
მთარგმნელი ქეთი ქანთარია

პოლ ოსტერს საქართველოში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, თავისი აუდიტორია ჰყავს. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და საინტერესო თანამედროვე ამერიკელი მწერალი ქართველმა მკითხველმა რამდენიმე წლის წინ “ნიუ-იორკული ტრილოგიით” გაიცნო. შემდეგ იყო “მისნის ღამე” (ორივე მათგანი ქეთი ქანთარიამ თარგმნა). ამჯერად კი “დიოგენემ” ოსტერის ერთ-ერთი გახმაურებული რომანი, “ილუზიების წიგნი” შემოგვთავაზა. ბევრ სხვა ღირსებასთან ერთად წიგნი სიუჟეტურადაც საინტერესოა. მასში ერთმანეთს ერწყმის ავტორის ცხოვრების ორი მთავარი წარმმართველი – კინო (ოსტერი კინორეჟისორიცაა) და ლიტერატურა.

პროფესორი დევიდ ზიმერი, რომლის ცოლ-შვილი ავიაკატასტროფაში იღუპება, საშინელი დეპრესიის პერიოდში ნახულობს ფილმს მუნჯი კინოს მსახიობის, ჰექტორ მანის მონაწილეობით, რომელიც 1929 წელს უკვალოდ გაუჩინარდა. მისი ნიჭით მოხიბლული მსახიობის შესახებ ცნობების მოძიებას იწყებს და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაბნეულ ფილმებსაც ეცნობა. ერთ მშვენიერ დღეს, ადამიანისგან, რომელიც ყველას დიდი ხნის გარდაცვლილი ჰგონია, შეტყობინებას იღებს – ჰექტორ მანი შეხვედრას სთხოვს. აქედან იწყება უცნაური ამბები, რომლებიც გულგრილს არავის დატოვებს.

რეალურ სიუჟეტთან ერთად წიგნში ჰექტორ მანის ბიოგრაფიაც არის მოთხრობილი, რაც კიდევ ერთი დამოუკიდებელი რომანია. როგორ ეჯაჭვება ერთმანეთს აწმყო და წარსული, რეალობა და გამონაგონი, რა არის ნამდვილი და რა – ილუზორული ამ სამყაროში, ოსტერის “ილუზიების წიგნიდან” შეიტყობთ.

ორჰან ფამუქი, “ნივთების უმანკოება”

გამომცემლობა “დიოგენე”

“ნივთების უმანკოებას” ფამუქის ცნობილი რომანის, “უმანკოების მუზეუმის” კატალოგად მოიხსენიებენ, რომელიც ამ წიგნის მიხედვით შექმნილ მუზეუმში გამოფენილ ნივთებზე მოგვითხრობს. მათ, ვისთვისაც “კატალოგის” ცნება ამა თუ იმ ექსპონატის მშრალ აღწერილობასთან ასოცირდება, იმედი უნდა გავუცრუოთ, რადგან მკითხველის წინაშეა ავტორის მიერ ჩვეული ოსტატობით შექმნილი მხატვრულ-დოკუმენტური ტექსტი. “ნივთების უმანკოება” სრულიად დამოუკიდებელი ნაწარმოებია, რომლის გაგებას რომანის წაკითხვის გარეშეც შეძლებთ. ავტორის ჩანაფიქრიც ეს იყო.

ნივთების უმეტესობა ქემალისა და ფუსუნის ტრაგიკული სიყვარულის ამბებს უკავშირდება, თუმცა ფამუქი იმ ადამიანებზეც გვიყვება, რომლებიც თურქეთის თანამედროვე ისტორიას და კულტურას ქმნიდნენ. აქ დაცული თითოეული ნივთი სრულიად ახლებურ ჭრილშია წარმოჩენილი. ყველაფერი – ფოტოები, საფოსტო მარკები, სათამაშოები, პლაკატები, საათები და ბევრი სხვა წვრილმანმსხვილმანი ქალაქის წარსულს უკავშირდება და მწერლის მოგონებებში არსებულ სტამბოლს აცოცხლებს.

წიგნი არაჩვეულებრივადაა ილუსტრირებული და გამოცემული, რაც სასიამოვნო ლიტერატურულ მოგზაურობასთან ერთად მკითხველს დაუვიწყარ ვიზუალურ შთაბეჭდილებებსაც ჰპირდება.

MARIO TESTINO. IN YOUR FACE

გამომცემლობა TASCHEN

მოდის ფოტოგრაფი მარიო ტესტინო ერთ-ერთი საუკეთესოა თავის სფეროში. ამ სამყაროში არსებული კონკურენციის მიუხედავად, 61 წლის

ხელოვანი კვლავაც აგრძელებს მუშაობას პოპულარულ მოდის ჟურნალებთან, რომელთა შორისაა Vogue და Vanity Fair თანამშრომლობს წამყვან დიზაინერებსა და მოდის სახლებთან (Versace, Gucci, Dolce & Gabbana, Burberry).

მის წარმატებას პროფესიონალიზმსა და საქმის სიყვარულთან ერთად ადამიანური ფაქტორიც განაპირობებს. ტესტინოს “კლიენტები” გადაღების დროს თავს კომფორტულად და ბედნიერად გრძნობენ, რაც ფოტოზეც აისახება.

“მასთან მუშაობა სიამოვნებაა. ცდილობს საუკეთესო მხრიდან წარმოგაჩინოს” – ამბობენ მისი მუზები, რომელთა შორის არაერთი ცნობილი სახეა. მადონა, კეიტ მოსი, პრინცესა დიანა, გვინეტ პელტროუ, ჟიზელ ბუნდჰენი, ლედი გაგა – ეს იმ სელებრითების მცირე ჩამონათვალია, რომელთა საუკეთესო ფოტოებიც მარიო ტესტინოს ეკუთვნის. წიგნში ბოლო 30 წლის განმავლობაში გადაღებული ნამუშევრებია თავმოყრილი.

THE BOOK OF SYMBOLS

გამომცემლობა TASCHEN

ეს ორიგინალური გამოცემა მთელი მსოფლიოს სიმბოლოთა შესახებ მოგვითხრობს. წიგნი 350 საინტერესო სტატიას აერთიანებს. თითოეულ მათგანში ავტორები კონკრეტულ სიმბოლოს ფსიქოლოგიურ ჭრილში განიხილავენ, მის ეტიმოლოგიაზე გვიამბობენ, განვითარების ისტორიას იკვლევენ და დღეს არსებული სურათის შესაბამისად საკუთარ ინტერპრეტაციას გვთავაზობენ.

წიგნში სხვადასხვა ქვეყნის, ხალხისა და ისტორიული ეპოქის სიმბოლოებია თავმოყრილი, რომლებიც 800 ფერადი ილუსტრაციითაა წარმოდგენილი. მის შექმნაში სხვადასხვა პროფესიის ადამიანები მონაწილეობდნენ, მათ შორის, ფსიქოლოგები, ხელოვნებათმცოდნეები, ისტორიკოსები, რელიგიის სპეციალისტები. სიმბოლიკით დაინტერესებული მკითხველი ამ გამოცემით უამრავ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიტყობს – აქ ყველაფერია სიმბოლოთა უძველესი და იდუმალი სამყაროს შესახებ.





„სოტბის“ სააუქციონო სახლის საიტზე ქართველი მხატვრის - ვახო ბუღაძის ნამუშევრის - „დერბი 91“-ის შესახებ ვკითხულობთ: „მისი ნამუშევრები ხშირად აბსტრაქციის ზღვარზეა და შთაგონებულია თაობის მელანქოლიით, რომელმაც სამოქალაქო ომი და აფხაზეთის კონფლიქტი გადაიტანა. ეს ნამუშევარი ეძღვნება მხატვრისა და მისი მეგობრების მიერ ომის დაწყებამდე გატარებულ ბოლო სეზონს თბილისის იპოდრომზე, რომელიც ცნობილი იყო ჩრდილო კავკასიიდან თუ შუა აზიიდან ჩამოყვანილი ზღაპრული ცხენებით.“

მხედრებისა & კინოს მხატვარი

ტექსტი: თეონა ჯაფარიძე / ფოტო: თინათინ კიღურაძე



ჩვენი პრობლემებიდან ათასი მილით დაშორებული „სოტბის“ დამთვალიერებელი, რა თქმა უნდა, უპირობოდ იღებს კურატორის მიერ მიწოდებულ ამ მოცემულობას სადღაც შორეული ქვეყნიდან „დაკარგულლი თაობისა“ თუ „აბსტრაქციის ზღვარზე“ მყოფი ფერწერის შესახებ, მაგრამ ამასთან ერთად ალბათ გამოფენის ვერც ერთი სტუმარი ვერ გაექცევა იმ ინდივიდუალურ შეგრძნებებს, რასაც ეს ვარდისფერ და მონუმენტურ კვარცხლბეგზე შემდგარი ცხენის ძლიერი ფლოქვები იწვევს თავისი დიდებული და მხედრული ისტორიით. (ტილო მასშტაბურია – 230 სმ x140 სმ. აკრილი. აბრეშუმი).

მოკლედ რომ ვთქვა, ვსხედვართ ვახოსთან დიდ, ნათელ სახელოსნოში, თან ახალ ნამუშევრებს ვათვალიერებ და თან ზოგადად, ნახატის საბოლოო ბედზე ვსაუბრობთ – თუ რა კონტექსტში დახატა ის თავდაპირველად მხატვარმა, შემდეგ როგორ და სად გამოფინა კურატორმა, როგორ აღიქვა ის დამთვალიერებელმა, საბოლოოდ სად დაიდო ბინა და რამდენად დიდია განსხვავება მის თავდაპირველ, შექმნისდროინდელ და ბოლო კონტექსტსს შორის. აი, მაგალითად, ზემოთ ნახსენები „დერბი 91“ „სოტბის“ დამთვალიერებლისთვის დამოუკიდებელი ტილოა, მისი ავტორისთვის კი ერთი მთლიანი სერიისა და დროში გაწელილი მოგონებების ფრაგმენტი. ის შარშან გაზაფხულზე გამოფინეს ლონდონის „სოტბის“ ჯგუფურ გამოფენაზე „გზაჯვარედინი 2. თაანამედროვე ხელოვნება სტამბოლიდან ქაბულამდე“. ამ გამოფენაზე ეს ნამუშევარი „ბაია გალერეამ“ წარადგინა და „სოტბის“ გამოფენის კურატორმა შეარჩია. მანამდე კი – 2013 წელს იგი სპეციალურად შეიქმნა „გალა გალერეის“ გამოფენისათვის Victoria, როგორც სერიის – „თბილისის იპოდრომის“ ერთ-ერთი ნამუშევარი. მახსოვს, თბილისში ამ გამოფენას დიდი რეზონანსი მოჰყვა. ალბათ იმიტომ, რომ ნამუშევრები სწორად იყო გამოფენილი: გამოფენისთვის აკადემიური სივრცე – სურათების ეროვნული გალერეა შეირჩა და ვახოსთან ერთად კიდევ ორი, თემატურად თუ სტილისტურად სრულიად განსხვავებული მხატვრისა და მეგობრის – ოლეგ ტიმჩენკოსა და უშანგი ხუმარაშვილის ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სერია გამოიფინა. ფაქტობრივად კი, სულ სამი დამოუკიდებელი გამოფენა იყო წარმოდგენილი, რომლებიც ერთი-მეორეს ძლიერ „ბექგრაუნდს“ უქმნიდნენ. „თბილისის იპოდრომის“ სერიამ, რომელიც მხატვრის 23 წლის წინანდელი მოგონებების ერთი მთლიანი ტრანსფორმაციაა, იმდენად ძლიერი შთაბეჭდილება მიახდინა მაშინ დამთვალიერებელზე, რომ შედეგად დღეს ამ სერიის ტილოთა უმეტესობა ცალ-ცალკე, ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად, კერძო კოლექციებსა და სულ სხვა, პრივატულ სივრცეებში განაგრძობენ დამოუკიდებელ არსებობას. მათი ახალი მეპატრონეების წარმოსახვა და ახალი გარემო ამ ნამუშევრებს ახლა ალბათ სულ სხვა ინტერპრეტაციას ანიჭებენ, ვიდრე თავად მას ავტორმა მიანიჭა შექმნის პროცესში.

სწორედ ნახატის საბოლოო საგამოფენო სივრცეზე გააკეთა აქცენტი ამას წი-

ნათ „გალა გალერეამ“ და ვახო ბუღაძის გამოფენა პირდაპირ ინტერიერის აქსესუარების „შოუ რუმში“ – „ოპერა დიზაინში“ გამოფინა. ეს „გალა გალერეისა“ და „ოპერა დიზაინის“ ერთობლივი პროექტია სახელწოდებით – „სახლში“, რაც სწორედაც რომ ხელოვნების ნიმუშის ყოფით, სახლის გარემოში „გამოფენას“ გულიხმობს. ვახო თვლის, რომ ამ გამოფენით ის კომპრომისზე წავიდა და ნამუშევრებმა ამ სივრცეში ვერ იმუშავეს, გამოფენის ორგანიზატორები კი ამ ნაბიჯს ექსპერიმენტსა და ხელოვნებისა და მის მომხმარებელთან პირდაპირ კონტაქტს უკავშირებენ.

სახელოსნო სავსეა სულ ახალი ნამუშევრებით, ძირითადად მასშტაბური ტილოებია.

– ეს სულ ერთი წლის ნამუშევარია. ამ სერიას „გლდანი“ ჰქვია და ჩემი ბავშვობის მოგონებებია. ბავშვობაში „დახურულ ბაზართან“ ვცხოვრობდი. მერე გადავედით გლდანში. მისი მშენებლობა ახალი დაწყებული იყო და სულ რამდენიმე კორპუსი იდგა... – მიხსნის ვახო და თან კედელზე მიყუდებულ დიდი ზომის ნამუშევრებს ერთი-მეორეს მიყოლებით პირით ჩემსკენ აბრუნებს. ეს მართლაც „აბსტრაქციის ზღვარზე“ მყოფი ფერწერაა. თითქმის ყოველ ტილოზე სადღაც ბინდში ჩაძირული ერთი და იგივე სახლის (კორპუსის) კონტური ფიგურირირებს – ბავშვობისდროინდელი „გრანდიოზული“ მოვლენის ამსახველი ხატია, როცა პატარა ბიჭისთვის ძველი თბილისის მინიატურული სამყარო უცებ სრულიად განსხვავებული, ურბანული გარემოთი შეიცვალა და რომელიც შემდეგ დროთა მანძილზე უამრავი მოგონებით და ფანტაზიით დაიფარა.

– დრო მეხმარება კონკრეტული ამბების და მოგონებების ტრანსფორმაციაში. დროის დისტანცია მაპოვნინებს ხოლმე ნახატის ფორმას, ფაქტურას, მასალას...

– რა მასალაში ხატავ, დიდხანს ეძებ ხოლმე?

– აქ რასაც ხედავ, ტილო და აკვარელია. აკვარელი გამჭვირვალეა და სიმსუბუქეს აძლევს ფერის ტონებს. ტილოს დიდხანს ვეძებ ხოლმე და მერე საიდანღაც ჩნდება აზრი, როგორი უნდა იყოს იგი. ხან ქსოვილების მაღაზიაში ვყიდულობ. ზოგიერთი იტალიიდანაც ჩამოვიტანე, მაგალითად, ეს ზოლებიანი. შემდეგ ნამუშევარზე ზოლებიც გარკვეულ როლს თამაშობს. ეს ვარდისფერი აბრეშუმი კი „ბარახოლკაზე“ ვიყიდე. მივხვდი, რომ ასეთი ფაქტურა მჭირდებოდა ამ დიპტიხისთვის, რომლისგანაც ვარდისფერი ცა გავაკეთე...

– მარტივად რომ ვთქვათ, დროში ტრანსფორმირებულ მოგონებებს ხატავ – ვეუბნები მხატვარს და თანმიმდევრობით ვიხსენებ მის გამოფენებს: „გალა გალერეაში“ – La strada, „გასეირნება პურის მოედანზე“, Asprovalta. ყოველი ეს გამოფენა მისი ცხოვრების კონკრეტული მონაკვეთის მასშტაბური სერიაა.

– ასეა, მაგრამ ეს არ არის წმინდა თხრობის ჟანრი. რაღაც ზღვარზეა და იმდენად ტრანსფორმირებულია, რომ ეს აღარ არის უკვე კონკრეტული ისტორიები“ – ამბობს მხატვარი. და მართლაც ასეა. თემატიკასთან ერთად მისი ხელწერაც ტრანსფორმაციას განიცდის და თვალს თუ გადავავლებთ მის გამოფენებს, კონკრეტიკა აბსტრაქციის ზღვარამდე და არა აბსტრაქციამდე მიდის და ვიზუალურად საინტერესო, ოქროს შუალედზე ჩერდება და ეს არის სწორედ ვახო ბუღაძის ფერწერა.

ზემოთაც ავღნიშნე, რომ სახელოსნო სავსეა ახალი ნამუშევრებით. ვახო ფრაგმენტულად და რიგ-რიგობით მიჩვენებს მასშტაბურ ტილოებს – „ქორწილი გლდანში“, „მოჩვენება და ბავშვები“ და ა.შ. მთლიანობაში რომ წარმოვიდგინე ეს ყველაფერი, სიტყვა „გლდანმაც“ კი თავისი პირდაპირი მნიშვნელობა შეიცვალა და ფერების, ტონებისა და მეხსიერების ერთ დიდ მონუმენტს დაემსგავსა.

– სად აპირებ ამ ახალი სერიის გამოფენას?

– ძალიან მინდა ისევ ეროვნული გალერეის სივრცეში გამოვფინო, ოთხივე დარბაზში, აქედან ერთს – ინსტალაციას დავუთმობ. ვფიქრობ, აქ სრულფასოვნად იკითხება ნახატი და ყველაზე სწორად აღიქვამს მას დამთვალიერებელი – ამბობს იგი.

როდესაც მის ტილოებს ვუყურებ, ვფიქრობ, რომ მისი ხელწერის ჩამოყალიბებაში რამდენიმე ფაქტორმა მოახდინა დიდი გავლენა. უპირველესად იმან, რომ ქანდაკების ფაკულტეტი დაამთავრა და მეორეც – ფერწერაში პირველი ნაბიჯები ადრეულ, სტუდენტურ პერიოდში დაახლოებით მხატვრების კომუნის მსგავს სივრცეებში გაატარა – თბილისის იპოდრომსა და ყოფილ აბრეშუმის ფაბრიკაში:

– ქანდაკება მიყვარს და დღესაც ვთვლი, რომ მოქანდაკე ვარ. უბრალოდ იმას, რისი გაკეთებაც ქანდაკებაში მინდა, სპეციალური სახელოსნო და მასალა სჭირდება. აქამდე ქანდაკების კეთების სურვილს წლიწადში ერთხელ საერთაშორისო სიმპოზიუმებზე დასწრებით ვიკმაყოფილებდი, მაგრამ ბოლო ათი წელია, რაც მასში მონაწილეობა აღარ მიმიღია. რაც შეეხება ალტერნატიულ სივრცეებს – ფერწერის კეთება სწორედ აქ დავიწყე. 90-იანების დასაწყისში, როდესაც აკადემია დავამთავრე, აბრეშუმის ფაბრიკა, რომელიც დაცარიელებული და უფუნქციოდ დარჩენილი იყო, აკადემიის ბალანსზე ითვლებოდა და იქ „გავმაგრდით“ მე და ჩემი მეგობრები, ფაქტობრივად ეს ჩვენი სახელოსნო იყო. აქ დაახლოებით 4-5 წელი გავატარეთ. მაშინ ძალიან მძიმე პერიოდი იყო და მე სწორედ ამ ფაბრიკის სივრცემ შემანარჩუნებინა მხატვრობა. გამოფენებსაც კი აქვე ვაწყობდით. დღემდე მიმაჩნია, რომ საუკეთესო სივრცეა, თავისი „ანდერგაუნდული“ ისტორიით, სადაც თავისუფლად შეიძლება თანამედროვე ხელოვნების ცენტრი ან მუზეუმი გაკეთდეს და ცოცხალი პროცესები წარიმართოს თავისი სახელოსნოებით...

სახელოსნოში, მისი ახალი ნამუშევრებიდან, განსაკუთრებით ერთმა მიიპყრო ყურადღება – დიდ ტილოზე, ნაცრისფერი ბურუსის მიღმა კვლავ საცხოვრებელი კორპუსის კონტურის ფონზე შავ-თეთრი ფოტო ფიგურირებს.

– ეს მე და ჩემი და ვართ – მიხსნის ვახო.

შუაგულ ტილოზე დაკრული ფოტო არ ჰგავს კოლაჟის ტექნიკას, ის უფრო ობიექტია და შეიძლება კინოკადრის ასოციაციაც გაგვიჩნდეს. შესაძლოა, ამ ვიზუალის გამოჩენა ვახოს ფერწერაში, მის ცხოვრებაში კინოს შემოსვლასაც დავუკავშიროთ. გასულ ზაფხულს ის რეჟისორმა გიო მგელაძემ თავის სრულმეტრაჟიანი ფილმის მხატვრად მიიწვია.

გიო მგელაძე, კინორეჟისორი: – ზუსტად ვიცოდი, რომ ამ ფილმის მხატვარი ვახო უნდა ყოფილიყო. არ მინდოდა სპეციფიური კინოს მხატვარი. ეს უფრო სიიურეალისტური ფილმია, ზღაპარია, წარმოიდგინეთ ნუცა კუხიანიძის გმირი აღმოსავლეთში მოგზაურობს, ის ზღაპარს წერს სიყვარულზე და მისი ჩანაწერები ცოცხლდება. აი, ასეთ სიუჟეტზე კი ნამდვილი მხატვარი მჭირდებოდა, ისეთი როგორიც ვახოა...

ვახო ბუღაძე: – კინოს სპეციფიკა ძალიან განსხვავებული აღმოჩნდა. ვცდილობდი, ზუსტად შემესრულებინა გიოს დავალება. მან ზუსტად იცის, რასაც აკეთებს. ერთ კადრს არ იღებს ზედმეტს...

გიო მგელაძე: – რამდენიმე ეპიზოდი ნეპალში გადავიღეთ. ეს არ იყო ჩვეულებრივი კინო-გადაღება. მთელი გადამღები ჯგუფი ერთ საერთო მისტერიას ვქმნიდით. ყველანი ერთად ვცხოვრობდით და რაც მთავარია, მაშინ ჯერ კიდევ ჩვენს გვერდით იყო ჩვენი დიდი ოპერატორი – გიორგი ბერიძე. პირველად სწორედ მან ჩაახედა და გაარკვია ვახო კინოს ნიუანსებში...

ვახო ბუღაძე: – ხო, ჩვენ ერთად ვარჩევდით სხვადასხვა ლოკაციებს. ნელ-ნელა ჩავწვდი კინოს საიდუმლოს. კამერაში რომ ჩავიხედე და კადრი დავინახე, თვალი უკვე სხვანაირად ამეხილა და ეს ძალიან მაგარი პროცესი იყო...

გიო მგელაძე: – ვახომ ფერი შემოიტანა კინოში და ეს ფერი ჯადოსნური ლილისფერია. ეს ფერი ჩნდება ნუცას სახეზე, სხეულზე, იატაკზე, ნაფეხურებზე, განათებით... ჩნდება ყველგან და მოულოდნელად...

ვახო ბუღაძე: – ხო, მე მაინც ალბათ როგორც ჩვეულებრივი მხატვარი, ისე მივუდექი კინოს...

გიო მგელაძე: – ვახომ მხატვრობის, ფოტოგრაფიისა და კინოს ჯადოსნური სინთეზი შექმნა. მისი ესკიზები განსხვავებულია. ყველა კადრში იგრძნობა მის ხაზი და ფერი, ყველა კადრი სუნთქავს, შეგიძლია გააჩერო და უყურო...

...შემდეგ მოხდა ყველასთვის ცნობილი ტრაგედია. ფილმის დარჩენილი ეპიზოდების ბათუმში გადაღების დროს, ოპერატორი გიორგი ბერიძე ზღვაში დაიღუპა. გადაღება შეჩერდა...

გიო მგელაძე: – აღარ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. ყოველდღე დავდიოდი ვახოსთან სახელოსნოში. გვინდოდა, ფილმი დაგვესრულებინა და თან გიორგი ბერიძისთვის მიგვეძღვნა. ოღონდ ეს არ უნდა ყოფილიყო ჩვეულებრივი მიძღვნა ტიტრებით ან სხვა რაიმე ჩვეულებრივი მეთოდებით. გვინდოდა, რომ ფილმს მაყურებლისთვის თავად ეთქვა ამ მიძღვნის შესახებ. ბევრს ვფიქრობდით, თვეები გადიოდა. სხვათაშორის, მთელი ამ პერიოდის მანძილზე ვახო ძალიან ბევრს ხატავდა... ერთხელაც, გიორგობა დღეს ისევ ვახოს სახელოსნოში ვისხედით და კვლავ ფილმის დასასრულზე ვფიქრობდით, რომ მოულოდნელად დიდებულ ფინალს მივაგენით. ჯადოსნური დღესავით იყო, მივხდით რომ ისევ გიორგიმ მოგვაწოდა პასი და ახლა ჩვენგან მხოლოდ გოლის გატანაღაა საჭირო...

...ჰოდა, ამ ყველაფრის შემდეგ, ერთი სული მაქვს, როდის ვნახავ ვახო ბუღაძის ახალ ნამუშევრებს სურათების ეროვნულ გალერეასა და დიდ ეკრანზე. იმედია თქვენც...



tattoo

როგორც მეხსიერება

ტექსტი: ია ვეკუა / ფოტო: გურამ წინახაშვილი

{ ტატუს ხელოვნება
დაახლოებით
მაშინ გაჩნდა,
როდესაც ადამიანმა
გამოქვაბულში დაიწყო ხატვა }

თავიდან სუსტ ჩხვლეტას გრძნობ, შემდეგ კი ეს შეგრძნება მთელ სხეულში დაგივლის, ტვინამდე აღწევს და კვლავ უკან ბრუნდება, რადგან წამის მეათასედში პირველ ჩხვლეტას მეორე, მესამე, მეოთხე მოსდევს და ასე გრძელდება, ვიდრე ზედაპირზე გამოსახული მკრთალი კონტური მთლიანად ფერებითა და დეტალებით არ შეივსება. ეს ნამდვილად უსიამოვნო შეგრძნებაა, ბევრისთვის აუტანელიც, თუმცა შედეგის მოლოდინი ყველაფერს ცვლის – იცვლება არა მხოლოდ სხეული, არამედ თქვენც.

ტატუს ხელოვნება დაახლოებით მაშინ გაჩნდა, როდესაც ადამიანმა გამოქვაბულში დაიწყო ხატვა. შემდეგ გარეთ გამოვიდა და კლდეებზე გააგრძელა, მაგრამ მაინც არ ეყო ადგილი და საკუთარი სხეულის მოხატვა დაიწყო. ნამდვილად ვერ გეტყვით, რა ერქვა ამ ხელოვნებას პრეისტორიულ ხანაში, მაგრამ ნაკოლკიდან სვირინგამდე შემდეგ კი ტატუმდე საკმაოდ დიდი გზა გაიარა, მრავალჯერ ტრანსფორმირდა, შეიძინა ახალი მნიშვნელობა და, რაც მთავარია, ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა.

დღეს უკვე აღარაა სამარცხვინო გქონდეს ტატუ, რამდენიმე წლის წინ კი ის მხოლოდ კრიმინალური ცხოვრების მქონეთა ან ზედმეტად თავქარიანთა პრივილეგია იყო. პრაქტიკულად არ არსებობდნენ ტატუირებული ქალები, მით უფრო მოზარდი გოგონები და ზოგადად მოზარდები. ტატუს გაკეთებას არავინ გვიკრძალავდა, უბრალოდ, მსგავსი აზრი თავშიც არ მოგვდიოდა.

გავიდა წლები და ამაზე ფიქრის დროც მოვიდა, რადგან ჩავრთეთ კომპიუტერები, შევედით ინტერნეტში და ვნახეთ, რომ ვიდრე ჩვენ გვეძინა, ტატუ ხელოვნებად ქცეულა. 2000-იანების დასაწყისში თბილისში, შემდეგ კი სხვა ქალაქებში ტატუს ლეგალური სალონები გაიხსნა, ტატუს ოსტატებმა ხელნაკეთი დანადგარები პროფესიონალური აპარატურით შეცვალეს, ისწავლეს სტერილური მასალის გამოყენება და, რაც მთავარია, მათ სამუშაო კუთხეში ფერადი საღებავიც გაჩნდა.

ახლა ფერადი ტატუს ხანაა. თუ გინდა, სხეული მოდურად გქონდეს მოხატული, აუცილებლად ფერადი ტატუ უნდა გაიკეთო, თუმცა შავი მაინც ინარჩუნებს აქტუალობას, მით უფრო მაშინ, როდესაც ორნამენტი წერტილებითა და ხაზებითაა შესრულებული ან ნახატი გეომეტრიული ფიგურების ნაკრებს წარმოადგენს. ეს ტატუს მოდის ერთ-ერთი უკანასკნელი „კივილია“, ყველაზე პოპულარულია, რაც ალბათ იმით გახლავთ განპირობებუ-



ლი, რომ ზოგადია, არ გააჩნია შინაარსობრივი დატვირთვა, შესაბამისად, ისინიც იკეთებენ, ვისაც წარმოადგენა არ აქვს, რა სურს ან თავად ვინაა და როგორ უნდა ამის გამოხატვა.

ტატუს გაკეთების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი სწორედ ეს გახლავთ – თავის გამოხატვა, საკუთარი ინტერესებისა თუ ცხოვრების წესის დეკლარირება. ცხადია, ეს არ გახლავთ აუცილებლობა, თუმცა კონკრეტული ტატუ ლამაზი სამშვენისის გარდა განაცხადიცაა და მისი „მფლობელის“ ხასიათზეც მეტყველებს.

ბევრს ჰგონია, რომ ზოგადი ტატუ ანუ ორნამენტი, იეროგლიფი, ყვავილი ან პეპელა სწორედ იმ ხასიათის ნახატია, რომელიც არ მოგბეზრდება (ვთქვათ, შეიძლება მოვიდეს დრო, როდესაც აღარ გეყვარება ფეხბურთი, ამიტომ მკლავზე დახატული მესის მარჯვენა ფეხი ცოტა უადგილო იქნება). საქმე მობეზერებამდე არც უნდა მივიდეს და სწორედ ამიტომაა აუცილებელი, რომ ვიდრე ტატუს გაიკეთებთ, დიდხანს იფიქროთ, ნუ გაიკეთებთ სხვისი წამხედურობით ან მხოლოდ იმის გამო, რომ ზაფხული მოდის და პლაჟზე სხეულის გამოფენის დრო დგება.

ტატუ-სალონში ნურც მაშინ წავალთ, თუ მშობლებზე ხართ გაბრაზებული და მათთვის სამაგიეროს გადახდა მხარზე მიხატული მომაკვდავი ობობათი გსურთ. ეს ყველაზე ცუდი გადაწყვეტილებაა – მშობლებზე წყენა მალე გაივლის, ობობა კი სამუდამოდ გაჭიმავს ქსელს თქვენს კანზე. ტატუს გაკეთებას ნურც ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფნი მოისურვებთ, რადგან ამაზე არც ერთი პროფესიონალი ტატუისტი არ დაგთანხმდებათ, არაპროფესიონალმა კი შეიძლება გულზე ცოლის ნაცვლად სიდედრის სახე ამოგიქარგოთ.

როგორც უკვე არა ერთხელ გავუსვით ხაზი, ტატუ ხელოვნებაა, ამიტომ როგორც ყველა ხელოვნების ნიმუშს მასაც სჭირდება პატივისცემა და დაფასება. აუცილებლად ჭირდება ერთგვარი დისტანცია, გვერდიდან შეხედვა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში უცხო თვალით შეფასება, რადგან ტატუ თქვენს სხეულზე მხოლოდ და მხოლოდ თქვენია, პირველ რიგში თქვენთვისაა სიამოვნების მომნიჭებელი და ამის შემდეგ სხვისთვის. დაივიწყეთ, რომ გავა დრო და მოგბეზრდებათ, ამიტომ ისეთ ადგილას უნდა გაიკეთოთ, სადაც ყოველთვის ვერ დაინახავთ. ამას სჯობს, საერთოდ არ გაიკეთოთ, ეს უფრო ტატუს გასაკეთებლად გაკეთებული ტატუ იქნება, რომელიც დაახლოებით



ისეთივე დატვირთვისაა, როგორც ზემოთ ნახსენები ობობა ანდაც გულზე ამოსვირინგებული სტალინის პროფილი.

ძალიან საინტერესოა ყურადღების მისაქცევად გაკეთებული, ე.წ. საკეკლუცო ტატუები. მათ, როგორც წესი, ახალგაზრდები, უფრო კი გოგონები იკეთებენ. ამგვარი ტატუ შეიძლება იყოს ყველანაირი: ორნამენტი, ყვავილი, ფისო, ცრემლიანი თვალი ან სხვ., მაგრამ აქ უფრო მნიშვნელოვანი ის გახლავთ, თუ სად იკეთებენ ამგვარ ტატუებს და როგორ ახდენენ მათ დემონსტრირებას. ეს მთელი ხელოვნებაა, რომელიც ჩაცმისა და ზოგადად ცხოვრების სტილს ებმის. როგორც წესი, საკეკლუცო ტატუებს კისერზე, მუცელზე, კოჭთან, ლავიწის ძვალთან და წელზე იკეთებენ, შესაბამისად, ცდილობენ, ისეთი სამოსი ჩაიცვან, რომელიც ნახატებს არ დაფარავს: კაბა ღრმა დეკოლტით ან ამოღებული ზურგით, მოკლე ტოპი და ა.შ. ტატუ სხეულის სწორედ ის აქსესუარია, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში იქცევს ყურადღებას, ქმნის განწყობას და ინტერესსაც აძლიერებს.

ერგვარ ტატუ-სუბკულტურად შეგვიძლია განვიხილოთ ე.წ. Geek-ტატუ. აქ ყველაფერი შედის მარიოს სოკოდან დაწყებული გულზე ამოქარგული May the Force be with you-თი გაგრძელებული და საყვარელი კომიქსის პერსონაჟის წარმოუდგენელი სირთულის გამოსახულებით დამთავრებული. ასეთი ტატუთი ადამიანი თავისი ინტერესების დემონსტრირებას ახდენს და ხაზს უსვამს საკუთარ უპირატესობებს. ეს ერთგვარი მიპატიჟებაცაა – თუ მაჯაზე მწვანე სამკუთხედი, წითელი წრე, ლურჯი იქსი და ვარდისფერი კვადრატი გახატიათ, ამით აცხადებთ, რომ გეომერი ხართ, კონკრეტულად კი Playstation-ის მომხმარებელი, ანუ თქვენს შესახებ გარკვეული ინფორმაცია უკვე გაეცით, ურთიერთობა კი ერთი „ლეველით“ გაამარტივეთ. ზოგადად Geek-ტატუებს მხოლოდ გამოკვეთილი „გიკები“ იკეთებენ, რითიც კონკრეტული მოვლენის მიმართ (ფილმი, მუსიკალური ჯგუფი, კომიქსი, ანიმე, ვიდეოთამაში, ტექნოლოგია, ფორმულები) საკუთარ სიყვარულსა და ერთგულებას ამტკიცებენ.

ეს სწორედ ის ტატუა, რომელიც არასდროს მოგბეზრდება და არასდროს მოიშორებ, სამუდამოდ დაიტოვებ, რადგან ის გარკვეულწილად შენი მეხსიერებაცაა, თვალნათლივ შეგახსენებს, თუ ცხოვრების რომელ ეტაპზე რა მოგწონდა, რა აღგაფრთოვანებდა, რით იყავი გატაცებული და საინტერესო საკუთარი თავისა და გარშემომყოფთათვის. რეალურად ასეა ყველანაირი ტატუს შემთხვევაშიც: ქარს გატანებული ბაბუაწვერა გახსენებს, რომ ოდესღაც საკუთარ თავს ეძებდი, წერტილებისა და წრეების ნაკრები იმას, რომ მოდას იყავი აყოლილი, საფლავის ქვა და ბელადების პროფილები კი პირდაპირ ამბობენ, რომ ძველი ხარ, ჯერ კიდევ იმ დროინდელი, როდესაც ტატუს სვირინგი ერქვა, სხეულის მოხატვა კი მხოლოდ ერთეულთა პრივილეგია იყო.

ტატუ ხელოვნებაა,
ამიტომ როგორც ყველა
ხელოვნების ნიმუშს
მასაც სჭირდება
პატივისცემა
და დაფასება.

ვმადლობთ: თამუნა სალაძეს, თინა დალაქიშვილს, თინათინ კიღურაძეს,
TAO-ს, ANNA BOKO-ს, Olegito-ს, დათო იაკობიძეს და Andrei Tattoomaster-ს

სილვია ბერგომი
PROFILE

სილვია ბერგომი გოგონა, რომლის სტილი და გემოვნება ყოველთვის ხვდება ცნობილი ფოტოგრაფების ობიექტივში მოდის კვირეულების დროს. მოდა უყვარს, მაგრამ როგორც არტი. მუშაობს სხვადასხვა ჟურნალებში მოდის სტილისტად და თავისუფალ დროს დიჯეის ამპლუასაც ირგებს.

როგორც კი თბილისი აღმოვაჩინე, მაშინვე გამიჩნდა სურვილი დამეფიქსირებინა და გამეზიარებინა ყველაფერი ესთეტური, რაც თვალში მომხვდებოდა. მე ამოვირჩიე ქალაქის ძველი უბნები განუმეორებელი შენობებითა და ხალხით, და გადავწყვიტე გადამეღო მოდელი ყოველდღიურ გარემოში, ქუჩაში სეირნობისას, მანქანაში, მაღაზიაში...ამბავიც, რომელიც შევარჩიე, შესანიშნავად მიესადაგება გადაღებას. რაღაც სანდო და მისაღები მოდა გამოვიდა.

საჩუქრები
მილ

ADH 024

გამოფენები

ტექსტი: თეონა ჯაფარიძე

კატრინ ბოლტის გამოფენა და კინო- ჩვენება

გალერეა „ნექტარში“

კარტინ ბოლტი ავსტრიელი არტისტია. მუშაობს სხვადასხვა მედიაში– ფოტოგრაფიში, ექსპრიმენტულ კინოში. თავის ნამუშევრებს ძირითადად საზოგადოებრივ სივრცეებში ქმნის. თბილისში ის გალერეა „ნექტარის“ მოწვევით ჩამოვიდა. მომავალი გამოფენისთვის მასალის შეგროვება ყველაზე ინტერაქტიულ სივრცეში– რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ე.წ. „ბაზრობაზე“ დაიწყო, სადაც ერთი თვის მანძილზე აგროვებდა ხილის, ბოსტნეულისა თუ თევზის ნარჩენებს, რომლისგანაც ქმნიდა საინტერესო ნატურმორტებს და შემდეგ მათ ფოტო-ფირზე იღებდა. საბოლოოდ, გალერეა „ნექტარში“ მისულ დამთვალიერებელს საინტერესო ფოტო-სერია და ექსპერიმენტული კინო დახვდა: 35მმ-იან ფირზე გადაღებულ ფილმში კამერა წარმოსახვით გმირებს უკან „დაჰყვებოდა“.

გალერეა „ნექტარი“ თავის სივრცეს ძირითადად მსგავს ექსპერიმენტებს, საზოგადოებისთვის უცნობ ქართველ და ცნობილ დასავლელ არტისტებს უთმობს.

ლია ბაგრატიონის VICE VERSA

გალა გალერეა

5 თებერვალს „გალა გალერეაში“ თიხის არტისტის – ლია ბაგრატიონის გამოფენა Vice Versa გაიხსნა.

როგორც მხატვარი აღნიშნავს, მისი უკანასკნელი პერიოდის არტისტული კვლევა სხვადასხვა მედიუმში დეკონსტრუქციის ექსპერიმენტებს ასახავს. უნებლიედ გვახსენდება ჯერ კიდევ შემოდგომაზე, „არტისტერიუმის“ ფარგლებში მის მიერ შექმნილი ობიექტი– თიხისგან აშენებული კედელი, რომელსაც წვეთოვანიდან მწვეთავი წყალი ნელ-ნელა შლის და მის „დეკონსტრუქციას“ ახდენს (ნამუშევარსაც ასე ერქვა – „კონსტრუქცია – დეკონსტრუქცია“). ამჯერად მხატვარი აქცენტს თიხის ნაცვლად მხატვრობაზე აკეთებს და ცდილობს ჩარჩოში მოქცეული ნახატის სტერეოტიპის დეკონსტრუქცია მოახდინოს: „ამ გამოფენაზე 7 ექსპერიმენტული ობიექტი წარმოვადგინე, რომელიც დაზგური სურათის დეკონსტრუქციის გზით არის შექმნილი და სურათისა და ჩარჩოს ურთიერთმიმართებაში ტრანსფორმაციას აჩვენებს. სტერეოტიპია ის, რომ ნახატი უნდა იყოს ჩარჩოში და ჩვენ ხშირად გაუაზრებლად მივყვებით ამ სტერეოტიპს. ჩემი ექსპერიმენტის მიზანი სწორედ ამ სტერეოტიპებთან შეკამათებაა. ჩარჩოში მოქცეულმა ნახატმა უნდა გახსნას საზღვრები და შეერწყას უსასრულობას. გამოფენის მთავარი ობიექტი „მონა ლიზა 2014“ ამ კონცეფციის გზამკვლევია. დასავლური კულტურის საკრალური ატრიბუტი – ლეონარდოს „მონა ლიზა“, ჩემს კონცეფციაში ახალ კონტექსტში მოგზაურობს“, ამბობს მხატვარი.

ფოტოგრაფიები. გიორგი ჭოღოშვილი – 100 წელი

ფოტო-გალერეა „კონტეინერი“

გალერეა „კონტეინერში“ მათეტიკოსის, გიორგი ჭოღოშვილის უნიკალური ფოტომასალის გამოფენა გაიხსნა, რომლის მხარდამჭერი კომპანია „ბადაგონი“ გახლდათ.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ავტორის მიერ გასული საუკუნის შუა პერიოდში ინდოეთში, განაში, სა-



ბერძნეთში, იტალიასა და მალტაში მოგზაურობისას გადაღებული უნიკალური ფოტო-მასალა.

აკადემიკოსი და პროფესორი გიორგი ჭოღოშვილი ცნობილია მეცნიერებაში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლით. ის კავკასიაში თანამედროვე აბსტრაქტული მათემატიკის ფუძემდებელია, რომელმაც საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ტოპოლოგიასა და ალგებრაში სა-

მეცნიერო კვლევებს, შექმნა ექვსენოვანი მათემატიკური ლექსიკონი. მისმა სწორმა ინტერპრეტაციამ მე-20 საუკუნეში შესაძლებელი გახადა ატომური რუკების შედგენა.

გამოფენა მეცნიერის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა.

BACK TO HOME — ტატო ახალკაციშვილის გამოფენა

გალერეა „არტ არეაში“

ლონდონში Rich Mix-ში ჯგუფური გამოფენის „მემკვიდრეობის“ შემდეგ ტატო ახალკაციშვილი სახლში დაბრუნდა და თბილისში, გალერეა



„არტ არეაში“ საზოგადოება პერსონალურ გამოფენაზე Back to Home-ზე დაპატიჟა. ეს არის შერეულ ტექნიკაში შესრულებული ნამუშევრები. მის ხელწერაში ტილოს, ზეთს აკვარელსა და ფოტო-კოლაჟს ძირითადი ხაზი – აკადემიური ფერწერა განაგებს. მისი ტილოები ერთის მხრივ, აკადემიური ფერწერის და მეორეს მხრივ – თემატურად წარსულისა და მემკვიდეობის კვლევაა. მემკვიდრეობა მის ნამუშევრებში ბავშვობის დროინდელ მოგონებებში შემორჩენილი საბჭოთა ყოფითი ნანგრევებისა და ფრაგმენტების ვიზუალური გამოსახულებებია. მთლიანობაში ეს ყველაფერი შთამბეჭდავად გამოიყურება და ხვდები, რომ 21-ე საუკუნეშიც ფერწერა სიცოცხლეს აგრძელებს.

„ერთხელ ირემმა თქვა“ — რიტა ხაჩატურიანის გამოფენა

თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა)

“...სათაური სპონტანურად მოვიფიქრე, უბრალოდ – „ერთხელ ირემმა თქვა“ და მორჩა” – ჰაერში ხელით მოხაზა მთელი გამოფენა რიტა ხაჩატურიანმა. ამ გამოფენიდან თუ ვიმსჯელებთ, ის ძალიან პროდუქტიული და ნიჭიერი მხატვარია. მხატვართა ახალ თაობას მიეკუთვნება: 2007 წელს დაამთავრა სამხატვრო აკადემიის დაზგური გრაფიკის ფაკულტეტი. თბილისის ისტორიის მუზეუმის საკმაოდ ტევადი საგამოფენო სივრცე ფაქტობრივად სავსეა მისი გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრებით. აქ წარმოდგენილი მისივე ვიდეო-არტიც ჰენდელის მუსიკის თანხლებით, ისეთივე ექსპრესიულია, როგორიც მისი მხატვრობა. სახელწოდებაც პოეტურ-ფერწერული აქვს – „ლარნაკში ჩადებულმა იასამნებმა არ იციან, რომ დიდი ხნის წინ გარდაიცვალნენ“. ფოტოხელოვანი გურამ წიბახაშვილი მის ხელწერაში გერმანულ ექსპრესიონიზმთან და კერძოდ, კირხნერთან მსგავსებებს პოულობს. ეს ჯერ-ჯერობით მისი მე-3 პერსო-

ნალური გამოფენაა. გამოფენის კურატორმა, ლიკა მამაცაშვილმა ამ გამოფენით ფაქტობრივად ქართულ არტ-სცენაზე ახალი და საინტერესო მხატვარი წარადგინა.

„ეკონომიკის საფუძვლები“ — ვიზუალური ხელოვნებისა და დიზაინის სკოლის სტუდენტების გამოფენა

ქართულ არტ-სივრცეში ახალი თაობის მხატვრების გამოჩენაზე თუ ვსაუბრობთ, გამოფენა „ეკონომიკის საფუძვლები“ შეიძლება ითქვას, რომ ახალი ქართული ხელოვნებისა და ხელოვანების პრეზენტაციაა. გამოფენა კახა ბენდუქიძის კამპუსში შედგა და ვიზუალური ხელოვნებისა და

დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტთა პირველი ნაკადის, პირველი კურსის პირველი სემესტრის შემაჯამებელი მოვლენა გახლდათ (პედაგოგები – თეა გვეტაძე და კოტე სულაბერიძე).

ექსპოზიციას კამპუსის სამი სართულის კიბის უჯრედი ეკავა. ერთი შეხედვით, ასეთ „ექსტრემალურ“ საგამოფენო სივრცეში ნებისმიერი „შემდგარი“ მხატვრისთვის ალბათ სარისკო იქნებოდა ნამუშევრის გამოფენა, მაგრამ სტუდენტების ფერწერამ, ინსტალაციებმა თუ ობიექტებმა მეტად ეფექტურად იმუშავეს ამ თავისუფალ, ინტერაქტიულ სივრცეში. ალბათ ეს მაღალი კლასის ექსპოზიციისა და რაც მთავარია, ახალი თაობის ახალი ხედვის შედეგია.

GUY BOURDIN — იმიჯმეიკერი

ლონდონში, “სომერსეტ ჰაუსში” მოდის კვირეულის პარალელურად, ცნობილი მოდის ფოტოგრაფისა და იმიჯმეიკერის - Guy Bourdin -ის რეტროსპექტიული გამოფენა მიმდინარეობდა. მის ცნობილ, შოკისმომგვრელ, სექსუალურ და სიურეალისტურ ფოტო-სერიებთან ერთად, კურატორებმა (Alistair O’Neill-მა და Shelly Verthime-მ) გამოფენისთვის თავი მოუყარეს ისეთ დეტალებსაც კი როგორიცაა, ესკიზები, ჩანახატები, პოლაროიდით გადაღებული სატესტო ფოტოები, ფეშენ-ფილმებიდან ფოტო-სესიები და უამრავ სხვა ექსპონატი, რომლითაც ფოტოგრაფი

კორიფეებთან ერთად გასული საუკუნის მოდის ინდუსტრიის ისტორიას ქმნიდა.

მან რეის პროტეჯე და ჰელმუტ ნიუტონის პარტნიორი სხვადასხვა პროექტებში, წლების მანძილზე თანამშრომლობდა Vogue Pris-თან თუ Harpers“s Bazaar-თან. მოდის კრიტიკოსები რეტროსპექტივის შემდეგ კიდევ ერთხელ აღნიშნავენ მასზე ლუის ბუნუელისა და მაგრიტის გავლენას.

ბიორკი ნიუ იორკის MOMA-ში

თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი

ბიორკის მასშტაბური რეტროსპექტიული გამოფენა ნიუ-იორკის MoMA-ში 7 მარტიდან 7 ივნისამდე იქნება წარმოდგენილი. ეს არის ბიორკის მოღვაწეობის 20-წლიანი რეტ-

როსპექტივა გადმოცემული კინოს, მუსიკის, ვიზუალური ეფექტების, ნივთების, კოსტიუმებისა და შესაბამისად, მისი და მსოფლიოს წამყვანის არტისტების, რეჟისორების, ფოტოგრაფების, მუსიკოსების, დიზაინერების და ა. შ. თანამშრომლობის შედეგების მასშტაბური ჩვენება. რეტროსპექტივა ნახევრად ავტობიოგრაფიულ და ნახევრად შეთხზულ ნარატივებზე იქნება აგებული, რომელიც ბიორკმა ისლანდიელ პოეტთან და რომანისტთან, სიონ სიგუარდსონთან ერთად შექმნა.

გამოფენის პრომო – 10 წუთიანი მუსიკალური ფილმი Black Lake ჯერ კიდევ თებერვლიდან გამოჩნდა MoMA-ს საიტზე და მოიცვა სოციალურ ქსელები. ის ერთ-ერთი სიმღერაა მისი ბოლო ალბომიდან Vulnicura და გამოფენაზე ცენტრალურ ადგილს დაიკავებს.

ყურადღების ცენტრშია ბიორკის მე-8 სტუდიური ალბომი Biophilia, რომელიც 2011 წელს გამოვიდა და რომლისგანაც ინოვაციური პროდუქტი – სპეციალური მობილური პროგრამა შეიქმნა. ეს მუსიკის, არტ-ნამუშევრის და ახალი ტექნოლოგიის კომპლექტია საგანმანათლებლო და ინტერაქტიული ფუნქციებით. ეს პროდუქტი Moma-კოლექციაში დაიდებს ბინას და განკუთვნილი იქნება ბავშვების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

Hair Accessories


Céline S/S 2015

Valentino S/S 2015

Lanvin S/S 2015

Givenchy S/S 2015

Marc by Marc Jacobs S/S 2015

Dries Van Noten S/S 2015

Rockstar Style

Alexander Wang S/S 2015


Balmain S/S 2015

Proenza Schouler S/S 2015

Slick Hair


Dsquared2 S/S 2015

Brown-eyed

Donna Karan S/S 2015

J. Mendel S/S 2015

Giorgio Armani S/S 2015

1

2

ყავისფერი თვალის ჩრდილი დაგეხმარებათ შეინარჩუნოთ ბუნებრივობა და თან გამოიყურებოდეთ კარგად.

3

Fine Lines

4

5

6

Emilio Pucci S/S 2015

Prada S/S 2015

Saint Laurent S/S 2015

 თვალის ფორმის გამოკვეთა შავი ფანქრითა და ლაინერით ამ სეზონის ერთ-ერთ აუცილებელ ტენდენციად არის წარმოდგენილი,

Red-Cheeked

Dolce & Gabbana S/S 2015

Calvin Klein Collection S/S 2015

ატმისფრად სახის დაჩრდილვა უფრო მეტ სინაზეს შემატებს თქვენს გარეგნობას.

8

7

1. CHANEL 2. SMASHBOX
3. MAKE-UP ATELIER PARIS
4. CLARINS 5. GIVENCHY
6. MAKE-UP ATELIER PARIS
7. GIVENCHY 8. TOM FORD

მსოფლიოს საუკეთესო ვიზაჟისტები ირჩევენ...

MAKE-UP ATELIER PARIS



MAKE-UP
ATELIER
PARIS

www.ateliermaquillage.com

თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.34, ს/ც "PIXEL", II სართ. ტელ: 272 68 05; მობ: 555 335 175

Hermes -Jean-Claude Ellena / Photo by Richard Schroeder

იქ, სადაც იწყება სურნელი

ტექსტი: ხათუნა მზარელუა

{ არსებობს საავტორო სუნამოები, როგორც არსებობს საავტორო კინო. }

არაერთი ლამაზი, საგულისხმო და მრავლისმეტყველი ისტორია ჩამწკრივებულა, რომელთაც ჯერ სათუთად, ოდნავ შევეხები: ზევსის გულის მოსაგებად მისი მეუღლე ჰერა უნატიფესი ციური სითხით იზელდა ქათქათა ტანს, „სუნამო ზევსის რვალით ნაგებ სასახლის გარეთ, დაბლა მიწამდე, მაღლა ცამდე აფრქვევდა სურნელს“, მკერდს საცხებლით იზელდა, „ტანთ კი სურნელოვანი კვართი ეცვა, ათენას მიერ უცხოდ ნაქარგი, მოქსოვილი“. ინახად მჯდომ იესოს ერთი ქალი მიუახლოვდებოდა, ალებასტრის ჭურჭლით რომ მოჰქონდა ძვირფასი ნელსაცხებელი, და თავზე ასხამდა. ნადიმობისას ძველი რომაელები თეთრ მტრედებს ფრთებზე სურნელოვან ზეთს უსვამდნენ და დარბაზში უშვებდნენ, ჰაერი რომ სასიამოვნო არომატით გაჟღენთილიყო. მათ სახელგანთქმულ აბანოებშიც ამგვარი ზეთით სავსე ფიალები იყო მიმოფანტული მათრობელა სურნელების გასავრცელებლად. მეჩეთის ასაგებად საჭირო კირხსნარში მუშკსა და ამბრას ურევდნენ, ხოლო იატაკს ფორთოხლის ყვავილების წყლით რეცხავდნენ, რითაც სამყაროს შემოქმედს მიაგებდნენ პატივს. ესთეტი იტალიელები, სუფრას შემოსხდომამდე, ხელ-პირს ვარდის სითხით იბანდნენ, რომელსაც, ისევე როგორც სხვა სურნელოვან სითხეებს, ფლორენციის შანტა Maria Novella-ს მონასტრის აფთიაქში ამზადებდნენ. ლუი XIV-ს პირადი პარფიუმერი მესიე მარსიალი კვირის ყოველ დღეს მეფისთვის ახალ სუნამოს ქმნიდა; ფინანსთა მინისტრის, მესიე ჟან-ბატისტ კოლბერის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ კი სამხრეთ საფრანგეთის ყვავილოვან მხარეში სხვადასხვა არომატით გაჯერებული ხელთათმანები მზადდებოდა.

თანამედროვე პარფიუმერიის ერთ-ერთი მეტრი ფრანსუა დემაში, 16 წლისა, ქალაქ გრასის ლავანდისა და ვარდისსუნიან ქუჩებში საათობით დადიოდა. გამთენიისას, ღამის კლუბებიდან გამოსულს, ახლადგაშლილი ჟასმინის სუნი სცემდა და სუნამოების შექმნაზე ოცნებობდა, რომლებიც დილის სეირნობას გაახსენებდნენ. მკვეთრი და გაბედული ფლორენციული ზამბახი ნებივრობდა დიდ კლასიკურ სუნამოდ წოდებულ Chanel No 19-ში, რომელიც სახელგანთქმულ კოკო შანელს თავისი დაბადების დღისთვის პარფიუმერ ანრი რობერის მიერ წარმოდგენილი ნიმუშებიდან აერჩია. კუტურიეს 87 წლისთავზე, 1970 წლის 19 აგვისტოს გამოსულ სუნამოს უნდა გაეკვირვებინა კოკოსავით თამამი და ნოვატორი ახალგაზრდა ქალები...

დიახ, სურნელების გამომცემი ერთ-ერთი ნივთიერება – სუნამოა. იგი შედგება თავის, გულისა და ფუძის ნოტებისგან. ეს დაყოფა გამოჩენილ ფრანგ პარფიუმერს, პიერ-ფრანსუა-პასკალ გერლენს ეკუთვნის. თავის ნოტები - სუნამოს სურნელისგან მიღებული პირველი შთაბეჭდილებებია. გულის ნოტებს სუნამოს ხასიათს უწოდებენ (გული, ძირითადად, ყვავილოვანია), ფუძის ნოტები – კანზე დატოვებული ხანგრძლივი კვალია.

არსებობს საავტორო სუნამოები. როგორც არსებობს საავტორო კინო. ამგვარ სუნამოებს ფრედერიკ მალი (ცნობილი ფრანგი რეჟისორის, ლუი მალის ძმისშვილი და სერჟ ეფტერ-ლუიშის, „კრისტიან

დიორის სუნამოების“ დამფუძნებლის და დიდი კუტურიეს ბავშვობის მეგობრის შვილიშვილი) უშვებს. ამ საავტორო სუნამოების სახელებიც ისე ჟღერს, როგორც ფილმებისა: „ტერეზას სურნელი“ (ავტორი ედმონ რუდნიცკა, 2000), „ანჟელიკა წვიმის ქვეშ“ (ჟან-კლოდ ელენა, 2000), French Lover (პიერ ბურდონი, 2007), „შენს მკლავებში“ (მორის რუსელი, 2008), Portrait of a Lady (დომინიკ რიპიონი, 2010). ტერეზა დაკარგული სიყვარულია თუ ლურჯი ღამეების მეგობარი? დილის თუ საღამოს წვიმის სურნელი? ისეთივე მწველია, როგორც ფრანგული კოცნა? როგორი სუნი ექმნება რჩეულის მკლავებს? მას შუა ზამთარში შავი აბრეშუმის გრძელი კაბა ჩაუცვამს, მხრებზე თეთრი ქურქი წამოუსხამს და ერთადერთ სამკაულად სუნამო აურჩევია, რომელიც ჰაერში ცეკვავს...

სუნამოში შემავალი ნივთერებანი არანაკლებ ასაზრდოებენ ჩვენს წარმოსახვას. ისინი ორ ჯგუფად იყოფა: ბუნებრივად და სინთეტიკურად. ორივე თანაბრად მნიშვნელოვანია, მიუხედავად სუნამოს შემადგენლობაში მათი სხვადასხვა პროცენტული თანაფარდობისა. ბუნებრივი ნივთიერებანი განსაკუთრებით ძვირად ფასობს. სინთეტიკური ნივთიერებანი მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან, ქიმიის განვითარებასთან ერთად გაჩნდა. გარდენიას სუნის ქიმიური ეკვივალენტი ასე გამოიყურება: aldéhyde C-18 prunolide, acétate de styrallyle, anthranilate de méthyle. თუმცა, განა შესაძლებელია, რომ სუნამო, ეს ერთი შეხედვით უწყინარი სითხე, ზოგჯერ ტკბილსურნელოვანი, ვით შროშანების გუნდი, ზოგჯერ ტკბილ-მწარე, ვით ციტრუსოვანი კულტურების არომატი, ზოგჯერ ვნებიანი, ვით საკინძეშეხსნილი ხილის ნაყოფი, ზოგჯერ კი მათრობელა ვით საღამოს ტყე გაზაფხულის ჟამს - მხოლოდ ქიმიური ფორმულის ჩარჩოში მოვაქციოთ?

ამიტომაც, ყოველ ახალ სუნამოს თან ახლავს ბიოგრაფია, სადაც მსგავს სიტყვებს ხშირად ამოიკითხავთ: იასამნისა და ჟასმინის აკორდი გულში ქალურ აურას ქმნის, თეთრი ატმის გაელვება თავის ნოტებში სუნამოს ტკბილ აქცენტებს განაპირობებს, ფუძის ნოტებში სანდალოზის ხის გამოჩენა კი ჰარმონიული განწყობის გასაღებია.

სუნამოებს ყოფენ ქალისა და მამაკაცის სუნამოებად, მაგრამ არიან პარფიუმერები, რომლებიც ამგვარ ძირითად კლასიფიკაციას არ იზიარებენ. მათ რიცხვს მიეკუთვნება Hermès-ის ექსკლუზიური პარფიუმერი ჟან-კლოდ ელენა. „სუნამო მაშინ იწყებს ცხოვრებას, როცა მისი სურნელით პირველად შევიმოსებით. მას სქესს კონკრეტული პიროვნებები ანიჭებენ, ქალი იქნება ეს, თუ მამაკაცი. ინდოეთში, Yves Saint Laurent-is Opium-ს ან Guerlain-ის Shalimar–ს, ისევე როგორც Dior–is J'adore–ს, ამ სუნამოების გამოსვლის დღიდან, მამაკაცები ატარებენ“ – აღნიშნავს ფრანგი სუნამოების მწერალი (ასე უწოდებს იგი საკუთარ თავს). წიგნში „პარფიუმერის დღიური“, ელენა პარფიუმერიის სფეროს იდუმალების ფარდას ჩვენთვის ოდნავ გადაწევს და გვიმხელს, თუ როგორ შეიძლება დაიბადოს ახალი სუნამო: ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, ტუნისში ვიმყოფებოდი, Hermès–ის ვიტრინების დიზაინერ ლეილა მენშარის ბაღებში. ჩვენმა თანმხლებმა ქალიშვილმა ლეღვის ხის ფოთოლი მოწყვიტა, თითებით გასრისა და მერე ღიმილით ნესტოებთან მიიტანა, ხარბად შეისუნთქა. ამ წუთებმა ჩემი მომავალი სუნამოს არჩევანი განაპირობა: ლეღვის ხის ნაყოფი ხმელთაშუა ზღვის სიმბოლო და ჩემი მომავალი სუნამოს (Un jardin en Méditerranée) კომპონენტი გახდებოდა.

ჩვენს მოსახიბლად პარფიუმერმა სუნამოს შექმნაში მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება უნდა ჩადოს. მან სუნამო მიმზიდველად, ჩვენთვის სასურველად უნდა აქციოს. სუნამოს სუნის წარმავალი ბუნება კი იმაზე მეტყველებს, რომ მისი ფლობა შეუძლებელია, რომ წადილი წადილად დარჩება. მაშ, რას გვიტოვებს იგი? ვფიქრობ, მისი სურნელისა და ამ სურნელის მატარებელი წუთების მოგონებებს, რომელთაც ჩვენი მეხსიერება ვერასოდეს, ვერასოდეს შეელევა.

სიახლე ქართულ კარდიოლოგიაში „ჰელსიკორი“

HELSICORE

ისრაელ-საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი კლინიკა „ჰელსიკორი“ 2014 წლის დეკემბერს გაიხსნა თბილისში.

- კლინიკაში ერთ სივრცეშია მოქცეული: კარდიოლოგია, ინტერვენციული კარდიოლოგია, კარდიოქირურგია, სისხლძარღვთა ქირურგია და ამბულატორიული ნაწილი. პრეოპერაციული კვლევების, ექოსკოპიის, კარდიოლოგიური თუ ლაბორატორიული გამოკვლევის ჩატარება 24 საათიან რეჟიმში შესაძლებელი.
- ოპერაციების ფასები საშუალოდ 40%-ით დაბალია ანალოგიური ოპერაციების ფასებზე ევროპასა და ისრაელში. კლინიკა თანამშრომლობს საქართველოში მოქმედ ყველა სადაზღვევო კომპანიასთან, მათ შორის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამასთან.
- იშვიათი გამონაკლისების გარდა, ოპერაციები ტარდება გულმკერდის გაკვეთის გარეშე, რაც ნაკლებ ტრავმულია, პაციენტი სწრაფად უბრუნდება აქტიურ ცხოვრებას და რეაბილიტაციის პერიოდიც გაცილებით ხანმოკლეა.
- კარდიოლოგიურ დეპარტამენტს ხელმძღვანელობს ცნობილი კარდიოლოგი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პროფესორი **ნოდარ ემუხვარი**, რომელიც „ჰელსიკორის“ ერთ- ერთი დამფუძნებელიცაა.
- ენდოვასკულარული ქირურგიის მიმართულებას მართავს ისრაელში მოღვაწე, „მეიოს“ კლინიკის პროფესორი, მსოფლიოში აღიარებული ენდოვასკულარული ქირურგი **რონი კარმელი**.
- კარდიოქირურგიულ მიმართულებას უძღვება ევროპაში აღიარებული, წარმატებული ქართველი სპეციალისტი, კარდიოქირურგი **ლევან ქარაზანიშვილი**, რომელიც წლების განმავლობაში იტალიაში, ტურინში მინიინვაზიური ქირურგიის განყოფილებას მართავდა. ის ატარებს მინი-ინვაზიურ ოპერაციებს გულზე, რომელიც მკერდის ძვლის გაჭრის გარეშე კეთდება. ამ ტიპის ოპერაციები ევროპის ბევრ ქვეყანაში ჯერაც ვერ ხორციელდება. კლინიკაში ასევე ტარდება შუნტირების ინოვაციური ოპერაცია, რომელიც ფეხიდან ვენის აღების გარეშე, მხოლოდ ერთი განაკვეთით კეთდება. ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაციის პერიოდი გაცილებით მოკლეა და პაციენტი მეხუთე-მეშვიდე დღეს ეწერება კლინიკიდან.
- ინტერვენციული დეპარტამენტის ხელმძღვანელია გამოცდილი სპეციალისტი **ირაკლი გოგორიშვილი**, რომელიც ცნობილია წარმატებით ჩატარებული ურთულესი პროცედურებით. კორონოგრაფიასთან ერთად ის დახელოვნებულია ენდოვასკულარული პროცედურების ჩატარებასა და კარდიორეანიმაციაში.
- ანესთეზიოლოგიისა და ინტენსიური თერაპიის მიმართულების ხელმძღვანელს **ირაკლი გოგოხიას** ისრაელის კარდიოქირურგიულ კლინიკაში მუშაობის შვიდწლიანი გამოცდილება აქვს, მას გაკეთებული აქვს 4600-ზე მეტი წარმატებული ნარკოზი.

კლინიკის გენერალური დირექტორი, ლიკა გელიაშვილი:

„ჰელსიკორი“ ყველა პაციენტს აძლევს საშუალებას, მიიღოს ევროპული დონის სამედიცინო დახმარება. ამის თქმის საფუძველს მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი მაღალი ხარისხის აპარატურა, თანამედროვე, კომფორტული გარემო და რაც მთავარია, უძლიერეს სპეციალისტთა გუნდი იძლევა“.

კლინიკა, რომელსაც დიდხანს ველოდით!

შპს „ისრაელი საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი“
თევდორე მღვდელის ქ.№ 13, 0112 | ტელ: (+995 32) 2 43 33 43 | ფაქსი: (+995 32) 2 43 33 44 | მობ: + 995 577 099 911
www.helsicore.com | www.helsicore.ge | info@helsicore.com

SPRING 2015 Beauty trends

by NYC based Make-Up artist Tamara Janeli

გაზაფხული 2015-ის სილამაზის ტენდენციები ყველა მაკიაჟის მოყვარული ქალისთვის მოსაწონი და შესაძლებელია. მთავარია არ იყოთ შეზღუდულები და სცადოთ როგორ გამოიყურება შემდეგი რჩევები თქვენს სახეზე....

სუფთა, ნოტიო კანი ერთ-ერთი მთავარი ტრენდია. ვის არ უნდა რომ ქონდეს ლამაზი ბრწყინავი კანი ყოველ დღე? ლამაზი კანი მთავარია კარგი მაკიაჟის გაკეთებისთვის.

"შიშველი სახე": სახე მაკიაჟის გარეშე, ყველაზე დიდი ტრენდი გაზაფხულისთვის. მაგრამ, რომ მივაღწიოთ სასურველ შედეგს, მაინც გვჭირდება მაკიაჟის დახმარება ძალიან ცოტა რაოდენობით. მთავარია დავფაროთ თვალების ქვემოთ სიმუქე და ადგილები სადაც საჭიროა რომ გაათანაბროთ სახის ფერი. ამაში დაგეხმარებათ თქვენი საყვარელი ტონალური შერეული ჩვეულებრივ დამატენიანებელ კრემთან...

Cat Eye-Graphic Liner- გაზაფხულისთვის ცოტა ხნით დაივიწყეთ ჩვეულებრივი Cat Eye. შეგიძლიათ უფრო შემოქმედებითად მიუდგეთ, სცადოთ გრაფიკული ხაზები, მეტალის ფერები რომლებიც მხიარულიცაა და ამავე დროს ძალიან ტენდენციური. ამისთვის მე ხშირად ვიყენებ ლაინერს MAC COSMETICS-დან.

და ბოლოს წარბები: ყველაზე დიდი ტრენდი, რომელიც უკვე ბევრი სეზონია იპყრობს ქალების და არა მარტო ქალების გულებს არის ხშირი, დავარცხნილი, ნატურალურად შევსებული და მოვლილი წარბი, რომელიც უდაოდ ალამაზებს და ამასთანავე საჭიროა ყველა ასაკის ქალისათვის...

ნათელი "LOUD' ტუჩები
თუ ყოველთვის გინდოდათ, რომ გეცადათ მუქი პიგმენტური ფერები, გაზაფხული კარგი დროა, რომ შეცვალოთ თქვენი ჩვეულებრივი ნატურალური ფერის ტუჩის საცხი, მუქი კლასიკური წითელით, შინდისფერით ან ნათელი ვარდისფერებით რომელიც თითქმის ყველას უხდება...

შედარებით ახალი ტრენდი, რომელიც ნელ ნელა იპყრობს ქალების გულებს, არის მაკიაჟი გამდიდრებული სახის მოვლის საშუალებებით, დამზადებულია ძლიერი სამკურნალო პროდუქციით, შეიცავს ანტიოქსიდანტებს, რომელიც აუცილებელია კანის ახალგაზრდული იერის შესანარჩუნებლად. ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია...

LASH ATTACK- მუქი შავი, ხშირი, გრძელი წამწამები უკვე დიდი ხნის ტრენდია, და თანაც ძალიან ადვილი რომ მიაღწიოთ სასურველ შედეგს, მთავარია გქონდეთ კარგი მასკარა, რომელიც თქვენს წამწამეს მოცულობას და სიგრძეს შემატებს.

რა სიახლეებს სთავაზობს საგაზაფხულოდ კომპანია DESHELI ერთგულ და ახალ მომხმარებელს?

დეშელი მომხმარებელს ტრადიციულად სთავაზობს სახის, თმისა და ტანის სამკურნალო გამაახალგაზრდავებელ კოსმეტიკას. საგაზაფხულოდ მივიღეთ ახალი პროფესიონალური, უმაღლესი ხარისხის სამკურნალო კოსმეტიკური პროდუქტი Breeze from the Dead Sea, რომელიც დამზადებულია მკვდარი ზღვის მინერალებისა და ორგანული ნივთიერებებისაგან. ასევე დაგვემატა ახალი ხაზი სხეულის სრულფასოვანი მოვლისათვის DIMOND TREASURES SKYN GLORY BODY.

რა თვისებებით გამოირჩევა DESHELI-ს კოსმეტიკა?

კომპანია DESHELI-ს კოსმეტიკა დამზადებულია FYTOTIGH ტექნოლოგიით, უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი შეიცავს 4 მცენარის ღეროვან უჯრედებს: ვაშლი, არგანი, ალპური ვარდის ფურცლები და ყურძნის წიპწები. პროდუქციის შემადგენლობაში შედის პეპტიდები და ბრილიანტის მიკრო პუდრა. ამ უნიკალური კოქტეილისა და ნანო ტექნოლოგიების საშუალებით DESHELI-მ გვერდზე გასწია ისეთი სწრაფი და დროებითი ეფექტის მქონე მანიპულაციები, როგორიცაა პლასტიკური ქირურგია, მეზოთერაპია და ბოტოქსი. რაც მთავარია FYTOTIGH-ის ლიდერი თვისებები მდგომარეობს იმაში, რომ შედეგი მიიღება ბუნებრივად მოპოვებული მინერალების მეშვეობით.

რა გამოარჩევს ტანის მოვლის ახალ ხაზს?

სამეცნიერო კვლევები ამტკიცებენ, რომ საშუალებები, რომლებიც არიან მცენარეულ კომპლექს FITOTAGH-ის შემადგენლობაში, ანელებენ დაბერების პროცესებს აღადგენს კანის ტექსტურას, აუმჯობესებს კანის ფერს, იდეალურად ასუფთავებს ტანის კანს , ზრდის სიმკვრივესა და ტანის კანის ტონუსს; კვებავს კანს და უზრუნველყოფს ყველა საჭირო მიკროელემენტით, ინარჩუნებს ტენიანობის ბალანსს.

რით ახლის რევოლუციური FITOTAGH Patent Pending-ის ფორმულა?

მცენარეული კომპლექსი FITOTAGH შეიცავს 4 სახეობის ღეროვან უჯრედებს: ვაშლის ღეროვანი უჯრედები აღიარებულია ლიდერად, რომელიც პასუხისმგებელია უჯრედების განახლებაზე, ეწინააღმდეგება დაბერების ნიშნებს, ძლიერი ანტიოქსიდანტია; ალპური ვარდის ღეროვანი უჯრედები ზრდის კანის უჯრედების რეგენერაციის პროცესს; ყურძნის ღეროვანი უჯრედები იცავენ კანს მავნე ულტრაიისფერი გამოსხივებისგან, აღადგენს მდიდარია ამინომჟავებით, ვიტამინებით, ანტიოქსიდანტებით; არგანის ღეროვანი უჯრედები მდიდარია ცხიმოვანი მჟავებით, რომლებიც კანს სძენს ელასტიურობას, კვებავს და ატენიანებს კანს, ებრძვის ნაოჭებს; პეპტიდი Anti- Age Chondlcare ეხმარება მიმოცვლის პროცესების დაჩქარებას და ანელებს მათ დაბერებას; სუფთა ბრილიანტის მიკროპუდრა ალმასის ფხვნილია, გააჩნია გასაოცარი აღმდგენი თვისება, ანახლებს კანს და აყოვნებს კანის დაბერებას.

თუ გეგმავთ თქვენი ბიზნესის გაფართოებას?

აპრილიდან ვხსნით ახალ სალონს, იმავე შენობაში (-1 სართულზე), სადაც მომხმარებლებს მოემსახურებიან უმაღლესი დონის კოსმეტოლოგები, სტილისტები. ახალ სალონში გთავაზობთ მკვდარი ზღვის ნატურალური მინერალებით გამდიდრებულ აბაზანებსა და სპა მომსახურებას, ეგზოტიკურ პროცედურებს, თევზების სპასა და სხვა მრავალ სიურპრიზს. ჩვენს მომხმარებლებს ვპირდებით კიდევ უფრო კომფორტულ მომსახურებას.

SOCAR-ის არქიტექტურა

ტექსტი: ია ვეკუა / ფოტო: გურამ ზიბასაშვილი, თინათინ კილურაძე, გიორგი ნაკაშიძე

ნავთობი, ჭაბურღილები, მილსადენები – ეს ყველაფერი „სოკარის“ საქმიანი ნაწილი, მისი პროზაა, თუმცა არა ერთხელ გვინახავს პოეზიაც - საქართველოს ოთხ ქალაქში მდებარე ნაგებობები, რომლებიც ერთიანობაში „სოკარის“ არქიტექტურას ქმნიან. ოთხივე შენობა როგორც არქიტექტურული, ისე ფუნქციური შინაარსით განსხვავებული და გამორჩეულია, რაც მათ შორის საუკეთესოს არჩევას ართულებს: შეუძლებელია, არ აღფრთოვანდე ბათუმში მდებარე ფუტურისტული ფორმებით, მაგრამ ვერც „ჩაის სახლის“ აზიურ მოზაიკას აუვლი გვერდს.

„სოკარის“ არქიტექტურის გაცნობას კომპანიის საქართველოს წარმომადგენლობის ცენტრალური ოფისით ვიწყებთ: მრგვალი ფორმის ცენტრალური ფასადი ორი მახვილი სამკუთხედი დეტალით, საიდანაც ძველი თბილისის საუკეთესო ხედი იშლება, ყველას გინახავთ და გახსოვთ. შენობა განსაკუთერებით ლამაზია ღამით, როდესაც ფერადი ილუმინაცია ინთება, ოდნავ შემაღლებულ ადგილას მდებარე ნაგებობა კი საღამოს ვარსკვლავის როლს ირგებს. თუმცა, ყველაზე საინტერესო ამ კედლების მიღმა იმალება.

„სოკარის“ სათაო ოფისის ინტერიერი აღმოსავლური ზღაპრის ყველაზე თანამედროვე ვერსიაა. ცენტრალური ფოიეს ჭერიდან ჩამოშვებული ლითონის ორნამენტი მხოლოდ დასაწყისია – რამდენიმე ნაბიჯში, იქ, სადაც კიბის უჯრა იწყება, ჭრელი ხალიჩის მოზაიკა იშლება, რომელიც ინტერიერის თანამედროვე დიზაინთან ჰარმონიულ კონტრასტს ქმნის. დიზაინის გარდა შენობა თანამედროვე ტექნოლოგიური ნოვაციებითაც გამოირჩევა, გააჩნია ელექტროენერგიისა და სითბოს დაზოგვის მართვის სისტემა და სხვა.

„სოკარის“ სათაო ოფისი 2012 წელს გაიხსნა, მისი ავტორები კი ვასილ, გივი და გიორგი ქობულიები (Kobulias & Partners) არიან. პროექტმა თბილისის მერიის მიერ ორგანიზებულ კონკურს „არქიტექტურული პრემია 2011-ის“ მთავარი ჯილდო მოიპოვა.

ვასილ ქობულია, არქიტექტორი: „ეს შენობა ჩვენი კომპანიისთვის საეტაპო, და განსაკუთრებულია. ხშირად მისი ფასადის ცენტრალურ ნა-



წილს ბაქოში მდებარე ცნობილ ქალწულის კოშკს ადარებენ, თუმცა დიზაინზე მუშაობისას ამაზე არც გვიფიქრია, უბრალოდ დაემთხვა, რაც ნამდვილად სიმბოლურია. „სოკარის“ ოფისი მართლაც იქცა თბილისის ერთ-ერთ განსაკუთრებულ ნაგებობად, თუმცა ვფიქრობ, რომ გაშლილ ადგილას უფრო ეფექტურად გამოჩნდებოდა“.

„სოკარის“ აღმოსავლური ამბავი თბილისიდან რამდენიმე კილომეტრში გრძელდება – ჩვენც იქით მივემგზავრებით. ეს მარნეულის ჩაის სახლია, „სოკარის“ მიერ განხორციელებული ყველაზე სოციალური პროექტი, რომელიც ჩვენი ქვეყნის ყველა ქალაქს სჭირდება, მარნეულს კი უკვე აქვს. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ოდესღაც მდებარე ჩაის სახლის ადგილას ცნობილი აზერბაიჯანელი დიზაინერის, მეხრიბან მურადოვას (M Studio) მიერ დაპროექტებული, ტრადიციულ ფორმებში მოქცეული თანამედროვე ნაგებობა დგას.

ორიოდე წლის წინ მარნეულის ჩაის სახლი ლონდონში გამართული European Property Awards Architecture 2013-2014-ის საჯარო დაწესებულების საუკეთესო არქიტექტურის ნომინაციის გამარჯვებული გახდა. როდესაც ამ შენობას ნახავთ, თავად დარწმუნდებით, თუ რამ მოხიბლა ამ პრესტიჟული კონკურსის ჟიური: შეიძლება ითქვას, რომ ჩაის სახლი თანამედროვე არქიტექტურაში ტრადიციული დეტალების გამოყენების შესანიშნავი ნიმუშია, არქიტექტორის ოსტატობის დამსახურებით კი მათი შერწყმა ორგანული და ბუნებრივია. ჩაის სახლის სივრცე ეზოდან იწყება: აქ პატარა სკვერია, რომელსაც აღმოსავლური ხალიჩების მოზაიკით გაფორმებული მომცრო ჩანჩქერი ამშვენებს. მოზაიკითვე მოჩუქურთმებულ სვეტებს შორის კი შენობის ცენტრალური შესასვლელია მოქცეული – ჩაის სახლის მთავარი ამბავი სწორედ აქედან იწყება და ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის, მათი განვითარებისა და ადაპტაციისთვის შექმნილ სამსართულიან სივრცედ იშლება. დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს რესტორან „მუღამს“, სადაც მხოლოდ აზრებაიჯანული კერძებით გაგიმასპინძლდებიან და ჩაისაც ტრადიციული ჩაიხანებისთვის დამახასიათებელი წესით მოგართმევენ.

ჩაი უკვე მივირთვით და შორი გზისთვის მზად ვართ. ბათუმში მივემგზავრებით, თან უკანა გზაზე შესასვენებლად ადგილს ვეძებთ. ეს რთული არ არის – გორის ჩქაროსნულ მაგისტრალზე მდებარე „სოკარის“ მულტიფუნქციური კომპლექსი ამისთვის იდეალურია. „გუდვილთან“ პარტნიორობით განხორციელებული პროექტი 2011 წლიდან ფუნქციონირებს და, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრია. ფუნქციურ დატვირთვას გერმანელ არქიტექტორ იურგენ მაიერის ფანტაზიაც ემატება, რაც კომპლექსს არქიტექტორული თვალსაზრისითაც საინტერესოს ხდის. სწორედ ამ კომპონენტების გათვალისწინებით 2013 წელს არქიტექტურულმა ვებგვერდმა ArchitizerA-მ ის მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ შენობად დაასახელა.

ვაგრძელებთ გზას და რამდენიმე საათში უკვე ბათუმში ვართ – ქალაქში, რომელიც ბოლო წლებში თანამედროვე არქიტექტურის ერთგვარ ცენტრად

აქ პატარა სკვერია, რომელსაც აღმოსავლური ხალიჩების მოზაიკით გაფორმებული მომცრო ჩანჩქერი ამშვენებს.

> შეუძლებელია, არ აღფრთოვანდე ბათუმში მდებარე ფუტურისტული ფორმებით, მაგრამ ვერც „ჩაის სახლის" აზიურ მოზაიკას აუვლი გვერდს.

იქცა. სწორედ აქ დგას მრავალი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი, არქიტექტორ გიორგი ხმალაძის მიერ დაპროექტებული „სოკარის" ავტოგასამართი სადგური, რომლის მთავარი არქიტექტურული ღირშესანიშნაობაც „მაკდონალდსის" შენობა გახლავთ.

2013 წელს ამერიკულმა გამოცემა The Huffington Post-მა ეს ნაგებობა მსოფლიოს 100 ყველაზე კრეატიულ და ლამაზ კვების ობიექტს შორის დაასახელა, ერთი წლის შემდეგ არქიტექტურულმა კომპანია ArchDaily-მ კომპლექსი წლის რჩეული ნაგებობების ნუსხაში შეიყვანა, მანამდე კი გიორგი ხმალაძის ნამუშევარი „მაკდონალდსების" საუკეთესო შენობების ათეულში მოხვდა, სადაც დღემდე ინარჩუნებს ადგილს.

გიორგი ხმალაძე, არქიტექტორი: „ეს პროექტი ერთნაირად მოითხოვდა როგორც დამკვეთი კომპანიის, ისე ქალაქის მოთხოვნების გათვალისწინებასაც: ავტოგასამართი სადგური და „მაკდონალდსის" შენობა ბათუმის ერთ-ერთ ცენტრალურ გაშლილ სივრცეში უნდა ყოფილიყო განთავსებული. ეს ნიშნავს, რომ მუდმივად ყურადღების ქვეშ იქნებოდა, რაც ჩემს სამუშაოს გარკვეულ სპეციფიკას სძენდა. ჩემი და დამკვეთის სურვილი იმ საკითხშიც დაემთხვა, რომ პროექტს ვრცელი სარეკრეაციო ზონა უნდა ჰქონოდა: აუზი, მწვანე

კუნძულები და მოსასვენებელი სივრცე. ჩანაფიქრი საუკეთესოდ განხორციელდა და დღეს ეს ობიექტი ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადგილია."

ამ ფუტურისტული დიზაინის მქონე ნაგებობაზე საუბრისას ყოველთვის აღნიშნავენ მის სივრცულ გადანაწილებას, ფართობის ათვისების ეფექტურობასა და, ცხადია, ინტერიერის ყველაზე მნიშვნელოვან დეტალს – მწვანე ტერასას, რაც ბათუმის „მაკდონალდსს" უნიკალურს ხდის, პარალელურად კი ავტოგასამართი სადგურის გადახურვის ფუნქციასაც ასრულებს. შენობა მთლიანად მინისა და ფოლადისგანაა აგებული, ინტერიერი ხის მასალითაა მოპირკეთებული, მისი მთლიანი ფორმა კი კოსმოსში გადაფრენად მზადმყოფ ხომალდს მოგაგონებთ. შეიძლება ითქვას, რომ „სოკარის" ეს ობიექტი ჩვენი ქვეყნის თანამედროვე არქიტექტურის ყველაზე გამორჩეული ნაგებობაა, მომავალში გადადგმული ნაბიჯია, რომელიც მხოლოდ განვითარებისა და პროგრესის სიმბოლოდ შეგვიძლია განვიხილოთ.

architecture

SOCAR



არ ვიცი, რამდენად მხოლოდ ქართულია და რა ქვია ამ მოვლენას, მაგრამ საქართველოში წამწამი თუ ჩამოგივარდა, დაკვირვებული თანამოსაუბრე აუცილებლად გკითხავს: წერილი თუ სიხარული? თუკი წამწამის ადგილმდებარეობა გამოიცანი, მერე არჩევანიც შენზეა - გინდა წერილი, გინდა - სიხარული.

დღეს თუკი მკითხავენ, რა თქმა უნდა, დაუფიქრებლად სიხარულს ამოვირჩევ. აბა, რად მინდა წერილი? მით უმეტეს, თანამედროვე, რომელიც შეიძლება იყოს უკეთეს შემთხვევაში ბანკიდან, ხოლო უარეს შემთხვევაში - სასამართლოდან. არადა, იყო დრო, მხოლოდ წერილს ველოდებოდი(თ).

ჩემს წინა ცხოვრებაში, წინა საუკუნეში, წერილების უმეტესობა, ძირითადად, ზაფხულობით იწერებოდა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და სხვადასხვა კურორტზე იგზავნებოდა. 2-3-გვერდიან ისტორიებს წერდნენ დროებითი განშორებით დასევდიანებული შეყვარებულები და ერთმანეთს მონატრებული მეგობრები. რამდენი ჩემი მეგობრის წერილი მიმიღია, დამიწერია, გადამიცია ადრესატისთვის, წამიკითხავს, პასუხის და პასუხის პასუხის დაწერაში დავხმარებივარ.

ვაღიარებ, ნიკას სასიყვარულო უსტარი ჩემთვის არასდროს მოუწერია. სამაგიეროდ, მეც ვწერდი და ჩემი მეგობრებიც მწერდნენ წერილებში ნიკაზე. რას შვრება, რას აკეთებს, სად ბირჟაობს, ვინ რა თქვა ჩვენზე, ვინც ჩვენზე ცუდი რამე თქვას და ასე შემდეგ.

ზაფხულში, ამ წერილების წყალობით, დეტალურად ვფლობდი ინფორმაციას წყნეთის ღია კინოს, გორკის ქუჩის, ბარნოვის მიმდებარე ტერიტორიის და სხვა პოპულარული check-in ადგილების ირგვლივ განვითარებული მოვლენების შესახებ.

საოცარი ხიბლი ქონდა წერილის მიღებას. ის სადა თეთრი კონვერტი სამარკო ნიშნით, ახლაც რომ მახსენდება, სასიამოვნო ჟრუანტელი მივლის. იმ წერილის გახსნა პოკერში კარეს გახსნის სიხარულის ტოლფასი იყო.

ახლაც ვიღებთ წერილებს. თანაც ერთს კი არა, შეიძლება დღეში ათობით წერილიც კი მივიღოთ. მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან ნებისმიერი მიმართულებით ვაგზავნით მილიონობით სმს-ს, მეილს... შეტყობინებები სასიყვარულოცაა, საქმიანიც, საინფორმაციოც და სარეკლამოც. მე, პირადად, ყველაზე ხშირად ტექნობუმიდან მწერენ.

ძველი წერილებისგან განსხვავებით, ადრესატების კონტაქტი პირდაპირია, ტექსტი - ლაკონური, საგრძნობლად შემცირებული და სხვადასხვა პირობითი ნიშნებით გაჯერებული.

ნიკაც უკვე მწერს წერილებს, აღარ ეზარება და მეც ვწერ. სასიყვარულოსაც მათ შორის. აი, დღეს ეს მივწერე <3 იმანაც იგივეთი მიპასუხა <3. ძველად ამისთვის, მინიმუმ, გვერდნახევარი დამჭირდებოდა.

ბევრი ადამიანის არსებობა დამავიწყდა და დავივიწყე, მაგრამ ამ ბოლო დროს რატომღაც ხშირად მახსენდება პირქუში, კოჭლი ფოსტალიონი ქალი, დიდი ნაცრისფერი ჩანთით, ყოველ დილას ჩემს ქუჩაზე წერილები რომ შემოჰქონდა. მემგონი ესმა ერქვა. მაჭიკას მამიდამ, ელიკოო - ასე გაიხსენა.

ახლა ვხვდები, რა მაგარი პროფესია ქონდა ესმას თუ ელიკოს. რამდენი ადამიანის ისტორიას, საიდუმლოს, გრძნობებს, სიხარულს და სევდას ანდობდნენ და ესეც დილიდან საღამომდე დაატარებდა.

ისე თქვენ - წერილი თუ სიხარული?



ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი უძველესი ხელნაწერი წიგნებისა და ისტორიული საბუთების ყველაზე მნიშვნელოვანი საცავია საქართველოში.

აქ დაცული უნიკალური კოლექცია მრავალ დარგსა და სფეროს მოიცავს, მათ შორის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პირად არქივებს.

2009 წელს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა, საგამოფენო პროექტი „სასიყვარულო ბარათები“ წარმოადგინა.





ილია ჭავჭავაძე - ოლღა გურამიშვილი



ჩემო კარგო და სანახავად სანატრელო ოლიკო!

ამ უკანასკნელს დროს ძალიან გამოინადირე შენს ქმარზედ. ამას წინად მომწერე, რომ მე ვითომც გაზილა უფრო მახსოვდეს, ვიდრე შენ. ეხლა მწერ, რომ შენაო ჩემს წიგნებს არა კითხულობო, ამიტომაც არც ერთზედ პასუხს არა მწერო. არ ვიცი ამგვარი საყვედურები საიდამ და როგორ დავიმსახურე. შენ რომ იცოდე რა რიგად მაწუხებს ხოლმე ამისთანა საყვედურები, შემიბრალებდი და არ მომწერდი.

დაიცა, დაიცა, მოვალ მანდ და ყველაფერში გავსწორდებით, ჩემო კუკლუშკი! სულ ლოყებს დაგიკმენ, დამაცა!...

ნიკოლოზი, ნინო შვილებითურთ მომიკითხე და ჩემ მაგიერ აკოცე მრავალ ჯერ ერთს ქალს, რომელსაც ოლიკოს ეძახიან და უთხარი, რომ უბრწყინვალესი თავადი ილია ჭავჭავაძე მისი ქმარია.

საუკუნოდ და იქითაც
შენი ილია ჭავჭავაძე

ჩემო სულისა ოლიკო! თუმცა დაგპირდი, რომ ხვალ წიგნს არ მოგწერ მეთქი, მაგრამ ვერ მომითმენია.შენ გიჟო! რაზედ გამაგიჟე პატიოსანი, დარბაისელი კაცი?... მე ვინა და შუაღამისას ქალთან წიგნების წერა! მაგრამ ნათქვამია: „ნუ შეხვალ ნუ იბანები, ნუ გამოხვალ და ნუ თრთიო.” ესე ყოფილა ამ წუთისოფელშია.

ოლღა გურამიშვილს მეუღლის წერილების გარდა, მათში ჩადებული ყვავილებიც კი შეუნახავას. ამ შეკვრაა ყველგან თან დაატარებდა და 1907 წელს. საბედისწერო თავდასხმის დროსაც ხელჩანთაში ქონდა.



ივანე ჯავახიშვილი
ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანი

მე ძალიან მოხარული ვარ რომ სკრიპკას უკრავ; იცი ჩემო მერცხალო ნუ დაანებებ მუსიკას ნურც როდის! თუ დაანებე მაშინ შენც სხვებს დაემსგავსები, რომლებიც უკრავენ, უკრავენ და ბოლოს მიატოვებენ ხოლმე.

მე ხომ არ გეუბნები კონცერტები გამართე მეთქი, არა, მე მინდა მხოლოდ რომ ამ მშვენიერ ხელოვნებას თავი არ დაანებო. მე ვერ შევძელი მუსიკის დამთავრება, მე ბედნიერი ვარ, რომ შენ, ჩემი თვალის ჩინი, ჩემი საყვარელი სტაზია ამ ზეციურ ხელოვნებას ემსახურები, თითქოს მე ვემსახურებოდე, იმიტომ რომ მე და შენ განუყრელნი ვართ, ერთს არსებას წარმოვადგენთ; ძლიერი მხურვალე სიყვარული და გულითადი მეგობრობა გვაერთებს ჩვენ! მე ბედნიერი ვარ, როცა შენ უკრავ ხოლმე იმიტომ, რომ რასაც უნდა უკრავდე შენ, მე ვიცი, რომ სიყვარული, ჩვენი მხურვალე სიყვარული მოისმის ხოლმე.

მარად შენი გაგიჟებით მოტრფიალე ვანო ჯავახიშვილი

1906 25 IX

ჩემო ვანიკო, საყვარელო, გამაგიჟებელო ქმარიკო!

შაბათს ჩამოსულა მიქელაძე, და გუშინ მომიტანა ყველაფერი შენი გამოგზავნილი;არ ვიცი როგორ გითხრა მადლობა,







ყველაფერი მშვენიერია, შენ ისე კარგად იცი ხოლმე ამორჩევა და მოფიქრება, ოღონდ მაწუხებს, რომ როგორც ყოველთვის ამდენს ხარჯავ ჩვენზე და შენ თავს კი აკლებ. ბავშვები გახარებული არიან საჩუქრებით და ტკბილეულობით.

ჩვენ სამივენი მაგრად ვეხვევით ჩვენს საყვარელ მამიკოს და უდიდეს მადლობას გიგზავნთ ამ წერილით, ოღონდ როცა შენ ისევ ჩვენთან იქნები მაშინ მხურვალედ დაკოცნით ისე როგორც გვიყვარხარ სამთავეს.

ჩემო ვანიკო, დაუფასებელო ჩემო! შენმა წერილმა ხომ გამაგიჟა! სიცოცხლე ჩემო, შენ ვერ წარმოიდგენ ადვილად რაც მაგრძნობინა ამ ტკბილმა, ალერსით სავსე, დამათრობელმა შენმა წერილმა. ოჰ, რა კარგია, როცა შეიძლება ასე თავისუფლად ადამიანმა გამოსთქვას თავისი გულის გრძნობა, არ შეიკავოს, ვანიკო ჩემო კარგო, ჩემო ლამაზო, მაგრამ ეს მხოლოდ შენ იცი ასეთი სიყვარულის გამოთქმა, მე კი საძაგელმა არა, არ ვიცი ასეთი სიყვარული, მე მხოლოდ ჩემი გულის სიღრმეში ვგრძნობ და გამოთქმა კი არ შემიძლიან, ენა ჩემი არ მემორჩილება, შენ კი ოჰ, ვანიკო, თვითოეული შენი სიტყვა ცეცხლივით არის, და შედარება შესანიშნავი!

ვანიკო, ლამაზო და ნაზო, ტკბილო ჩემო ქმარიკო, მე წუხელის მთელი ღამე(ორი საათის გარდა!) არა მძინებია, სულ შენზე ვოცნებობდი, სულ თვალწინ მყავდი, შენი წერილის სიტყვები მეყურებოდა, მხოლოდ შენ თითონ მაკლდი, გვერდით არა მყავდი და არ ვიცოდი რა მექნა, ისე ძნელია როცა ასე ვართ მოშორებული ერთმანეთს!

8. XI.1916 წ.

კონსტანტინე გამსახურდია
რებეკა ვაშაძე

რებეკასა და კონსტანტინეს სიყვარული გახმაურდა. ეს გიმნაზიაშიც კარგად იცოდნენ. ერთხელ მასწავლებელმა კონსტანტინეს გასარჩევად მისცა ვალტერ სკოტის „აივენჰო", რომლის ერთ-ერთ პერსონაჟს რებეკა ერქვა.

რებეკას ხსენებაზე კლასმა ყური ცქვიტა და ყველა კონსტანტინეს მიაჩერდა.

„გამაწითლეს საძაგლათო", წერდა კონსტანტინე.

აგერ რამდენი ხანია შენგან წერილის არ მომსვლია.- შენი წერილების მოუსვლელობამ მომკლა მე-გენაცვალე. რევა, როგორ დავიტანჯე უშენოდ ენა ვერ გამოთქვამს, მთელი ქვეყანა საპყრობილედ გახდა ჩემთვის...

დღეს დავჯექი და შენი წერილები გადავათვალიერე. რამდენი სიხარული მოეფინა ჩემ სულს ჩვენი შეყრის წერილებიდან. ერთი ღია წერილი გადმოვარდა-ვარდიანი, რა კარგადაა დაწერილი ეჰ, ბედო შავბედო მართლა.

ათას გაკოცებს შენი კოწია.

დიმიტრი ხოშტარია (დუტუ მეგრელი)
ანასტასია ერისთავი-ხოშტარია

მართალია პირადად მხოლოდ ახლა გაგიცანით, მაგრამ საქმით დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს; ახლა მხოლოდ გარეგნობა ვნახეთ ერთმანეთის, სულს-კი ვხედავთ მას შემდეგ, რაც ერთმანეთის ნაწერებს ვკითხულობთ...

ჯერ თქვენ ნახვამდისაც ხშირად მიფიქრია, რომ სავსებით შეესაბამებით ჩემს იდეალს. ხოლო თქვენმა ნახვამ კიდევ უფრო დამარწმუნა ამაში და მე მგონია, დასაგვიანებელი აღარ არის გაგიზიაროთ ჩემი გულის პასუხი. ჩემის აზრით, იდეალურ ცოლქმრობისათვის საჭიროა სამი რამ; წმინდა და უანგარო სიყვარული, ერთმანეთის პატივისცემა და საერთო მიზნის სამსახური. ხოლო ერთი რომელიმე ამათგანიც საკმაოა, რომ ცოლქმარნი უბედურნი არ იყვნენ. მე მგონია, ჩვენში სამივე უნდა მოიპოვებოდეს, ორი უკანასკნელი ხომ უეჭვერლად არის და არის! მაშასადამე თამამად შეგვიძლია თუ... თუ რასაკვირველია თქვენც შეთანხმდებით და თანაუგრძნობთ ჩემს აზრს... მაშ, შემატყობინეთ თქვენი აზრი!

(დიმიტრი ხოშტარია)
25 აგვისტო .1897 წ

გიორგი შაღაშვილი

სადღაც აფრიკაში

ტექსტი და ფოტო: გიორგი შაღაშვილი

როდესაც აფრიკაზე ვიწყებ საუბარს, მაშინვე კორნეი ჩუკოვსკის ლექსის ფრაგმენტი მახსენდება: **Не ходите дети в Африку гулять!** ე.წ. აკრძალული ხილის სინდრომი ალბათ ყველა ბავშვზე მოქმედებს, ასე ვიყავი მეც. ბავშვობიდან დიდი ხანია გამოვედი, მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად, აფრიკის მიმართ ინტერესი ჩემში უფრო და უფრო მატულობდა. ერთ დღეს კი გადაწყვეტილება მივიღე და ჩემი ცხოვრებაც რადიკალურად შეიცვალა - მესამე წელია სადღაც შორს, აფრიკაში ვცხოვრობ.

აფრიკის კონტინენტს კარგად არ ვიცნობდი, მასზე წარმოდგენა მხოლოდ წიგნებიდან თუ ტელევიზიის ეკრანიდან მქონდა შექმნილი. აფრიკაში გადასახლებამდე მეუღლესა და სამ შვილთან ერთად ევროპაში, კერძოდ, დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში ვცხოვრობდი. ევროპაში ხშირად ვმოგზაურობდი და ვხედავდი, რომ ბევრი რამ ზედმეტად შელამაზებული, ფასადურად შეფუთული და არა თვითმყოფადი იყო. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ ხელოვნურობასა და მკაცრ კლიმატს გავექეცი მზიან და ფერად აფრიკაში – იქ, სადაც ყველაზე მეტადაა შენარჩუნებული მიწასთან და ბუნებასთან სიახლოვე.

ვფიქრობდი, რომ აფრიკაში, კერძოდ კი კენიაში გადასვლა ჩემთვის მოდისა და მხატვრობის სფეროში შთაგონების წყაროდ უნდა ქცეულიყო. იმედი არ გამიცრუვდა, მართლაც ასე მოხდა – ორი წლის მანძილზე სამი კოლექცია შევქმენი აფრიკულ თემაზე. მათი შექმნისას მასსაის, დინკას და მანგბეტუს ტომების გარეგნობამ, მათმა ყოფამ და ცხოვრების ნირმა, ასევე აფრიკულმა ქანდაკებამ და მისმა გეომეტრიულობამ იმოქმედა. ხეში კვეთის ნიმუშებმა ჩემი აღფრთოვანება გამოიწვია, რაც მოგვიანებით ჩემს კოლექციებში სხვად სხვა სახით გარდაისახა.

აფრიკაში საცხოვრებლად გადასვლა სპონტანურად არ გადამიწყვეტია. მე და ჩემი მეუღლე ამისთვის სამი წლის მანძილზე ვემზადებოდით. გარემოს შეცვლა არასდროს არის გვიან. ყველაფერი დროთა განმავლობაში ლაგდება. საწყის ეტაპზე უცხო გარემოსთან შეგუება რთული იყო. ბევრი ყოფითი პრობლემა დაგვხვდა, თუმცა, გაცნობიერებული გვქონდა, რომ აფრიკაში კომფორტის საძებნელად არ ვიყავით ჩამოსული.

კენიაში მოხვედრა სირთულეს არ წარმოადგენს. ამ ქვეყნის სამთვიანი ვიზა პირდაპირ საზღვარზე, ნაირობის საერთაშორისო აეროპორტში ჩაფრენისთანავე 50 დოლარად შეგიძლიათ აიღოთ, თუმცა კანონით დადგენილი აცრები აუცილებლად უნდა

გქონდეთ ჩატარებული. ინგლისურად პრაქტიკულად ყველა ლაპარაკობს. სწავლაც ინგლისურად და სუაჰილიზე მიმდინარეობს. მოგეხსენებათ, 1886-1963 წლებში კენია ინგლისის კოლონია იყო, ამიტომ მისი გავლენა ამ ქვეყანაში დღემდე შეინიშნება.

კენიაში რამდენიმე რელიგიაა გავრცელებული, უმეტესობა კათოლიკე ან პროტესტანტი ქრისტიანია. მოსახლეობის 10 პროცენტი მუსლიმები არიან, ისინი უმეტესად ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, სანაპირო ზოლში მდებარე ქალაქებში ცხოვრობენ. მრავლად არიან ინდოელებიც, ბიზნესს ძირითადად ისინი უძღვებიან, შესაბამისად, ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე შეძლებულ ფენას წარმოადგენენ.

მასაები კენიის დედაქალაქს „ენკარე ნაირობის“ უწოდებენ, რაც „გრილი წყლების ადგილს“ ნიშნავს, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობა მას „მზეში მყოფ მწვანე ქალაქსაც“ უწოდებს, რადგან ქალაქი მწვანეში ჩაფლული გარეუბნებითაა გარშემორტყმული.

დედაქალაქის ცენტრში მრავლადაა თანამედროვე მრავალსართულიანი ნაგებობები, სადაც განთავსებულია ოფისები, სავაჭრო ცენტრები, მაღაზიები, სასტუმროები, რესტორნები, საელჩოები, მუზეუმები, გალერეები, სასწავლო და სხვა სახის დაწესებულებები, ამიტომ ქალაქის ცენტრი ძალიან გადატვირთულია, საცობებიდან თავის დაღწევა კი რამდენიმე საათის მანძილზე შეუძლებელია. მდიდარი მოსახლეობა ცენტრიდან რამდენიმე კილომეტრით მოშორებულ რაიონებში, დიდი ეზოებით გარშემორტყმულ საკუთარ სახლებში ცხოვრობს. ცდილობენ, ცხოვრების წესით ყველანაირად დასავლეთს მიბაძონ: თანამედროვედ იმოსებიან და ძვირადღირებული ავტომანქანებით გადაადგილდებიან. მათი უმეტესობა კორუფციითა და კრიმინალური საქმიანობითაა გამდიდრებული. მოსახლეობის დიდი ნაწილი კი ხელმოკლედ, გაუსაძლის პირობებში ბარაკებში ცხოვრობს. ღარიბთა დასახლებებს ნაირობიში ბევრგან შეხვდებით.

კენიელთათვის დამახასიათებელი ტრა-



დიციული სახლები და ცხოვრების სტილი სოფლებში კარგადაა შემორჩენილი. ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობა და მიწათმოქმედებაა. კენიაში 44 ტომი ცხოვრობს. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან, როგორც გარეგნობით, ისე ცხოვრების წესითა და ტრადიციებით. ხანდახან ქუჩებში ფერად ეროვნულ სამოსში, ე.წ. „კიტენგეში“ გამოწყობილ ქალებსაც შეხვდებით, რაც ამ ქვეყანას თავისებურ ხიბლს მატებს, ხოლო სტუმარს ეგზოტიკურ შეგრძნებას უმძაფრებს.

დავაკვირდი, რომ კენიელი ქალები სხვადასხვა კოსმეტიკური საშუალებით სახის კანის გათეთრებას ცდილობენ, რადგან ღია კანის ფერი განსაკუთრებულ სილამაზედ მიიჩნევა. კენიაში ჩამოსვლის პირველ პერიოდში საკმაოდ უცნაური შეგრძნება მქონდა – ჩემი კანის ფერის გამო მეგონა, რომ ყველა მე მიყურებდა. შემდეგ აღმოვაჩინე, რომ აქ საკმაოდ ბევრი თეთრკანიანი ცხოვრობს, თუმცა ქუჩაში მათ იშვიათად შეხვდებით, ფეხით პრაქტიკულად არ გადაადგილდებიან. კენიელთათვის ყველა თეთრკანიანი უცხოელი ფულის წყაროა და ცდილობენ ყველანაირად გამოსძალონ, ამიტომ ღამით ქალაქში სეირნობა არც თუ უსაფრთხოა.

ნაირობის ღამის ცხოვრება საკმაოდ აქტიურია. მრავლადაა ღამის კლუბები. მათი კლუბების უმრავლესობა შერეული ტიპისაა, სადაც როგორც ტურისტებს, ისე ადგილობრივებსაც შეხვდებით, რომლებიც საკმაოდ მეგობრულნი და კომუნიკაბელურნი არიან. ღამაზად ჩაცმული კენიელი გოგონები თეთრკანიან მამაკაცებთან დაახლოებას ცდილობენ იმ მიზნით, რომ ამგვარი ურთიერთობა უზრუნველი მომავლის გარანტი ჰგონიათ. ამრიგად ხშირად მინახავს ასაკოვანი ევროპელი მამაკაცის გვერდით ასაკით პატარა ლამაზი კენიელი გოგონა.

ზოგადად კენიელები საკმაოდ მხიარულები არიან, უყვართ მუსიკა და გართობა. არ უყვართ სიჩქარე. ყველაფერს ნელა და გაწონასწორებულად უდგებიან. აფრიკელ

ბავშვებთან ურთიერთობა მთელი სიამოვნებაა. ერთხელ კამბას ტომის სოფელში ფოტოს გადაღება მოვისურვე. მანქანიდან გადმოსულს მაშივე ადგილობრივი ბავშვები შემომეხვივნენ შეძახილით „მუზუნგუ“, რაც თეთრ კაცს ნიშნავს და ცდილობდნენ, ხელით შემხებოდნენ. ბოლოს კი, კამერის წინ პოზირება დაიწყეს.

ამ ქვეყანაში ასევე გაგაოცებთ მიწის საოცარი ფერი და მცენარეების ნაირსახეობა. ულამაზესია მოწითალო – ტერაკოტისფერი მიწა და მასზე ამოსული ხასხასა მწვანე ყვავილოვანი მცენარეები, რომლებიც საოცრად კონტრასტულ და, ამავდროულად, ჰარმონიულ გარემოს ქმნიან.

კენიის სხვადასხვა რეგიონში კლიმატი განსხვავებულია. იმის გამო, რომ ნაირობი ზღვის დონიდან 1600 მეტრზე მდებარეობს, კლიმატი ზომიერია, ყველაზე ცივი თვე ივლისია, ხოლო ყველაზე თბილი – მარტი. ინდოეთის ოკეანის სანაპირო ზოლის ქალაქებში – მომბასა, მალინდი, ლამუ და ა.შ. – კლიმატი ტროპიკული, ცხელი და ტენიანია. აქ არსებული თეთრი ქვიშის სანაპირო უამრავ ტურისტს იზიდავს. საოცრად გამჭვირვალეა ოკეანის წყალი, სადაც ჩასაყვინთი მოწყობილობის გარეშეც შეგიძლიათ ეგზოტიკური თევზები და ოკეანის სხვა ბინადრების დანახვა.

კენიის ერთ-ერთი მთავარი შემოსავლის წყარო ტურიზმია. ამ ქვეყნის ველური ბუნება მილიონობით ტურისტს იზიდავს. ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი ეროვნულ პარკებად და დაცულ ტერიტორიებადაა გამოცხადებული. აქ ყველა ტიპის ნადირობა მკაცრად იკრძალება. მსოფლიოში სიდიდით მეორე ტბა ვიქტორია კენიას, უგანდასა და ტანზანიას შორის მდებარეობს. შედარებით მცირე ზომის ტბა ნაკურუ კი ნაკრძალს წარმოადგენს. ტბაში და მის ირგვლივ დაცულ ტერიტორიაზე უამრავი ჯიშის ფრინველი და ცხოველი ბინადრობს. ყველაზე მეტი დამთვალიერებელი ნაივაშას ტბას ჰყავს. აქ შესაძლებელია ნავით

გასეირნება და უამრავი უნიკალური ჯიშის ცხოველისა თუ ფრინველის ნახვა, მათ შორის, ფლამინგოებისაც. ნაივაშას ტბა ოჯახთან ერთად მოვინახულე და თავად დავრწმუნდი, რომ უნიკალური და ულამაზესი ადგილია. ტბაში ბეჰემოტები ბინადრობენ, ნავით მათთან მიახლოვება საშიშია, ამიტომ ჩვენი გამყოლი მენავე მათგან საკმაოდ შორს მიაცურებდა ნავს და, ცდილობდა, ეს ადგილი, რაც შეიძლება, მალე დაეტოვებინა.

კენიური სამზარეულო დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. მოსახლეობის ძირითად საკვებს სიმინდის ფქვილისგან დამზადებული მკვრივი შემადგენლობის ფაფა „უგალი“ წარმოადგენს. მასთან ერთად შეექცევიან ისპანახის ტიპის მცენარე – სკუმა ვიკის ფოთლებს ხახვთან და პომიდორთან ერთად მოხრაკულს. კენიური პური „შაფათი“ ზეთში შემწვარი თხლად გაბრტყელებული ცომია. ხორცი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ფუფუნებაა, თუმცა ძალიან უყვართ, შემწვარ ხორცს კი „ნამაჩომას“ ეძახიან. მასაის ტომებისათვის ხორცი ძირითადი საკვები რაციონია, რადგან მათი ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობაა.

გიორგი შალაშვილი

ჩემთვის ძალიან უცხო აღმოჩნდა მწვანე ბანანი მატოკე, რომელსაც კენიელები კარტოფილივით ფრცქვნიან და ბოსტნეულთან ერთად წვავენ (სხვათა შორის, გემოთიც კარტოფილს წააგავს). ის ტომები, რომლებიც ოკეანის სანაპირო ზოლში ცხოვრობენ. უპირატესობას ნაკვერჩხალზე შემწვარ ზღვის პროდუქტებს ანიჭებენ.

კენიაში მრავლადაა რესტორნები და კაფეები, თუმცა უმეტესი მათგანი ჰიგიენური პირობებით ვერ დაიკვეხნის. შედარებით კომფორტული კვების ობიექტების ძირითადი ნაწილი სავაჭრო ცენტრებშია თავმოყრილი. აქ ყველა შემსვლელს მკაცრად ამოწმებენ, რადგან ტერორისტების მიერ სავაჭრო ცენტრების აფეთქების რამდენიმე ფაქტი უკვე არსებობს. ნაირობიში შეხვდებით ლიბანურ, ეთიოპურ, ესპანურ, მექსიკურ, ინდურ თუ შერეული ტიპის სხვადასხვა რესტორანს, თუმცა აუცილებლად უნდა იცოდეთ, რომელ მათგანში იცავენ სისუფთავის ნორმებს და სად ამზადებენ ყველაზე გემრიელად. ამ ცნობებს და მსგავს რჩევებს კენიაში მცხოვრები მეგობრებისგან ვიღებთ, რომელთა რიცხვიც ორი წლის მანძილზე საგრძნობლად გაიზარდა, რაც ძალიან გვიადვილებს იქაურ ცხოვრებას. ამრიგად, რთული არ არის კენიაში ახალი სახლი აღმოაჩინო – მთავარია, აქ, ამ შორეულ ქვეყანაში ჩამოხვიდე.

MASAI it GIRL

CONCEPT AND PHOTO: ALIKHAN / PRODUCERS: RADIK AYDJARIKOV, EUGENIA POLAKOVA
STYLE: ANNA BURMISTROVA /MAKE UP: MARINA ROY / MODELS: NATAANA ENOLE KASOE, YVONNE SINTEI ENOLE KASOE

Dress DSQUARED2, bracelet LV, shoes MANOLO BLAHNIK

Suit LARUSMIANI, clutch DIOR, sandals JIMMY CHOO

Dress VALENTIN YUDASHKIN, jacket DIOR, clutch CHRISTIAN LOUBOUTIN, Jewelry BEBE, shoes MANOLO BLAHNIK

dress DIANA VON FURSTENBERG, boots JIMMY CHOO, jewelry BCBG by MAX AZRIA

Dress FORNARINA, necklace BCBG by MAX AZRIA, bracelet LV

Suit VALENTIN YUDASHKIN, rings and necklace TOM BINNS, clutch CHRISTIAN LOUBOUTIN

Dress VALENTIN YUDASHKIN, bracelet BEBE, rings TOM BINNS, shoes DIOR

Dress VIONNET, bracelet MARC CAIN, shoes JIMMY CHOO

ფსიქოლოგი მარინა გოქსაძე

დამოკიდებულების ანატომია

ტექსტი: ნანა კობაიძე

დამოკიდებულებებს 21-ე საუკუნის დაავადებას ეძახიან. ნარკოტიკი, ალკოჰოლი და აზარტული თამაშები – ცნობილი სამეულია, რომელიც ადამიანზე დამღუპველად მოქმედებს. მათი შედეგები ყველასათვის თვალშისაცემია, თუმცა არსებობს ერთი შეხედვით, უფრო „მსუბუქი" განშტოებები, რომელნიც ნაკლებსახიფათოდ გვეჩვენება. მაგალითად, დამოკიდებულება სოციალურ ქსელებზე, შოპინგზე, საკვებზე... ირკვევა, რომ საქმე არც ისე მარტივადაა. ამ ყველაფერს საერთო ფესვი აქვს, რომელიც სათავეს ჩვენს ბავშვობაში იღებს. რა არის დამოკიდებულება? საიდან მოდის? როგორ ვებრძოლოთ მას? ამ კითხვებზე პასუხს ფსიქოლოგ მარინა გოქსაძისგან მივიღებთ.

> { დამოკიდებულება ობობას ქსელს ჰგავს, რომლისგან გათავისუფლება ადამიანისთვის საკუთარი ძალებით შეუძლებელია. }

დამოკიდებულება ქრონიკული დაავადებაა, რომელიც არ იკურნება. უბრალოდ, რემისიის მდგომარეობაში გადაჰყავთ, რომელიც, შესაძლოა მთელი ცხოვრება გაგრძელდეს. ამ დაავადების ფესვები ადრეულ ბავშვობაში უნდა ვეძებოთ. მიიჩნევენ, რომ ჩასახვიდან 6 თვემდე მიღებული სტრესი ნარკომანიის წინაპირობაა; დაბადებიდან წლინახევრამდე – თამაშებზე დამოკიდებულებას, ანუ გემბლინგს იწვევს, დაბადებიდან 3 წლამდე მიყენებული ფსიქოლოგიური ტრამვა კი ზრდასრულ ასაკში ალკოჰოლიზმს განაპირობებს. არავინ იცის, როდის იფეთქებს ეს ყველაფერი – 30, 40 თუ 50 წლის ასაკში. განსაკუთრებით საყურადღებოა პუბერტატი, ანუ გარდამავალი პერიოდი, როდესაც მოზარდი თითქოს თავიდან გადის დაბადებიდან 3 წლამდე გზას. შესაძლოა, ადამიანს ადრეულ ბავშვობაში ტრამვა არ მიუღია, მაგრამ მოგვიანებით შეხვდა პრობლემები, რამაც რეალობიდან გაქცევის სურვილი გაუჩინა. შედეგი – ისევ დამოკიდებულებაა.

დამოკიდებულებას ეტაპობრიობა ახასიათებს, რომელთა შესახებ ყველამ უნდა იცოდეს: პირველ პერიოდს „მეგობრად" მოიხსენიებენ. თითო ჭიქა სასმელი, ნარკოტიკი, მარიხუანა, კომპიუტერული თუ აზარტული თამაში ადამიანს სიამოვნებას ანიჭებს და ცხოვრებას უფერადებს. ეს ყველაფერი ერთგვარი ყავარჯენია, რომელიც გარემოსთან ადაპტაციასა და საკუთარი ოცნებების რეალიზაციაში ეხმარება; მეორე ეტაპს „თაღლითი" ჰქვია. ამ პერიოდში გარშემომყოფთათვის მისი „გატაცება" უფრო თვალშისაცემია – სულ უფრო ხშირია შეკითხვები ჩაწითლებულ თვალებსა და ალკოჰოლის სუნთან დაკავშირებით. ადამიანი ცდილობს „ითაღლითოს" – დაუძვრეს ვითარებას ან დაიმალოს, რაც მხოლოდ და მხოლოდ თავის მოტყუებაა; ამას მოსდევს მესამე საფეხური, რომელსაც პირობითად „მტერს" უწოდებენ. პიროვნება აცნობიერებს, რომ დამოკიდებულება მტრად ექცა, თუმცა აზრადაც არ მოსდის, მისგან გათავისუფლდეს. ცდილობს, ზიანი

სხვა გზით შეიმსუბუქოს – იკვლევს ჯანმრთელობის მდგომარეობას, სვამს წამლებს და ა.შ. ეს არის ზრუნვა გართულებების და არა მიზეზის სამკურნალოდ; და ბოლოს, ყველაზე საშიში, „ბატონობის" ეტაპი, როდესაც დამოკიდებულება მბრძანებელი ხდება, ადამიანი კი – მონა. ამ ეტაპზე მას სიცოცხლესა და სიკვდილს შორის არჩევანის გაკეთება უწევს, რაც არცთუ იშვიათად ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მთავრდება.

როგორც წესი, პირველ და მეორე სტადიაზე დაავადებულები დახმარებისთვის სპეციალისტს არ მიმართავენ. მესამეზე – იშვიათად, მეოთხე კი ერთგვარი გზაგასაყარია, სადაც ადამიანის ნებაზეა დამოკიდებული, დაიღუპება თუ გადარჩება.

განვითარების სხვადასხვა ეტაპზე დამოკიდებულებათა მიმართ საზოგადოებას განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა: უძველეს დროში ბოროტი სულის შესახლებით ხსნიდნენ და მის გამოსადევნად სხვადასხვა რიტუალს ატარებდნენ. მოგვიანებით რელიგიამ ცოდვად მონათლა და მისგან გათავისუფლების გზად ლოცვა და მონანიება დააწესა. კიდევ უფრო გვიან ეს ყველაფერი დანაშაულად მიიჩნიეს, რომელიც კანონით ისჯება. არცერთი მიდგომა არ არის ჭეშმარიტი, გარდა ერთისა – დამოკიდებულება არის დაავადება, რომელიც მკურნალობას საჭიროებს. საინტერესოა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში სამივე სახის ისტორიული მიდგომა ძალაშია.

დამოკიდებულების მსხვერპლნი (ვგულისხმობ ნარკოდამოკიდებულებას, ალკოჰოლიზმს და გემბლინგს) უმეტესად მამაკაცები ხდებიან, ქალები – იშვიათად, თუმცა მდედრობით სქესში ის გაცილებით რთულად მიმდინარეობს და ფაქტობრივად, არ იკურნება. კაცებში განკურნების მაჩვენებელი ბევრად მაღალია.

ქალებში უფრო მეტად თანადამოკიდებულება გვხვდება, რომელიც სათავეს იმავე ფესვიდან იღებს, საიდანაც ალკოჰოლიზმი და ნარკომანია. ეს არის ემოციური დამოკიდებულება ამ სენით დაავადებული მეორე ადამიანის მიმართ, რომელიც ქალზე რაღაც ფორმით ძალადობს, თუმცა გააზრებულად თუ გაუაზრებლად მსხვერპლი მასთან ცხოვრებას განაგრძობს. ცნობილი ფორმულაა – იქ, სადაც არის დამოკიდებულება, აუცილებლად იქნება თანადამოკიდებულებაც, რაც, თავის მხრივ, დისფუნქციურ ოჯახს წარმოშობს. დისფუნქციური ოჯახი კი ბავშვის ტრამვირებას იწვევს. იკვრება მოჯადოებული წრე, საიდანაც ერთადერთი გამოსავალი კომპლექსური, კვალიფიციური მკურნალობაა. მკურნალობა დამოკიდებულებათა მიზეზის, და არა შედეგის აღმოსაფხვრელად.

დღესდღეობით მსოფლიოში ყველაზე კარგად ე.წ. მინესოტას მოდელი მუშაობს, რომელიც კვალიფიციური ფსიქოთერაპევტების დახმარებასთან ერთად (არტ თერაპია, გეშტალტ თერაპია, ნიღბებით თერაპია და სხვა პროფესიული მეთოდიკა) „12 საფეხურის" პროგრამასაც მოიცავს. იგი 1938 წელს ამერიკაში შეიმუშავეს ბილ უილსონმა და ბობ სმიტმა, რომელთაც მას შემდეგ, რაც თავად დაამარცხეს ალკოჰოლიზმი, გადაწყვიტეს, საკუთარი გამოცდილება სხვებისთვისაც გაეზიარებინათ. დღეს ეს პროგრამა დამოკიდებულებით დაავადებულთა მკურნალობისთვის გამოიყენება და როგორც წესი, ის ადამიანები ატარებენ, რომელთაც საკუთარ თავზე გამოსცადეს მისი სიკეთე. „მე დავძლიე და შენც გამოგივა" – ასეთია „12 საფეხურის" ინსტრუქტორთა დევიზი. სამწუხაროდ, საქართველოში მინესოტას მოდელით დამოკიდებულებათა მკურნალობა არ ხდება.

დამოკიდებულება ობობას ქსელს ჰგავს, რომლისგან გათავისუფლება ადამიანისთვის საკუთარი ძალებით შეუძლებელია. ერთი რამ უნდა გვახსოვდეს – დამოკიდებულ პიროვნებას საკუთარი ნება არ გააჩნია, ამიტომ ირგვლივმყოფთა დახმარებას საჭიროებს. ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოების პოზიცია ამ პრობლემის მიმართ. არ შეიძლება მისი მიჩქმალვა, არც ტაბუირება. ჩვენ ხომ არ ვადანაშაულებთ შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ადამიანებს? დამოკიდებულებაც ასეთივე დავადებაა, ქრონიკული დაავადება, რომელიც დროული ჩარევისა და სწორი მკურნალობის შემთხვევაში ჩვეულებრივად ცხოვრების შესაძლებლობას იძლევა.

ჟურნალ **NARGIS** საქართველოს
პირველი ნომრის პრეზენტაცია

ნინა დიასამიძე, კენულ ნაგიევა, ულვია რახმანოვა,
თაკო ჩხეიძე, სუად გორაევა, ლიკა კვარაცხელი

თიკა ფაცაცია,
ლალი ტოტიკაშვილი

გვანცა მაჭარაშვილი
ნინა მაჭარაშვილი

ანა კოშაძე
თეონა ბაღდავაძე

ნუკა კაციტაძე, ხათუნა ვაშაძე,
ეკა ღვანია ზურა მჭედლიშვილი

LIU PHOTOGRAPHY

მაია ლობჟანიძე, ეკა ჩანჩიბაძე, ნინი კაკაბაძე, ლიკა აბრუმია

თაკო ჩხეიძე,
ავთანდილ ცქვიტინიძე

ლელა წურწუმია,
ანი გიუნტერი

იანა ავდეევა, როზა ჯომიდავა

თეონა დოლიძე, თამარა ეოპალიანი, ლენკა ციციშვილი,
ნინა ჭინჭარაული, ნუცა ქურიძე

ტამუსია გელაშვილი, ნინი სტურუა,
თაკო ლალაზაშვილი, ნინო ბაჩიაშვილი

ნინო ტეზელაშვილი, ეკა
ბახტაძე, მაკა ყუბუსიძე

ლევან ბერულავა

მაკა კვიციანი,
ლიკა კვარაცხელია



ანანო დოლაბერიძე

ეკა ჩანჩიბაძე, ჯაბა სიხარულიძე
ირმა შარიქაძე

სალომე ღვინიაძეკილი
ნინი ზარქუა
ანუკი არეშიძე

ნაზი გოშაძე, მაკა ყუბუსიძე,
ლიკა კვარაცხელია, თაკო ჩხეიძე

თამუნა ინგოროყვა
ბურა მგალობლიშვილი
ნინო იოსელიანი

მაკა ჩიჩუა

თამარა კოპალიანი,
ლევან მდინარაძე

დალი ჩიტალაძე

მია ბოკუჩავა, ქეთი ალანია, მიშა კობახიძე, კიწი სიგუა,
ქეთუნა დონდუა, ნაზი გოშაძე

GEOMODELS
agency

სამოდელო სააგენტო
GEOMODELS-ის
8 წლის იუბილე

ნათია ხმიადაშვილი
მარიამ გავაშელი

ნინო დიასამიძე
ჯაბა სიხარულიძე

თაკო ჩხეიძე
მარიამ სანოგო

დიანა ქვარიანი
ეკატერინე ფანგანი
დარია ერისთავი

სალომე კორკოტაშვილი
დალი ჩიტალაძე

სალომე კოკუაშვილი
თათა ბრეგაძე
ანი ოძელი

ლევან ბერულავა
თამუნა ინგოროყვა

ნუკა კაციტაძე
ხათუნა ვაშაძე

გიორგი ქებურია
ლიკა კვარაცხელია

დარია ერისთავი
ალექსანდრა პაიჭაძე
სალომე კოკუაშვილი

დალი ჩიტალაძე
თაკო ჩხეიძე

ეკატერინე ფანგანი, დიანა ქვარიანი, დარია ერისთავი,
ალექსანდრა ბაიჭაძე, ანანო დოლაბერიძე



დალი ჩიტალაძე

დიმიტრი გაბუნია
შვილთან ერთად

მარიამ გავაშელი
ანუკა რუხაძე

გიორგი ოვაშვილი
ირმა შარიქაძე

ნინი კაკაბაძე, ნათია ჩიქოვანი, მარიამ ძაბირაძე

ნატალი კალანდარიშვილი
ქრისტინა კალანდარიშვილი
იარა უკრაინა

ნინო ელიავა, ლალო დოლიძე, ნინა დოლიძე, მაკა კვიციანი

ელენე შელია,
ლიკა კვარაცხელია

ნაზი გოშაძე, ანანო დოლაბერიძე

ჰოროსკოპი

ასტროლოგიური პროგნოზი
აპრილი–მაისი–ივნისი

მოამზადა ასტროლოგმა რამაზ გიგაურმა

ზოგადად ეს პერიოდი სასიკეთო იქნება. აპრილი და მაისის პირველი ნახევარში წარმატებას მოიტანს წინდახედული და ორგანიზებული მოქმედებები, ასევე ხელოვნებასთან დაკავშირებული პროექტები. მაისის მეორე ნახევარში და ივნისში წარმატებული იქნება შეხვედრები, მოლაპარაკებები და მოგზაურობა.
4, 18 აპრილს, 4, 18 მაისს, 2, 16 ივნისს არ არის რეკომენდებული ახალი საქმეების წამოწყება და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება.

ვერძი

აპრილი — წარმატებას ორგანიზებულობა და მიზანსწრაფვა მოგიტანთ. თუმცა მოერიდეთ სიჩქარეს. შემოქმედებითი იდეები სჯობს პარტნიორებს შეუთანხმოთ და ისე განახორციელოთ. აპრილის მეორე ნახევარში უფრო მეტი მოთმინება და კომუნიკაბელურობა გმართებთ, რაც გაზრდის ურთიერთობებში წარმატების მიღწევის ალბათობას.
მაისი — შეეცდებით მიაღწიოთ დასახულ მიზნებს და გადალახოთ შექმნილი წინაღობები. შეეცადეთ საკუთარი ძალისხმევა საჭირო მიმართულებით გამოავლინოთ და ენერგია ფუჭ მოქმედებებზე არ დახარჯოთ. სწორად გადაანაწილეთ საკუთარი დროც. წარმატება გელით პროფესიული საქმიანობის, კარიერული წინსვლის, ბიზნესისა და ფინანსური შემოსავლების კუთხით.
ივნისი — განვითარებული მოვლენები დაგეხმარებათ წარმატებით დაასრულოთ გადადებული საქმეები, დაარეგულიროთ გართულებული ურთიერთობები და მოაგვაროთ პრობლემები. წარმატების მიღწევისთვის მოგიწევთ საკუთარ გარეგნობასა და ჩაცმულობაზე ზრუნვაც, რადგან თქვენი გარეგნობა შეხვედრებისას საკმაოდ სერიოზულ როლს ითამაშებს. მითუმეტეს, რომ მოიმატებს რომანტიკული შეხვედრების, გართობისა და სასიყვარულო კავშირების ალბათობა.

კურო

აპრილი — ეს აქტიური და დინამიური პერიოდი იქნება. გაჩნდება წინსვლის შანსი, განსაკუთრებით სწავლის, მოგზაურობის, ახალი კავშირების დამყარების, ახალი მეგობრების შეძენის მხრივ. მოსალოდნელია მოგიწიოთ საქმიანი შეხვედრები და მოლაპარაკებები, რომლებიც თქვენს საქმიან ცხოვრებასთან იქნება დაკავშირებული.
მაისი — მაისის პირველი ნახევარი შედარებით სტაბილური იქნება, თუმცა დაძაბულ რეჟიმში მოგიწევთ ყოფნა, რათა თქვენზე დაკისრებულ მოვალეობებს თავი გაართვათ და შექმნილი პერსპექტივები ხელიდან არ გაუშვათ. თვის მეორე ნახევარი შედარებით რთული იქნება, ამიტომ დააბალანსეთ სამსახურებრივი და ოჯახური ურთიერთობები. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. ნუ გადაიღლებით ფიზიკურად და ემოციურად.
ივნისი — მოსალოდნელია განვითარებულმა მოვლენებმა იმაზე მეტი სარგებელი მოგიტანოთ, ვიდრე ელოდებით, განსაკუთრებით ეს ეხება შემოქმედებითი პროექტების განხორციელებას. მოსალოდნელია მოგიხდეთ კონკურენციაში ჩაბმა ან ოპონირება, თუმცა, ნუ შეგეშინდებათ. იყავით პრაქტიკული და სამართლიანი, ეს ამ თვეში წარმატების მიღწევისთვის აუცილებელი თვისებები იქნება.

ტყუპი

აპრილი — თუ თავს აარიდებთ ილუზიურ გარემოებებს და აქცენტს პრაქტიკულ საკითხებზე გააკეთებთ, შეძლებთ კრიზისული სიტუაციებიდან თავის დაღწევას. უფრო მიმზიდველი და მომხიბლავი იქნებით. გააქტიურდება სასიყვარულო ურთიერთობები. პირად ცხოვრებასთან, დაოჯახებასთან, ასევე უძრავ ქონებასთან და საბანკო საკითხებთან დაკავშირებით ცვლილებები თქვენთვის ხელსაყრელი იქნება.
მაისი — მაისის პირველი ნახევარი უფრო პოზიტიური იქნება, ვიდრე მეორე, ეს განსაკუთრებით საგრძნობი იქნება პროფესიულ საქმეში, სამსახურში, კარიერასა და ბიზნესში. მეორე ნახევარში მოიმატებს თქვენი თავდაჯერებულობა და მიზანსწრაფვა, მაგრამ თუ კონცენტრაციას არ მოახდენთ და ძირეულ პრობლემებს არ გადაჭრით, მოსალოდნელია, დრო და ენერგია მხოლოდ წვრილმან საკითხებზე დაგეხარჯოთ.
ივნისი — ეს თვე ენერგიულობით და დადებითი განწყობით დახასიათდება. მიიღებთ თქვენთვის საინტერესო ინფორმაციას, მოგიწევთ ბევრი შეხვედრა და მოლაპარაკება. ეს ყველაფერი გაგიხსნით ახალ ჰორიზონტს და პერსპექტივებს. მოსალოდნელია, მიიღოთ სიურპრიზი ან სასიამოვნო საჩუქარი.

კირჩხიბი

აპრილი — ეს პერიოდი მთლიანობაში თქვენთვის პოზიტიური გამოდგება. გახდებით უფრო გამჭრიახი და საქმიანი, რაც სასიკეთოდ იმოქმედებს თქვენს პროფესიულ საქმიანობასთან, სამსახურთან და ბიზნესთან დაკავშირებით. დაძაბულ სიტუაციებში მოთმინება და ტაქტის გრძნობა გამოავლინეთ, ასეთი მიდგომით ცხოვრების ბევრ სფეროში წარმატებას მიაღწევთ.
მაისი — თქვენ კონცენტრაცია და ორგანიზებულობა გმართებთ, რათა მოვლენების მოულოდნელად შემოტრიალების გამო პერსპექტივები ხელიდან არ გაუშვათ. არ არის გამორიცხული არასტაბილური ფინანსური მდგომარეობის გამო ემოციური დაძაბულობა იგრძნოთ. მიუხედავად მოვლენების არც თუ ჰარმონიულად განვითარებისა, ოჯახის წევრებსა და საქმიან პარტნიორებს არ დაუპირისპირდეთ.
ივნისი — ეს თქვენთვის სასიკეთო პერიოდი გამოდგება, ამიტომ, მოგიწევთ ბევრი მუშაობა, რათა დასახულ მიზნებს მიაღწიოთ. იმისათვის, რომ თქვენთვის მნიშვნელოვანი პროექტების შესრულება შეძლოთ, აუცილებლად დაგჭირდებათ მეგობრების და თანამოაზრეების დახმარება. თვის მეორე ნახევარში გააქტიურდება უცხოეთთან და მოგზაურობასთან დაკავშირებული საკითხები.

ლომი

აპრილი — თქვენთვის შედარებით წარმატებული თვის პირველი ნახევარი გამოდგება. თუმცა წარმატების მიღწევისთვის საჭიროა ინიციატივის გამოვლენა, კონკურენტებთან და ოპონენტებთან მიმართებაში კონფლიქტებისთვის თავის არიდება და საკუთარი მიზნების გასაიდუმლოება. აკეთეთ თქვენი საქმე ჩუმად – ასე უფრო შორს წახვალთ. აქცენტი სამსახურზე და კარიერაზე გააკეთეთ.
მაისი — მაისის პირველ ნახევარში უფრო ჯიუტი და ამპარტავანი გახდებით, რაც, როგორც საქმიან, ისე პირად ცხოვრებაში პრობლემებს შეგიქმნით. ყურადღება გამოიჩინეთ ახლობელი ადამიანების მიმართ. თვის მეორე ნახევარი გაცილებით სასიკეთო იქნება, უფრო მიმზიდველი და სექსუალური იქნებით, რაც პირად ცხოვრებაზე ჰარმონიულად იმოქმედებს.
ივნისი — მთლიანობაში ეს პერიოდი პოზიტიური იქნება, განსაკუთრებით თუ კომუნიკაბელური იქნებით და ურთიერთობებს ჰარმონიულად წარმართავთ. წარმატებას მიაღწევთ, თუ თქვენი საქმე გონებრივ სამუშაოს, მეცნიერებას, ლიტერატურას ან ინფორმაციის მიღება-გადაცემას უკავშირდება. კარგი დროა სპონსორების მოძიებისთვის. ივნისის ბოლოს დასვენება თქვენს ფიზიკურ ძალებს აღადგენს.

ქალწული

აპრილი — მოგიწევთ საკუთარი საქმის აუჩქარებლად კეთება. შეეცადეთ მეტი ყურადღება მიაქციოთ წვრილმანებს, რათა მოსალოდნელი შეცდომებისგან თავი დაიჩღვიოთ. ნუ შეგეშინდებათ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. წარმატებას მიაღწევთ შემოქმედებით პროექტებში, განსაკუთრებით თუ ეს მუსიკას ან სიმღერას უკავშირდება. მესამე დეკადაში მოიმატებს რომანტიკული შეხვედრების და სასიყვარულო ურთიერთობების ალბათობა.
მაისი — ეს პერიოდი ცვლილებებს მოგიტანთ, ამასთანავე, მოსალოდნელია ამ ცვლილებებმა თქვენს ცხოვრებას მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნიონ. ეს შესაძლოა იყოს ახალი სასიყვარულო ურთიერთობა, დაოჯახება, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის შეცვლა. განცდილი წარუმატებლობების გამო იმედგაცრუება ნუ დაგეუფლებათ, რადგან ეს ყველაფერი მოკლე დროში უკეთესობისკენ შეიცვლება.
ივნისი — თუ ამ პერიოდში სიფრთხილეს და ყურადღებას არ გამოიჩენთ, შესაძლოა კონფლიქტურ სიტუაციაში აღმოჩნდეთ. მოერიდეთ ადამიანების კრიტიკას და აქცენტი ახლობლების დადებით მხარზე გააკეთეთ. ივნისის მეორე ნახევარი შედარებით ჰარმონიული იქნება, განსაკუთრებით ბიზნესთან, ყიდვა-გაყიდვასთან, სამსახურთან და ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში.

სასწორი

აპრილი — მოსალოდნელია თქვენს ცხოვრებაში შეიქმნას დაძაბული სიტუაცია და პარტნიორებთან მიმართებაში სიმშვიდეს და გაწონასწორებულობას არ გამოიჩენთ, შესაძლოა უსიამოვნებაშიც გაერიოთ. ყურადღება მიაქციეთYიურიდიულ საკითხებს. აუცილებლობის შემთხვევაში რჩევა კონსულტანტებთან გაიარეთ. ამ პერიოდში არ არის რეკომენდებული რისკზე წასვლა.
მაისი — ამ პერიოდში შეძლებთ ემოციური სტაბილურობის მიღწევას და დაკარგული პოზიციების დაბრუნებას. სასიამოვნო სიახლეები გელით ურთიერთობებშიც. გაგიჩნდებათ დაშვებული შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობა. შეეცადეთ მნიშვნელოვანი ცვლილებები წარსულის საფუძვლიანი ანალიზის და მომავლის დაგეგმვის შემდეგ განახორციელოთ. სასიკეთო იქნება გადადებული საქმეების დასრულება და გრძელვადიანი პროექტების დაწყება.
ივნისი — მოგინდებათ სხვებისგან გამორჩეული გახდეთ და საკუთარი ცხოვრების, ჩაცმულობის თუ ვარცხნილობის სტილში ახალი, ორიგინალური შტრიხები შეიტანოთ. თუ ზედმეტად არ მოინდომებთ, ცვლილებები მთლიანობაში სასიკეთოდ წაგადგებათ. შეეცადეთ, საეჭვო და სარისკო ფინანსური ოპერაციებისგან თავი შეიკავოთ.

მორიელი

აპრილი — აპრილის პირველის ნახევარი უფრო პოზიტიური გამოდგება თქვენთვის, თუმცა მოგიწევთ აგრესიის და კამათის გარეშე მოაწესრიგოთYთქვენთვის მნიშვნელოვანი საკითხები. თვის მეორე ნახევარში რთულ სიტუაციებში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. ნუ ენდობით უცნობ ადამიანებს. გაუფრთხილდით საკუთარ ფინანსებს, ჯანმრთელობას და რეპუტაციას.
მაისი — ამ პერიოდში შეძლებთ კრიზისების აღმოფხვრას, რაც სასიკეთოდ იმოქმედებს თქვენს ემოციურ და ნერვულ სისტემაზე. წარმატებულად განვითარდება თქვენი პირადი ცხოვრება, ასევე უძრავ ქონებასთან და ბავშვებთან დაკავშირებული საკითხები. თვის ბოლოს სიფრთხილე გამოიჩინეთ ფინანსების მიმართ. მოერიდეთ ფულის სესხება-გასესხებას და სარისკო საქმეებში დაბანდებას.
ივნისი — სამსახურებრივ და ფინანსური საკითხებთან დაკავშირებით წარმატებას მიაღწევთ, თუ შეძლებთ ზუსტად შეაფასოთ თქვენს გარშემო შექმნილი მოვლენები და "ცივი გონებით" მიიღოთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. სიყვარულში ბევრად უკეთესი მდგომარეობა გექნებათ, უფრო მომხიბლავი და მიმზიდველი გახდებით, რაც სანინაადმდეგო სქესის ადამიანებში თქვენს მიმართ ინტერესს ერთი-ორად გაძლიერებს.

მშვილდოსანი

აპრილი — ამ პერიოდში უფრო კომუნიკაბელურნი გახდებით და ურთიერთობის სურვილი გაგიმძაფრდებათ, რაც ახალი ნაცნობებისა და მეგობრების შეძენისკენ გიბიძგებთ. მოსალოდნელია გაგიჩნდეთ ახალი ინტერესებიც. თუმცა, ნუ გააიდეალებთ მოლოდინის, რათა შედეგების გამო იმედი არ გაგიცრუვდეთ.
მაისი — წარმატების მიღწევაში ხელს მოუთმენლობა და უტაქტობა შეგიშლით. შეეცადეთ მიზნების აღსრულებისთვის საქმიანი და პირად ურთიერთობებში შეცდომები არ დაუშვათ. დაგრვიელი პრობლემები და წვრილმანები თქვენგან ბევრ დროს და ენერგიას წაიღებს. თუმცა, მთლიანობაში იოლად შეძლებთ თქვენზე დაკისრებული მოვალეობებისთვის თავის გართმევას.
ივნისი – სამსახურთან და კარიერასთან დაკავშირებულ საკითხებში შესაძებელია გარკვეულ წინაღობებს წაანწდეთ. რამდენადაც მზად აღმოჩნდებით სიძნელეების გადალახვისთვის, იმდენად შეძლებთ წინსვლას. მაქსიმალურად მოერიდეთ ისეთ ადამიანებთან ურთიერთობებს, რომლებმაც შესაძლოა თქვენს რეპუტაციას საფრთხე შეუქმნან. თვის ბოლოს სასიამოვნო სიახლეები გელით როგორც სასიყვარულო სფეროში, ასევე უცხოეთთან დაკავშირებით.

თხის რქა

აპრილი — აპრილში თქვენს ენერგიულობას და მიზანსწრაფვას ვერაფერი დაუდგება წინ. უფრო ორგანიზებულნი იქნებით, რაც საქმიან სფეროში დიდ სამსახურს გაგიწევთ. ამ პერიოდში დაკავდებით საკუთარი ცხოვრების ფორმირებით, სხვადასხვა ტიპის ურთიერთობებში პოზიტიური ცვლილებებით, ასევე სწავლასთან, სამსახურთან და კარიერასთან მიმართებაში მომგებიანი ნაბიჯების გადადგმით.
მაისი — თვის პირველ ნახევარში თავს მხნედ და ოპტიმისტურად იგრძნობთ, გამახვილდება თქვენი ინტუიციაც. ეს ყველაფერი დაგეხმარებათ დროულად შეასრულოთ ყველა დავალება. შეეცადეთ, ახლობელ ადამიანს არ გაუცრუოთ იმედები და გაამართლოთ თქვენზე გაცემული ნდობა, ეს გრძელვადიან პერსპექტივაში ფასდაუდებელ სამსახურს გაგიწევთ.
ივნისი — მოიმატებს თქვენი ამბიციურობა და გაგიჩნდებათ სურვილი ერთბაშად მოაგვაროთ ყველა რთული საკითხი, თუმცა თუ წინდაუხედავად და უყურადღებოდ იმოქმედებთ, მოსალოდნელია მხოლოდ პრობლემები დააგროვოთ. ამ პერიოდში შეეცადეთ სტაბილურად შეინარჩუნოთ მიღწეული წარმატებები და ახლის ძიებაში ძველიც არ დაკარგოთ.

მერწყული

აპრილი — აქტიური პერიოდი გელით. მეგობრების დახმარებით წამოიწყებთ ინტელექტუალურ პროექტებს, თუმცა თანამოაზრეების გარეშე წარმატების მიღწევა სათუო გახდება. შეეცადეთ საქმე ენერგიულად დაიწყოთ, რათა წინაღობები იოლად გადალახოთ. პირად ცხოვრებაში მოიმატებს გასაიდუმლოებული სასიყვარულო ურთიერთობების ალბათობა.
მაისი — თვის პირველ ნახევარში შეეცადეთ ოჯახის წევრებთან დაპირისპირებას თავი აარიდოთ. გაუფრთხილდით საკუთარ ჯანმრთელობას, განსაკუთრებით ნერვულ სისტემას. მაისის მეორე ნახევარი სამსახურებრივ საქმეებში წარმატების მიღწევისთვის იქნება სასიკეთო. ამაში თქვენი ცოდნა და გამოცდილება დაგეხმარებათ. გაგიჩნდებათ უცხო ენის შესწავლის ან ცოდნის გაღრმავების პერსპექტივაც.
ივნისი — ამ პერიოდში მნიშვნელოვანი იქნება თქვენს მიერ გაკეთებული საქმეების ხარისხი, ამიტომ ბევრის კეთებას, კარგად კეთება ამჯობინეთ. მოსალოდნელია გააქტიურდეს სწავლის გაგრძელებასთან, ახალ სამსახურთან და მოგზაურობასთან დაკავშირებული საკითხები. ყურადღება მიაქციეთ შინაგან ხმას, სიზმრებს და სხვა ტიპის მინიშნებებს, მოსალოდნელია აქედან მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღოთ.

თევზები

აპრილი — პირველი ნახევარში მოგიწევთ წარსულთან დაკავშირებული შეცდომების გამოსწორება და გადადებული საქმეების დასრულება. მეორე ნახევარი შედარებით იღბლიანი აღმოჩნდება თქვენთვის, მოსალოდნელია მოულოდნელად დაგეხმარონ, უეცრად გაგიმართლოთ ან მხარდაჭერა იგრძნოთ, რაც წინსვლის საშუალებას მოგცემთ.
მაისი — ეს თვე თქვენთვის შედარებით დაძაბული იქნება. მოიმატებს ილუზიური გარემოებები, რაც შეცდომებს დაგაშვებინებთ, ამიტომ იყავით პრაქტიკული, პრაგმატული და აჩქარებულად ნუ წამოიწყებთ ახალ საქმეებს. ყურადღება გამოიჩინეთ საბუთების გაფორმებისას, განსაკუთრებით თუ ეს ფინანსებს ეა უძრავ ქონებას ეხება.
ივნისი — ამ პერიოდში განვითარებული მოვლენები საშუალებას მოგცემთ ტრანსფორმირდეთ საკუთარ თავში და `შინაგანად გადაიტვირთოთ~. გაგიჩნდებათ შანსი გაანახლოთ პერსპექტიული კავშირები, განსაკუთრებით საქმიან ცხოვრებასთან, ბიზნესთან და სამსახურთან დაკავშირებით. ასევე მოიმატებს პირადი ცხოვრების შეცვლის, ახალი სასიყვარულო ურთიერთობების და ქორწინების ალბათობა.



There is Kenya somewhere in Africa

Before moving to Africa our family lived in Copenhagen. We used to travel a lot throughout Europe and I noticed that too many things were embellished and not original. These artificial things and cold climate were the reason why I ran away to sunny and colourful Africa, the place where everything is closer to land and nature.

I thought, that, moving to Africa, and especially to Kenya would inspire me in my occupation, fashion and art and I was not disappointed. In two years I had created three collections on African theme.

Getting to Kenya is not difficult. Almost everyone here speaks English. The capital of Kenya is Nairobi, which is called "Enkare Nairobi" by Maasai and translates as "place of cool water", while natives call it "a green city in the sun", as it is surrounded by suburbs all in green.

There are a lot of multi-floor buildings in the city centre. Wealthier population lives several km. away from the city centre, in suburbs, in private houses. While majority leads poor life in poverty and terrible conditions in huts.

Night life in Nairobi is pretty active. Natives are quite friendly and sociable. Tourism is one of the main sources of income in the country. Wild life of Kenya attracts millions of tourists. The most of the territory of the country is announced as national parks and reserved places. Local cuisine is quite poor. In choosing food we listen to our local friends. So, it's not difficult to find a new home here, the main thing is to arrive in this remote country.



TATTOO – as a memory

Having a tattoo today is not a shame, while several years ago it was a privilege for criminals and too frivolous people. Time passed and everything changed. We switched on computers, surfed the internet and discovered that while we were sleeping Tattoo has developed as art. Legal tattoo saloons opened here in 2000, handmade equipment was substituted by professional ones, tattoo masters learnt to use sterile material, and what is more important, colours appeared on their working tables.

Now it's colourful tattoo age, but black still maintains its popularity. Especially, when the ornament is performed with dots and lines, or depicts a set of different geometrical figures. Many think that tattoo should be made on the part of body that you can't see too often, so you won't get bored of it. In order to avoid disappointment, think long in advance, before making a tattoo. Don't make it for imitating and copying someone, or because summer is coming and it's high-time to display your body on the beach.

So called Geek tattoo can be considered as tattoo sub-culture. It can include absolutely everything, like Mario's mushroom, "may the force be with you" writing on the chest, or a very difficult and complicated painting of one's favourite comic's character. With such tattoo one demonstrates his personal interests and emphasizes his advantages.

Painter of Riders and a Cinema Artist



On official site of Sotheby auction house we can read a note on Vakho Bughadze's work "Derby 91". It says: "his works are often on the edge of abstraction and are inspired by melancholy of the generation that has experienced civil war and conflict in Abkhazia. The above mentioned work is dedicated to the last season which the artist and his friends had had just before the war, the season that was popular of fabulous horses from the northern Caucasus and Middle East…"

He is a sculptor, but he began painting in early 90s, when together with his fellow artists he lived in a commune type studio at Tbilisi hippodrome, and later at an abandoned silk factory. Here in post-war destroyed Tbilisi they used to hold art exhibitions and underground music concerts. Nowadays Vakho Bughadze is a prominent Georgian artist.

His studio is full of new works, especially large-scale canvases.

Nearly a year ago movies appeared in his life. Gio Mgeladze, a Georgian film director of the same generation invited him as a cinema artist in his full-length film. Shots took place in Nepal. Cinema art was something new for Vakho: "Cinema is an absolutely different thing. I understood its mystery eventually. As soon as I looked in the camera and saw the shot, my eye sight developed in a different way." – says the artist.

Ketevan Gvaramadze from behind the stage of the world fashion

Ketevan Gvaramadze left Georgia 20 years ago, and several years later she became one of the most famous stylists of world fashion. Today she is a special guest of NARGIS and we are going to look inside the most secret closets of the world fashion together with her.

Who were the people who gave you opportunity to start life from the beginning?

I worked as a waitress at a trendy Soho Italian restaurant "Giorgone". It was the place where I met Siobhan Bonnouvrier, who helped launch my fashion career. One day she mentioned that she was the fashion director at Allure. I blurted out if she would hire me as an assistant. She called me a month later and asked me to assist on a shoot the following day.

What does your job include?

My work is multi-faceted and I take on various roles. My responsibility is to create and present concepts and the style of the shoots. This includes hiring photographers, models, choosing hair style and makeup, and etc. I work with the producers to choose location and the day of the shoot, the main concept and style of models. Each season I work with several independent designers and consult them on collections and runway shows.

Where does your inspiration come from? Which period or style inspires you?

I have an affinity to the styles of the 70s&90, but it really depends on what project I'm working on. Inspiration can come from everywhere. I'm obsessed with art and visit Chelsea art galleries and museums at least three times a month.

How well do you know Georgian fashion? Could you estimate potential of Georgian disigners?

Most Georgian designers are under influence of European and American designers. I would advise them to find their own selves and express their own feelings. I love the works of Tamuna Ingorokva… quality of her works, details and tailoring are exceptional. Her fabrics of double facer cashmeres are lush and sophisticated.



Where perfume starts

One of the Meters of modern perfume, Francois Demasi, used to walk for hours in the streets of Grasse, smelling roses and lavender. He was 16 at that time. At the dawn, as he was leaving a night club, he used to smell odour of jasmine and dreamt of creating perfume that would remind him these morning walks.

Sharp and daring Florentine iris was used in classic Chanel No 19, which was chosen by Coco Chanel from the samples of perfumer Henri Robert, presented for her birthday. On August 19, 1970, at the 87th birthday of the famous couture, the fragrance was supposed to surprise all young ladies, who were as daring and novelty lovers as Coco herself.

One of the substances emitting odour is perfume. It consists of head, heart and base notes. This division belongs to a prominent French perfumer Pier-Francois-Pascal Guerlain. Head notes are the first impressions from the scent. Heart notes show the character of a fragrance (heart is usually floral), and base note is a trace left on a skin for a long time.

There are author's perfumes, just like author's movie. Frederic Mal creates such perfumes. And the names of his perfumes sound like film titles as well: "Scent of Teresa", "Angelica under the rain", "French Lover", "In your arms", "Portrait of a lady". Is Teresa a lost love or a friend of blue nights? Scent of morning or evening rain? Is it as burning as a French kiss? How do the arms of a lover smell? This midwinter evening she has just a long black silk dress on, white fur is on her shoulders and the only jewel she has chosen is perfume that dances in the air…

A perfumer has to use all his knowledge and experience to attract us. And a temporary nature of a fragrance reminds us that it's impossible to possess it. But we can keep a memory of those minutes when we wore the scent, and this is the memory we can never forget.

Legend on Love

To the very first lessons of vocal he was taken by his grandmother. At that time no one could imagine that, a sleeping city of Springfield, Ohio, would grant the world with a nine times "Grammmy" winner and now already a owner of "Oscar". John Legend turned to be a simple and friendly person. The singer eagerly shared with us history of his life and success, his attitude toward love and philosophy of charity.

You are a musician, composer, song writer. What is the main source of your inspiration?

Inspiration for me is music itself. I have been a music fan since my childhood and I grew up in the family where everyone is fond of it. Music is the major part of my life and a passion of creating my own music lives inside of me all the time.

You are the winner of "Gram", "BET", three Soul Train Music Awards and tens of more awards and nominations. Your albums are sold throughout the whole world. How could you imagine your future life?

Love for art and music – first of all, it is creation of something special, it's a desire to leave your footprint in art. And the fact that I have achieved almost the top, doesn't mean, that I lack motivation or inspiration to create something more in future. I don't want to be content of just my present achievements.

What was the best duet in your career? Who is the singer you would like to cooperate with?

I had many interesting duets, but the one with Steve Wonder was the most important. It was unforgettable experience.

Which song reflects your inner world?

All Of Me and Ordinary People. I think the songs that are popular are already evaluated by the audience, by my listeners.

You are involved in grand charity work. Tell us something about this.

Several years ago I read a book, "The End of The Poverty" by Jeffry Sacks, a director of the institute of Earth in University of Columbia. The book was about poverty and life in developing world and it made me estimate my values and opinions in a different way. In order to learn more about what was happening in countries of Africa, I travelled to Ghana. I started a campaign SHOW ME CAMPAIGN and I joined Jeffry's mission MILLENNIUM PROMISE ALLIANCE. Since then I have participated in various charity projects and campaigns. Every single life is priceless for us and with our joint efforts we can avoid poverty.

What would you like to say to all people of the planet?

Spread love!

DeSheli

ქუჩი ძოძრეულ ხოლაყეზე

0179 თბილისი | კოსტავას ქ.37/39 | "გრატო პასაჟი" | www.desheli.ge | - desheli.ge | Tel: +995 32 2 430 030